

დროშა

№ 1 იანვარი 1956



ეროვნული
ბიბლიოთეკა

F.412
1956





სახალწლო ნაძვის ხეთან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

ა/წლის 18-დან 21 იანვრამდე ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობამ შეაჯამა XVI ყრილობიდან განვლილი მუშაობის შედეგები, დასახა ახალი ამოცანები რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ი. ვ. პ. მუჟაფანაძის საანგარიშო მოხსენება.

ყრილობამ განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა და მხურვალედ დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს.

საქ. კ. პ. XVII ყრილობის მიერ არჩეულმა საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ა. მ. ვ. პ. მუჟაფანაძე.

საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ა. მ. ვ. პ. გიორგაძე.

საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე.

პლენუმმა აირჩია საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ვ. პ. მუჟაფანაძე, მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, მ. ი. კუჭავა, ი. ი. ფედიუნინსკი, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური.

საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე.

საქ. კ. პ. სარევიზიო კომისიის პირველმა სხდომამ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ა. მ. ვ. გელაშვილი.

პარტიის XX ყრილობის შესახებ



ჩვენი ქვეყნის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ და მხურვალედ მხარს უჭერენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს.



მშრომელები პატრიოტული სიამაყის გრძნობით სწავლობენ და განიხილვენ დირექტივების პროექტს, იღებენ გადიდებულ ვალდებულებებს, ახალი ძალითა და ენერგიით აჩაღებენ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ფოტო ზე: თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის სამკერვალო საამქროს ავტოტორი ზინა ასლანიშვილი საამქროს მუშა ქალებს აცნობს პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს.

სუხუმი ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის ფეხსაცმლის გადამქიმავე ბ. ჯალაღანია საწარმოო გეგმას ასრულებს 130—160%-ით.

ახმეტის მტს-ის მოწინავე კომბაინერმა არჩილ ნადირაძემ (მარჯვნიდან მესამე) ერთ-ერთმა პირველმა შეაკეთა თავისი კომბაინი „სტალინეცი—6“.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



1956



ნიშნები აქრობები

სოფლის მეურნეობაში

ხაბჭოთა კავშირის მთელ რიგ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფრო და უფრო ფართო გამოყენებას პოულობს ატომური ენერჯია. რეაქტორებში მიღებული ხელოვნური რადიოაქტიური იზოტოპები აუცილებელ და ძლიერ იარაღად გადაიქცა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ნიშნადებული ატომების გამოყენებას მცენარეებში ორგანული ნივთიერების პროცესის შესწავლისათვის.

ხაბჭოთა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, თუ რა როლს თამაშობენ მცენარეთა ფესვები ნიადაგიდან ნახშირორჟანგის ათვისების საქმეში.

უკანასკნელ დრომდე ფიქრობდნენ, რომ მცენარის მიერ ჰაერიდან ათვისებული ნახშირორჟანგი მზის სხივების დახმარებით მცენარეშივე იზღებოდა შენგბადად და ნახშირბადად, ნახშირბადს თვითონ მცენარე იყენებს ნახშირწყლების (სახამებელი, შაქარი და სხვ.) შესაქმნელად, უნდად კი ისევ ჰაერს უერთდება (ამ პროცესს ფოტოსინთეზს უწოდებენ). ნიშნადებული ატომების გამოყენების წყალობით დადგენილი იქნა, რომ სინამდვილეში ნახშირორჟანგს მთლიანად თვითონ ითვისებს მცენარე, ატმოსფეროში გამოყოფილ უნდად კი იგი წყლიდან იღებს ფესვების საშუალებით. გამოიკვია, რომ მცენარის ფესვები ნიადაგიდან ნახშირორჟანგს ითვისებს, გადასცემს რა მას ულორტებსა და ფოთლებს. ნიშნადებულმა ატომებმა გვიჩვენეს, აგრეთვე, რომ ფოტოსინთეზის დროს მცენარის უჯრედებში წარმოიშობა არა მარტო ნახშირწყლები, არამედ — ცილებიც.

ნიშნადებული ატომების წყალობით ახლა ადვილი დასადგენია ორგანიზმში ნივთიერების მოძრაობის სიჩქარე, საკვების რაოდენობისა და ხარისხის გავლენა ნივთიერებათა ცვლაზე, ტემპერატურა და არსებობის სხვა პირობები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ცხოველთა პროდუქტაულობის ზრდის საქმეში და სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის ზრდისათვის სასუქის დროულ და სწორ განაწილებას; მაგრამ გამოყენებულმა სასუქმა მაქსიმალური ეფექტი რომ მოგვეცეს, უნდა ვიცოდეთ, მცენარის განვითარების რომელ პერიოდშია მიზანშეწონილი სასუქის შეტანა. როდის უფრო მეტად ითვისებს მცენარე სასუქს, რა გავლენას ახდენს ათვისებაზე სასუქის სიღრმე, რა ხისწრაფით ათვისებს სასუქს მცენარე და ა. შ.

ნიშნადებული ატომების მეთოდის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა დაკვირვებოდნენ მცენარის მიერ ფოსფორის სასუქის ათვისების პროცესს. ასე, მაგალითად, დადგენილი იქნა, რომ ნიადაგის ზედა ფენაში (თესლის ჩათვისის სიღრმეზე) პირველი ორი-სამი კვირის განმავლობაში ხორბალი ფოსფორს ითვისებს მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელი ფოსფორის სასუქიდან. მეოთხე და მეხუთე კვირიდან დაწყებული უკვე მნიშვნელოვან მატულობს ფოსფორის ათვისება ნიადაგიდან, მეოთხე კვირის ბოლოს კი ათვისებული ფოსფორის ძირითადი ნახა ნიადაგური წარმოშობისა.

ეს გარემოება აგრონომიული მეცნიერების წინაშე სდგამს ამოცანას, მოიძებნოს ისეთი საშუალებები, რომ მცენარემ, რაც შეიძლება მეტად გამოიყენოს ნიადაგში არსებული ფოსფორის მარაგი.

რაც შეეხება ნიშნადებული ფოსფორის გამოყენებას ფესვების შემწოვი ფუნქციის შესწავლის საქმეში, გამოიკვია, რომ ფოსფორის მარცვლებთან (გრანულთან) უშუალოდ შეხებისას, ჩვეულებრივთან შედარებით 20-ჯერ და 30-ჯერ უფრო იზრდება შემწოვის ფუნქცია. ამრიგად აღმოჩნდა, რომ მცენარის ფესვების სისტემა, როგორც შემწოვი ორგანო, პოტენციალური სიმძლავრის დიდი მარაგითაა აღჭურვილი.

ნიშნადებული ატომების მეთოდის დახმარებით გამოიკვია, რომ ვაზის ძირში 30-35 სმ-ის სიღრმეზე შეტანილი ფოსფორი უფრო ადრე აღწევს მცენარეში, ვიდრე ვაზის ფოსფორის ხსნარით მორწყვის შემთხვევაში, რადგანაც მორწყვისას ნიადაგის ზედა ფენის მიერ ხდება ფოსფორის მნიშვნელოვანი ფიქსაცია. ამ ცდებმა დაამტკიცეს, რომ ვაზისა და ხენილის მორწყვა ფოსფორის ხსნარით ამ ახალ მეთოდთან შედარებით ნაკლებად ეფექტურია.

ანალოგიური ცდებით დადგენილი იქნა, აგრეთვე, რომ სიმინდი და ხამყურა, სასუქის ადგილობრივი

შეტანისას უფრო კარგად ითვისებენ ფოსფორს, ვიდრე სასუქის მოხვედრისას. იმ დროს, როდესაც კარტოფილი ინტენსიურად იყენებს სასუქის ფოსფორს, სოია მისთვის საჭირო მთელ ფოსფორს, სასუქის უხვად მოყრის შემთხვევაშიც კი, ნიადაგიდან იღებს. სიმინდი განსაკუთრებულად აქტიურად ითვისებს სასუქის ფოსფორს ვეგეტაციის პირველ ხანებში. კარტოფილი კი, ზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში სასუქის ფოსფორს უფრო კარგად ითვისებს, ვიდრე — ნიადაგისას.

ნიშნადებული ატომების მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა მცენარის გამოკვებაში მიკრო-ემემენტების როლის განსაზღვრისას, ტენისმოყვარე და გვალვაგამძლე მცენარეებში წყლის ცვლის შესწავლისას, მცენარეულ და ცოცხალ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის გამოკვლევისას, ხელექციურ სამუშაოებში და სხვ.

საინტერესო მოსაძებნებია მიღებული საკვლეო საქმეში ნიშნადებული ვირუსების, ბაქტერიების და მწერების გამოყენებაზე. რადიოაქტიური იზოტოპებს იყენებენ მცენარეთა განაყოფიერების პროცესების შესწავლის დროსაც.

გამოყენებული იქნა, აგრეთვე, რადიოაქტიური ატომების უშუალო გამოსივება. რადიოაქტიური კობალტის სხივების ზემოქმედებით მეცნიერებმა შესძლეს ივლისამდე შეენახათ კარტოფილი ისე, რომ კარტოფილმა შეინარჩუნა მთელი თავისი თვისებები. იგივე შედეგები მიიღეს სტაფილოზე, ხახვსა და სხვა ბოსტნეულზე დაკვირვების შემთხვევაშიც.

რადიოაქტიური იზოტოპების მეთოდს ფართოდ იყენებენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები.

ციტრუსების მეურნეობას, როგორც ცნობილია, დიდ ზიანს აყენებს ერთგვარი ავადმყოფობა — რომელსაც იწვევს მიკროსკოპული სოკო — მალსეკო.

მალსეკოს წინააღმდეგ მიღებული ზომები ჯერ-ჯერობით უმნიშვნელო შედეგს იძლევა, არადაც უკანასკნელ დრომდე ვერ აღმოაჩინეს სოკოს გავრცელების გზა, მისი ზემოქმედების მიზეზები ლიმონის ხეზე, ფესვებზე და ფოთლებზე.

ნიშნადებულმა ატომებმა საშუალება მისცა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მუშაკებს სწორად გადაეწყვიტათ ეს ამოცანა. შეურიეს რა რადიოაქტიური ფოსფორისა და რადიოაქტიური გოგირდის განსაზღვრული რაოდენობა საკვებში, მეცნიერ მუშაკებმა ზუსტად განსაზღვრეს მცენარეში სოკოს მდებარეობის ადგილები. ნიშნადებული ატომების საშუალებით ისიც გამოიკვია, რომ ლიმონის ტოტების ხმობა გამოწვეულია არა სოკოს მიერ, არამედ სოკოს მოქმედების შედეგად გამოყოფილი პროდუქტების მიზეზით. აღმოჩნდა, რომ მცენარის დამლუპველი პროდუქტები უფრო ჩქარა მოძრაობენ მცენარეში, ვიდრე თვით სოკო, თავს იყრიან მცენარის ზედა, ნორჩ ნაწილებზე, და პირველ რიგში მათ ანადგურებენ. ამრიგად გადადგმულია პირველი, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი მალსეკოს საწინააღმდეგო საშუალებების მოსაძებნად.

ნიშნადებული ატომების ფართოდ იყენებენ საქართველოს სსრ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში, კერძოდ, ვაზის, ციტრუსების და სხვა მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში ნიშნადებული ატომების დახმარებით სწავლობენ ვაზის ქლოროზთან ბრძოლის საშუალებებს. ნიადაგმოცდენობის, აგროქიმიის და მედიკაციის ინსტიტუტში ნიშნადებულ ატომებს ხმარობენ სასუქთა გამოყენების გზების შესასწავლად. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მრავალ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში კვლევის ატომური მეთოდს უფრო კიდევ არ იყენებენ, ანდა იყენებენ მცირე მოცულობით. ამიტომ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წინაშე დგას ამოცანა დანერგონ, გააფართოონ და გააღრმავონ ის სამუშაოები, რომლებშიც ნიშნადებულ ატომებს იყენებენ.

ნიშნადებული ატომების მეთოდი, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართო გავრცელებას პოულობს ჩვენს ქვეყანაში, ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს.

აგრონომები ი. შაჩიბაია,
ლ. ბერძენიშვილი

გივი ბნულაძე

შიქრი მზის ჩასვლისას

თანდათანობით კლდება სიბნელე, ჩნდება იქნება იგივე ტყვილს გრძნობს გულთან, ტოვებს ქვეყანას... ტოვებს და თითქოს სურს დაყოვნება... ცოტა ხნით თუნდაც;

და...
სანთელივით ნელა დნება მზე, — ამ განშორების ფარული დარდით, მაგრამ... არ ძალუძს თავის ნებაზე შეჩერდება და ზღვას იქით ჩადის...

ჩვენც ხომ ერთმანეთს დაგვორდით, კარგო, ამავე ზღვასთან, ამ ხეივანში... არ მიყურებდი თვალბეჭით სანდოდ, — წუთიერ გრძნობას აპყვევი მაშინ...

შენ მიდილობი...
მაგრამ მე მაინც ვიცოდი:
ჩემთან რჩებოდი ისე, — როგორც მზის დარჩა ჩასვლისას თვალი ამ მიწისკენ და ამ ლურჯი ზღვისკენ...

მზესაც თითქოს-და გული აქვს თბილი, — მასაც იმედი აცოცხლებს ზვალის: საღამოს ჩავა — ამოვა დილით... შენ კი... სადა ხარ ამდენი ხანი!

თათარ ჭილაძე

სიყვარული — მინაქი

დაიბადება ყინულის წვეთით, ნაპარაკებიდან გადმოფეხება, მერე ლაქაშებს გაარდევს მკერდით — ტალღები მოაქვს ლამაზ ეცენებად.

აღარ დამაცლის, მოგიტყავ სული, ან მოვიმავრო ფეხი მიწაზე, და სანამ პეშვით მოვიკლავ წყურვილს — ამიყოლებს და გამიტაცებს.

დაგვედევნება წივილით ქარი, გამბლანდება ვეხებში ჩქერი, დამეკარგება ფიქრი და კვალი, ამიჭრულდება ლაქვარდი ჭერი.

ბოლოს თვეზვიით შევრჩები რიყეს, გაწუწული და დაღლილი ძლიერ; თითქოს შფოთვარე სიზმარი იყოს და აუხდენელ ოცნებას ვაღდი...

ჩაიარა და რიყეზე დგარჩი და ვიგრძენ, როგორ უშეშო ვიყავ — როგორც ქალაქში სოფელი ბავშვი, როგორც მწერწავის თითებში თხისა.

ახლა გაფრენილ დღეებს ვიგონებ, ქვის მოთმინებით ვზივარ და ვიცდი, ვიცი, ის ისევ ჩამომიჭროლებს და ერთი ტალღა ვიქნები მისი.

გიორგი წარტაული

ბ ა ვ შ მ ბ ა

ბავშვობისას კლდეებიც არ მყოლია უბარი, მახსოვს, რამ დამაეიწყოს ეხოსთან საუბარი. პასიუტის არყები თავზე ქოლგად მხებურა, წვიმდა, ვიბუზებოდი ჩირგვთან, როგორც ბელურა. შუადღისას ცაცხვისქვეშ სიო ყვავილს მაყრიდა, ჩემს სიმღერას ფუტკარი ზანს აძლევდა მალდიდან. მახსოვს, რამ დამაეიწყოს სერი, სერი, სერები... აქ ისევე იზრდება ჩემი ჯოხის ცხენები. ერთ წუთს დაგვიბრუნდით, თავს მიქნევენ ვედრებით. მალე გამიჩნდებათ საინისო მხედრებიც.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტკვრის სეობაში

ია მასი

ფოტო ვ. ჯიჩინაძისა

1. მ ე ს ხ ე თ ი

გამარჯობა შენი, მგვარო!

შემოდგომის ერთ დილას ჩვენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვართან მივდით, სწორედ იმ ადგილას, სადაც ზევის მიწაზე მდინარე მტკვარი შემოდის, და წყალდაღმა ჩამოყვებით. მდინარე მდინარეა, და მტკვარიც ისევე ხმაურობს და მიედინება, როგორც ათასობით სხვა მდინარე დედაქალაქის ზურგზე. ჰიდროლოგები ბევრ ისეთ

რამეს დაინახავდნენ ამ მდინარეში, რაც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი, რადგან ბუნებაში არ არსებობენ ერთნაირი მდინარეები, როგორც არ არსებობს სრულიად ერთნაირი, თუნდაც ერთი წყვილი ცოცხალი ორგანიზმისა. პოეტი თავისი თვალთ შეხედავდა ამ მდინარეს და იტყობდა, მაგალითად:

...ნელად მოღვლავს მოღვლენე მტკვარ: ანკარა, და მის ზვირთებში ჰკრთის ლავარდი ცისა კამარა. ილაყვ დაყრდნობილ ყურს უგდებ მე მისსა ჩხრიალსა და თვალნი ჰრბიან შორად, შორად, ცის დასავალსა! ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი? მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვიო!

მაგრამ, რადგან ჩვენ არც მეცნიერი ვართ და არც პოეტი, მტკვარს ვხედავთ ისეთს, როგორც არის: არც დილია ის, მაგრამ არც ატარა. არც ის შეიძლება ითქვას, ულამაზ-სა მდინარეაო მთელს დედაქალაქის ზურგზე, მაგრამ ერთ-ერთი ყოლაზე უფრო თვალწარმტაცია მდინარეა მთელს კავკასიაში, მდინარე, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მიედინებოდა და არასდროს, მასასადამე, არ მიედინებოდა უბრალოდ, იმისთვის, რომ სადმე, რომელიმე ზღვაში უგზოუკვლოდ ჩაქარგულიყო.

წყალი სიცოცხლის წყაროა. ქალაქ-

ბი და სოფლები მრავლებით აცმულია მდინარის გრძელ ძაღზე. მტკვარს ამ ცოცხალ ყელსაბაშზე თითქმის არსად თავისუფალი ადგილი არ მოეპოვება. მდინარე გამუდმებით მუშაობს ადამიანისთვის. ამაშია მისი ღირსება. ის სიცოცხლეს იძლევა, ადამიანი კი, თავის მხრივ, არ დგას ერთ ადგილას და. მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა. მდინარის წყალივით განუხრელად მიდის წინ. ამის გაგებისა და საკუთარი თვალთ ხილვის სურვილმა მიგვიყვანა ჩვენ ერთხელ, შემოდგომის დილას, იმ ადგილას, საიდანაც ჩვენს მოგზაურობას შევუდქეთ. სწრაფმდინარი მტკვარი განხლდა ჩვენი მგზურთ.

ნარსკოთხე შეხვერა

მტკვრის ტალღა პირველ დაბრკოლებას დაეჯახა. მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე მაგარადა გადაჭიმული ბაგირი, ადამიანი ხელებით ჩასჭიდებია ამ ბაგირს და ბორანს ეწევა. მისი სილუეტი მკაფიოდაა ასახული წყლის სარკისებურ ზედაპირზე. შეგჩერდეთ აქ. შემთხვევით თუ კანონზომიერად, მდინარეს დაღმა რომ დაფუყვით, ჩვენი ქვეყნის წარსულს შევყვართ.

ვარძა. სახელმწიფო მუზეუმი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაკრძალი. მოვარდისფრო-მოყვითალო ფრიალო კლდე და მასში განთავსებული ქვაბულები, ქვაბულნი, ქვაბულები. — თითქოს ისტორიის დაღვრემილი თვალები ანკარა, სწრაფმდინარი მტკვარში იცქირებია.

რამდენია ეს ქვაბული? ამბობენ, ათასზე მეტი იქნებაო. ჯერჯერობით კი აღმოჩენილია 450-მდე.

რამდენიმე საუკუნის წინათ აქ ბერების ქალაქი ყოფილა. უზარმაზარი კლდის მასივში ექვს-შვიდ სართულად შეიდასი მტკვრის სიგრძეზე განლაგებულია საცხოვრებელი სენაკები, საზღიშო ან სატრაპეზო დანიშნულებისა და სხვადასხვა დამხმარე სათავსოები, თორმეტობე ეკლესია, წყალსადენი, მაგრამ ეს ქვაბული-ქალაქი ციხე-სიმაგრეც იყო, რომლისც კტრის ხანგრძლივი ალყისთვის შეეძლო გაძლება.

როგორ გამოჰყვითეს ეს ქალაქი კლდის ამ მასივში? წერტილის ვერტიკალური და ირიბული დარტყმებით, რომლის ნიშნები ყველა ქვაბულს ეტყობა. ვინ გააკეთა ეს? მშენებლების ვინაობას ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ, აი, არც ისე დიდი ხნის წინათ. ვარძის დევისმშობლის მიძინების ტაძრის კედელზე აღმოჩენილ იქნა თითქმის მთლად გადარეცხილი წარწერა. ვარძიაში ჩავიდა მეცნიერი ქიმიკოსი რუსულად ბახტაძე. იგი აიყვანეს გუმბათის ქვეშ. სადაც ეს წარწერა იყო. მეცნიერმა სპეციალური ხსნარით მორეცხა თვითუნი ნიშანი, ტყვიის თეთრამ იწყო გამომკვლავნება და გაცოცხლებული კედლიდან ქართულ ენაზე ალაპარაკდა ქართლის ერისთავი რატი სურამელი. დევისმშობელს მიმართავს იგი და იტყობინება, რომ გულმოდგინება გამოიჩინა და შეამკო ეს წმინდა ეკლესია, სამაგიეროდ შუამაგლობას ევედრება მისი ღვთაებრივი ძის წინაშე, არ მოაკლოს მიწიერი ყოველი სიკეთე. რატი სურამელი თამარ მეფის თანამედროვე იყო.

ჩვენ ავდივართ ბორანზე. მეორე ნაპირზე, ქვაბულების მხარეზე გადასასვლელად. მდინარე აქ ვიწროა და ნაპირ-

რიდან ნაპირამდე მოკლე გზაა, მაგრამ მაინც ვასწრებთ მეზობრე ელიზბარ გაქარაძესთან გამოლაპარაკებას.

— აქ დიდი ხანია ვმუშაობ. სეზონში ზოგჯერ 10.000 ექსკურსანტის გადაყვანა ხდება, მაგრამ ამ საქმეზე მალე ხელს ავიღებ. აი, მოქიშპე მოდის, — ალალი გულით ამბობს ელიზბარი და ნაპირისკენ გაიშინება. იქ ხარაჩობაში დგას ხიდის ბურჯები. ეს იქნება პირველი ხიდი მტკვრის სათავეში.


ქვაბულებში შევყვართ გამოხუნებულ კოვბოიკიან და ტლანქ ჩემებიან კაცს, რომელსაც ვეებერთელა გასაღები უჭირავს ხელში. ეს ქვაბთა ქალაქის გასაღებია, ჩვენ კი გვგონია, რომ ეს წარსულის შესწავლის გასაღებია. ის ხელში უჭირავს — ნიკოლოზ ჩუბინიშვილს, რომელიც ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატია, ვარძის ნაკრძალის უფროსი მეცნიერი მუშაქი. გათვალისწინებთ კედლის მხატვრობას, სატრაპეზო და დამხმარე სათავსოებს და ვცდებით, წარმოვიდგინოთ ჩვენი წინაპრები, მათი ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი. ამავე დროს ქვაბულების თაღებქვეშ გაისმის გასაღებიანი კაცის აგზნებული სიტყვები:

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ასე რად მაკცია? განა ჩვენ ვარძიაში ფეხმოუცვლელად გზივართი აქ, ირგვლივ ვარძიაზე უფრო საინტერესო ადგილებია — გელსუნდის, ნავარძივის, ფისი, ჯოლდის ქვაბულთა კომპლექსები, თმოგვის ციხე-ქალაქის ნანგრევები, ვანის ქვაბები. დავედრათ და დავდივართ მთელ მესხეთ-ჯავახეთში. ჩვენს მეცნიერთა პატარა კოლექტივში ახლა არიან ისტორიკოსები, არქეოლოგები, ხუროთმოძღვრები. ამოცანად გვაქვს დასახული შევისწავლოთ ქვაბულთა კომპლექსები მტკვრის მთელ სათავეში, მერე იქითაც წავალთ, — გაყვებით მტკვრის დინებას.

მაგრამ დროა ჩვენც გავუდგეთ გზას, — და აი მივდივართ ვერცხლისფერ ზოლად გაწოლილი მტკვრის დაყოლებით.

მასპინძალი

მდინარე აქ, ასპინძის რაიონის მიდამოებში, ვიწრო კლდოვან ხეობაში მიიკლავება. ოდესღაც მიუფულ თმოგვის ციხე-ქალაქის ნანგრევებს ახლაც შეუნარჩუნებ ა ამავი. ზვიადი ვარეგნობა. მის ძირში ამ ერთი წლის წინათ გაჩნდა პატარა, კოხტა სახლი. უბრალოა ეს სახლი და განსაკუთრებული რამით არ გამოირჩევა. შეხედავთ თმოგვს, მერე ამ სახლის ფანჯრებში შეხედავთ, საიდანაც ბავშვების სიცოცხლით სავსე ქრამული მოისმის და გაიფიქრებთ: აი ამითაა დღეს ჩვენი





ასპინძელი მესაქონლეები დასვენების დროს

ძალია და სიმაგრე. ძველი ნანგრევების ძირას აგებული სახლი არის ახალი თმოგვის სკოლა, სადაც კოლმეურნეთა ბავშვები აგერ მეორე წელია სწავლობენ.

თმოგვი პირველი სოფელია, რომელიც ჩვენს გზაზე შეგვხვდა. აქ მესაქონლეები ცხოვრობენ. მდინარესთან მწყე-მსებს შეგვხვდათ. ქვაზე ჩამომხსნარი ყვინი და თუთუნს აბოლებდნენ.

ამ ქუჩედარასთან დაკავშირებით მინდა გავიხიაროთ ასპინძის მესაქონლეების სასიხარულო ამბავი. პირველად თავის სიცოცხლეში მათ შეასრულეს რძის მოწველის სახელმწიფო გეგმა. ასეთი რამ წინათ არასოდეს ყოფილა. პირუტყვი ამ ადგილებში მუდამ შიმშილობდა და 400 ლიტრი რძე ძროხისთვის ზღვარი იყო. ახლა კი თვით თუთუნის ძროხისგან საშუალოდ მიღებულია 873 ლიტრი რძე. კიდევ მეტი, ასპინძელებმა მთავრობას პირველებმა უპატაკეს რძის მოწვევის 104 პროცენტით შესრულება.

შორეული სასაზღვრო რაიონი, რომელიც დიდხანს კულში ნისჩაინალებად საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას, თანდათან გამოდის წინა რიგებში.

აი, იმის მახლობლად, სადაც მტკვარს მდინარე ახალქალაქისწყალი ერთვის, დგას ახალი პესი. ის ენერჯის აწვდის რაიონში შემავალ სოფლების ნახევარს. 1952 წლიდან აქ გაჩნდა მანქანატრანსპორტი სადავროს. ნაქალაქართან აღმოჩნდა ენსტრუქის ტიპის წყალი. მართალია, ასეთი წყლები საქართველოში ცოტაა როდია, მაგრამ ყველგან არაა მოგვარებული ფართო მოსახლეობისთვის ამ წყლების მიწოდების საქმე. ასპინძის რაიონის მშრომლები თავის ნაინერალურ წყალს სვამენ, რომელსაც ნაქალაქართან აწვდიან უწოდებს. მშენიერდება თვითონ ასპინძაც, რო-

მელიც თანდათან იქცევა პატარა ლამაზ ქალაქად—მოსავალტეული ქუჩებით, ქუჩის განათებით და კონტა სახლებით შემკული. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე აქ აგებულია ასამდე ახალი სახლი, მივლ რაიონში კი — 535. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არც ისე დიდმნიშვნელოვანი რიცხვია. მაგრამ გავიხსენოთ. რას წარმოადგენდა სრული წლის მანძილზე მტრის ბარბაროსული შემოსევებით არა ერთხელ აოსრებული ეს მხარე. ხალხმა არ მიატოვა მშობლიური მიწა-წყალი. მსკავსად თავისი შორეული წინაპრებისა. მათი ფერდობებში შეჭრილ ნახევრად მიწურ ქოხებში დაბინავდა. ასეთი ქოხები უკრ კიდევ გვხვდება ასპინძის რაიონის სოფლებში. მაგრამ მათი რიცხვი წლითწლივით—თევზობისა! — სულ უფრო და უფრო კლებულობს.

მასპინძელი — შესანიშნავი სიტყვაა, ყოველი ქართველისთვის გასაგებია მისი აზრი. ჩვენი მიწა მტკვრის ხეობაში ყოველთვის პირველი უხვდებოდა დაუპატკებულ სტუმრებს. ძნელია წლის გამართვა. კიდევ უფრო ძნელია ადამიანის ფსიქიკაში საუკუნეების მანძილზე შექმნილი დაბაბუღებისა და შეხორცილების აღმოფხვრა. სიძველეთა ძველები — ხიდის ნაშთები, სადაც ასპინძის გმირი იბრძოდა, ხერხისის ციხე, თმოგვი და მრავალი სხვა გვაგონებს სამშობლოსადმი მსხვერპლად მიტანილ გმირულ წარსულს. ადამიანმა მხოლოდ ახლა გაიგო ნამდვილად, რომ სიცოცხლის ძალა თვით სიცოცხლეშია. სიცოცხლე კი განსაკუთრებით სხვადასხვა პროდუქტების სიუხვე, კარგი სკოლები, კულტურული ყოფა-ცხოვრება, მეცნიერების მიღწევები. როცა ყველაფერი ეს მოგვეპოვება, საკადრის მასპინძლობას გავუწევთ როგორც სასურველ სტუმრებს, ისე დაუპატკებულსაც.

მინაზა და მინის ქვეშ

„გარსულდა მათი აზრები ვითა სიზმარი ღამისა. გარდახდეს, გავლეს სოფელი, — ნახეთ სიმულთე უამისა! — ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა! ვერ ვინმე მესხი მივლქვე მე რუსთველისად ამისა.“

აი, გამოვეშვიდობეთ თვალწარმტაც სოფელ რუსთავს, რომელიც ასპინძის ახლო მდებარეობს, ჩვენი გზის პირად. ნებისთ თუ უნებლიეთ, რუსთავის დანახვისას გვაგონდება უკუდავი პოეტის სიტყვები. ხეხისთ თუ უნებლიეთ, სოფლის მახლობლად აღმართულ ყორღანს რომ ვხვდებით, ყორღანს, რომლისთვისაც ჯერ ხელი არ უხლიათ არქეოლოგებს, თვალწინ გვიდგება შორეული წარსულის ამბები, ადგილი შესაძლებელია, ისეთი ამბები, რომელზეც გუჟინიც არა გვაქვს. მანქანა მიდის ახალციხის ბაღების გვერდით. მტკვრის ხეობას თითქოს ხანძარი მოსდებიათ: შეშლევრებას ბაღებში თავისი ჩაბრუნების შეუწყალებია და ათასხარის ფერებით აუმტკველებია მსხალი და ქლიაფი, ვაშლი და კომში. შოფერი რადიომიმდებს რთავს და მანქანაში გაისმის მოსკოვის, თბილისის, ერევნის, ბაქოს ხმები, გზას ვერ იცნობთ, თუ უკანასკნელი სამი წელიწადი მინც არ ყოფილხართ აქ. ახლა ის კეთილმოწყობილი, მოსავალტეული მაგისტრალია. სო-

ფელ მინაძესთან, მაგისტრალს თუ გადავხვებით, სამთო გზა ზემოთკენ გვებატკება. ავდივართ მუშათა დაბაში. აქ ცხოვრობენ ნაკლებადცნობილი და იშვიათი მადნის — დიატომიტის ამომღები მუშები. საბჭოთა კავშირში ქისათიპის საბადო ჯერხნობით ერთდერთი საექსპლოატაციო საბადოა. დიატომიტი — ფორფანი, მსუბუქი მადანია, რომელსაც სინეტის შეწოვისთვის იყენებენ. ამიტომ ის ნავთისა და ცხიმის წრეწვლის ბაზა სავალტრო საშუალებად გამოიყენება, აგრეთვე, აკუმულატორის ავზების გასაკეთებლად, პლასტმასისთვის და სხვ. ყოველივე ამის წარმოება ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტელი იზრდება, ამიტომ დიატომიტზე მოთხოვნაც დღითი დღე მატულობს. საკმარისი აღარაა გვერდის გადაჭრებით შესრულება და არც ახალი რეზერვების მოძებნა დიატომიტის ამოდების გასადიდებლად. საჭირო შეიქნა მთელი ამ მუშაობის ძირფესვიანი რეკონსტრუქცია.

კიდევ უფრო ფართო გაქანება და

მეტი პერსპექტივა ახასიათებს ახალციხის ქვანახშირის მადაროს. ეს რომ ხვეი თვალთ გვენახა საჭირო შეიქნა კვლავ მიგვეტოვებინა მტკვრის სანაპირო და მისა შენაკადით ფოცხოვით, ძველი ქალაქის ახალციხის გვერდით გავლით. ისევ ზევით ავსულიყავით. და აი, ჩვენ ვდგავართ № 3 შახტი მალალ უონალთ. ჩვენს თვალწინ გადაშლილია ვრცელი სამრეწველო ტერიტორია, სადაც საექსპლოატაციო უზენებს ძლიერ მცირე ნაწილი უჭირავთ. ნაწილი ამ ტერიტორიისა გადათხრილია, გადაბრუნებულია, ყაყუყუა დაყენებული. ნაწილი კი ჯერ შენდება. დღე შეტევა დაწყებული ქვანახშირზე, მიწის ქვეშ. საკმარისია ითქვას, რომ ახალციხის აუზში უახლოეს დროში საშვერ მეტი ამოიღეს ქვანახშირი, ვიდრე აქამდე იღებდნენ. ურნალიც, რომელზეც ჩვენ ვდგავართ, ეკუთვნის იმ შახტს, ახლა რომ შენდება. შახტი მთავარი ინჟინერი მიხეილ გურუმიძე გვაჩვენებს:

— აქ შენდება ერთი შახტი, იქ — მეორე, კიდევ უფრო იქით — მესამე, ეს კი ჩვენი საბაგრო გზა გახლავთ, რომელიც მალე დასრულდება. ამ გზით ჩვენი ქვანახშირი მიზიდული იქნება № 1 შახტთან, იქიდან კი რკინიგზაზე გადაიზიდება. ეს რომ სულ მალე იქნება, ამის მაჩვენებელია მთის ქანის ტერიტორიები. ხედავთ, რა მალა აზიდულან ისინი კონსუტაბლ! ეს იმას ნიშნავს. რომ ადამიანი მიწის ქვეშ უამრავ უახლოვდება ქვანახშირს.

ურნალიდან ჩანს, აგრეთვე, რომ ყველა ამ მშენებლობათა ირველიც იზრდება დასახლებული პუნქტები. ეს პუნქტები პატარა-პატარა სოციალისტურ ქალაქებად გადაიქცევა, ვალეს მუშურთობა და მეშახტეთა ერთი დიდი ქალაქი წარმოიშობა.

ასპინძის მახლობლად

ფოცხოვზე გასვლამ შორს შეგვიტყუა. სოფელ ბენართან ფოცხოვს უერთდება მდინარე ქვაბლოვანი, ქვაბლოვანის მარცხენა შენაკადია მდინარე ოცხე, რომელსაც ჩვეულებრივ „აბასთუმანას“ უწოდებენ. აქეთკენ, საქვეყნოდ სახელგანთქმული კუთროტის გვერდზე ჩავლით, წამოგვიყვანა სურვილმა გვენახა ჩვენი ქართველი ასტრონომების შესანიშნავი კოლექტივი, რომელიც მრავალი წელია თავდადებით მუშაობს ყანობილის მთაზე. როგორც ყოველთვის, აქ ამჯერადაც ახალი ამბები დაგვხვდა. ახლაგებულ კოშკში ლენინგრადელთა ბრიგადა მთავარი კონსტრუქტორის ბ. კ. იოანისიანის მეთაურობით დაგადა ახალ ტელესკოპს. ეს ყველაზე დიდი მენისკიანი ტელესკოპია. ნაწილებად დაშლილი ჩამოიტანეს ლენინგრადიდან და ტელესკოპის მშენებლობის პრაქტიკაში პირველად ააწყვეს ადგილზე, თვით კოშკში. ამ ტელესკოპის ობიექტივი სიმძლავრე საშუალებას იძლევა დაინახოთ ისეთი ვარსკვლავი, რომელიც შეუიარაღებელი თვალით ხილულ უსუსტეს ვარსკვლავზეც კი 160,000-ჯერ უფრო ნუსტია.

აი ტელესკოპი დადგმულია და მასთან მივიდნენ „ბედნიერი“ ადამიანები — ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვაშაკიძე, ახალგაზრდა ასტრონომი ნოდარ რაზმაძე და სხვები. მათი „ბედნიერება“ ამ წუთში მსოფლიოს არა ერთ ასტრონომს შეურდება!

ამაში

მაგრამ დავებრუნდეთ მტკვარს, რომელიც ახალციხიდან დაწყებული, საკმაოდ გაშლილ ველზე გამოდის და მაინც მას აქეთ-იქიდან მთები აკრავს. განა შესაძლებელია საქართველოში მთებს გვერდი აუარო? ჩვენი ავტომანქანა ისევ ზევით და ზევით მიდის. ამჯერაუ ისეთ აღმართს შევედევით, რომ მანქანის საზურგებს მაგრად მიგვაკარ, წინა ფანჯრიდან კი მარტო ლურჯი ცა მოჩანდა. სოფელი შურდო. ამბობენ, ოდესღაც აქ მეომრები ბინადრობდნენ — მეშურდოლები, ქვის მტყორცნელები. რით

„სტინდინენ“ ისინი თავის შურდოლებს, არავინ იცის. მაგრამ საბჭოთა პერიოდში აქ ნაპოვნია დიდი საბადო აქატისა — მინერალის, რომელიც დიდი სიმაგრით გამოირჩევა. ეს მინერალი ძალიან ლამაზია. მისგან სხვადასხვა სამკაულზე და აქატისნარჯილამაზს საგანს აკეთებენ. მაგრამ მთავარი მისი თვისება სმეგატა და კმესტა მთელ გამოყენებულია უსტხ ხელსაწყოთა დასამზადებლად. ცნობილია, რა დიდი მოთხოვნაა ამ ხელსაწყოებზე ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ამიტომ შურდოს აქატის სამტეხლოებზე ცხოვრება დულს და გადმოდულს, გაისმის აფთქებები, მირბი-მირბიან ვაკონტები. მახლობლად გეოლოგი-მძიებლები მუშაობენ. ისინი ახალ უზენებს ეძებენ.

— მოგვეცით მეტი აქატი! — მოითხოვს უკლირის საათის ქარხანა. ყველაზე დიდი ტექნოლოგი მეშურდოლები, შურდოელთა წინაპრები, ვერასოდეს ვერ სტყავინდნენ ქვას ისე შორს, როგორც ახლა ამას ახერხებენ დღევანდელი მათი შთამომავლები.

კვლავ სომხლოს პაზი!

ვუახლოვდებით იმ ადგილს, სადაც მტკვარი, აირეკლავს აუ არა თავის ანკარა წყალში ძველი აწყურის სიმაგრეს. ზორჯომის ვიწრო და ბნელ ხეობაში შედის. მაგრამ ვადრე ქვემო შევიდოდეთ ამ ხეობაში. უკრ კიდევ ერთ სანიტარესო ადგილში შევიაროთ.

წრიობა, მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობა. — მერე რა? — გაიკვირებთ. — განა ცოტაა საქართველოში ადგილები ასეთი წარწერით?

ბევრია, მაგრამ მესხეთში არც ერთი არ იყო. მესხეთში დიდი ხანია დაავიწყდათ, როგორ ხარობდა ვაზი და ყურდიდან ღვინის როგორ წურავდნენ. მხოლოდ რამდენიმე ნიშანი — ვარძიის მარნები, მთის კალთებზე ქვის ტრანკების ნაშთები — გაამცნობს, რომ აქ ოდესღაც ვაზი ხარობდა. მტრმა ყველაფერი გადათელა და გადაჯგვა. მიწასთან გაასწორა, დაავიწყა, გადააჩვიდა ხალხს ყურდენს.

ამ რამდენიმე წლის წინათ წრიობში მოვიდნენ მეღვინე სპეციალისტები. მოვიდნენ იმ მიზნით, რომ მესხეთში ეს კულტურა მკვდრით აღედგინათ. პავა, რელიეფი, ნიადაგი — ყველაფერი ადასტურებდა, რომ ვაზი აქ გაიხარება.

პირველი მოსავალი წრიობის საბჭოთა მეურნეობამ 1951 წელს მოიწია, და 8 ტონა შეადგინა მერე 20 ტონამდე ავიდა, გასულ წელს კი 160 ტონა მოიწიეს. წრიობში გაჩნდა პირველი მარანი.

და აი, საბჭოთა მეურნეობის მიზანდევით, ახლომხალი რაიონების 34 მეურნეობაზე გაიჩნა თავისი ვენახი. ჩვენ ამ ვენახს მთელი მესხეთის გზაზე ვხვდებით, მაგრამ აქამდე ვანგებ არაფერს ვამბობდით — ჩვენი მაგვარობის ბოლოსთვის შემოვიხსენოთ. ახლა, საქართველოს ეს კუთხეც, რომლის პიუზაზეც ვაზი გაჩნდა, ნამდვილად დაემსგავსა დანარჩენ საქართველოს.

(გაგრძელება იქნება)





სიმღერა უბრალო ბაიანისთვის

სიმღერა უბრალო

ცეცხლი ეღება მიწას,
ცეცხლს ბარსა და მალღობს,
ჩვენ თავგანწირვით ვიცავთ
საზღვარს მოსკოვის ახლოს.

ბნელა ნარაზე დღისით,
ელავს — ქვემეხნი ჰქუხან,
ჩვენ კი, მკერდამდე თხრილში
ვზივართ, არ ვიხევთ უკან.

დღე მოიბურავს მერდინს,
ღამე იქცევა დენთად,
ომის ამ ქარბუქს ერთი
მოჰყვა სტუმარი ჩვენთან.

სველი ქურჭით და ქუდით
ბიჭი მოადგა ზღუდეს,
ზურგზე ჰკიდია ყუთი,
ყუთში საკრავი უდევს.

გზას მოიკვლევს და მოდის
ჯოხის ფათურით წინა,
— ძმებო! — იძახის უფოთით,
ახლოს ვინა ხართ, ვინა?!

წვიმამ გამწუწა სწრაფად,
დაღლას აღარა ვნადვლობ,
ჩემი ქალაქი — დაბა
გახლავთ მოსკოვის ახლო.

ბრმა ვარ ბედისგან კრული,
თოფს კი სჭირდება თვალი,
ვინძლო — ხილული გულით
ვნახო ცხოვრების კვალი.

დღე, მტერს გულს რისხვად მოხვდეს
ეს ხმა, — მეგრძოლი მტერთან,
და თუ დამჭირდა, — მოგვკვდე
თვალხილულბებთან ერთად...

ჩვენ კომისარი გვყავდა
მთლად ოქროსგულა კაცი,
იხზოვს ბრძანების დავთარს,
სწერს: მემგავროს ნაწილს!

და იმ ქარბუქში მაშინ,
ტყვიის ღვართქაფში, სადღაც,
ჩვენთან, მსროლელთა რაზმში,
ერთი მეგრძოლიც ჩადგა.

გზოდან გზა უხვევს შორეთს,
მოჰყავს ბლინდაუში ბილიკს,
მოჰყვა ამ ბილიკს სწორედ
იგი სიმღერა ტკბილი.

სიმღერა მეორე

დგება აღრიან დილით,
ბრმა მეგობარი ჩვენი,
დადის თხრილიდან თხრილით,
ჯოხის ფათურით, ბჯენით.

ყუთზე დაჯდება ხესთან,
— მოგცეთ კონცერტი, რაღა! —
თასმას გაუყრის მხრებს და
გაჰკრავს კლავიშებს ლალად.

ფეთქავს ნაღმები მტერთა,
მიწა იქცევა თხრილად,
ამ სიმღერასთან ერთად
ვართ უშოშრად და თბილად.

ომის ხმაურშიც აღწევს
მიზნებს სიმღერა მალა,
გულზე რა დარდი გაწევს,
შენ, მეგობარო, ახლა?

— მოდი, მომიჯექ ახლოს,
ყრმობა ვაიბო ჩემი,
რასაც ხედავს და ნადვლობს
გული მგზნებარე ცემით:

შოჩანს ტყეების ჩრდილი
შორს, ფლატების ზემოთ,
შენ, ბაიანო ტკბილო,
ფოლანდშია ჩემო!

შორს შოჩანს კვამლის ჩრდილი,
შორს, ბაიანო ტკბილო,
შენ, ბაიანო ტკბილო,
კეთილბუნია ჩემო!

შოჩანს ყორნების ჩრდილი
შორს, ტირიფების ზემოთ,
შენ, ბაიანო ტკბილო,
მხნე იარაღო ჩემო!..

დაე, სიცოცხლის პირად,
ჰანგებს გამოჰკარ გზებით,
თითქოს აუღერდა მწირად
შორი გარმონის ხმები.

იგი ჩვენს გულს ათბობს,
როგორც ამბავი ბრძოლის,
თითქოს გიგონებს სატროს,
ძმა — მეგობარი, ცოლი,

თითქოს ჰაერში მალა,
ცის ყინულოვან ქედზე, —
სული სიმღერას ახლავს,
წასულ გაზაფხულს ეძებს.

იგი სიმღერა წრფელი
მულამ ჩვენ თანა გვხვდება,
დნება თოვლი და... მწველი
ჰქრება სანგართა სევდაც.

სევდა, ვით მღვრიე თოში,
დნება... იფუნება ზვავიც,
გაღაშავებულ თოვლში
თეთრი ენძელა ჰყვავის.

და გაზაფხულიც მოდის,
მინდვრად მწვანეებს აგებს,
კვლავ გაეშალათ ტოტი
დამწვარ-დაღეწილ ბაღებს.

მაშ, მწვე ვუმღეროთ, ჩემო,
მწვე და გაზაფხულს მარად,
ჯანდი დაჰყურებს ზემოთ
რუსულ მდინარე ნარას.

სიმღერა მესამე

ნელა თენდება. ყინავს.
ტყეში კანკალებს მთვარეც,
ცაში მაშხალა ბრწყინავს,
მწვანედ ანათებს არეს.

მძიმედ ზანზარებს ფიჭვიც,
ფანტავს ყინულის ისარს,
დაბლა ცვივა და იწვის,
როგორც ნამსხვრევი ცისა.

ქარბუქს ამოჰყვა უმაღ
რკინის მძლეველი ჯარი,
შორს ბლინდაუები სლუმან,
შიგნით არავინ არი.

გაღმა ტყე იწვის დიდი
ცეცხლის ფოთლების ცვენით,
წინ, იერიშზე მიდის
ათასეული ჩვენი.

ქარი ზუზუნებს მწარედ,
ფეთქავს მინდორი ფართო,
ბრმაჲ კი გამოდის გარეთ,
ხელის ცეცებით მარტო.

ტყვია სისინებს მკვეთრად,
ირგვლივ ფოლადი დრტვინავს,
თვალხილულივით, მდღერად,
ისიც მიიწევს წინა.

დილა თენდება თეთრად,
დგება სინათლის ფერი,

წინ ბაიანი მდღერად
მიდის, უკრავს და მღერის.

მტერს კი ნარაზე ვრიყავთ
ტყვიის წვიმების დასხმით, —
ცეცხლში სიმღერას მიყავს
მამადეფიცულთა რაზმი.

მგლორად იღმუველა ნაღმა,
ცა აცახცახდა მკრთალად,
ბრმა დაეცემა დღმა,
დაქრილს ეცლება ძალა.

მაგრამ სიმღერის ხმები,
ომში მოკვდება განა,

ბრმასთან მიცვივდნენ ძმები,
წინ წაიყვანეს თანა.

დაუდევარი, ჩქარი,
ველზე შფოთვით და ძგერით, —
ხმას აიტაცებს ქარი,
„ინტერნაციონალს“ მღერის.

გვიხმობს უკვდავი კილო
შორს მწვერვლების ზემოთ,
შენ, ბაიანო ტკბილო,
შენ, იარაღო ჩემო!

თარგმანი
ალიო მირცხულავასი

თანაგონი

მ. ი. ს. ა. კ. ვ. ს. კ. ი. ს.

ამ კოცონებთან — ვერ გავარჩიე —
ხომ არ არიან ბავშვები ჩვენი?
როგორ დავბერდით, ვერც შევამჩნიეთ,
ბრძოლით განვლით სიცოცხლის დღენი.

ველზე გუგუნებს არტილერია.
ეჰ, წუთით მაინც მიწუნარდეს ახლა!
თმებში ჰალარა გამოგვერია
და მოერია ჩვენს გულს დაღლა.

მეხის ქუხილი ლიუბლინს გასცდა,
მეხის ხმას უხმენს რიგა, ვარშავა.
ყრმობის რამდენმა სიმღერამ, განცდამ
და ტრფობამ ფრთები ველარ გაშალა!

არ გავუბრბოდით უმძიმეს გარჯას,
არ გავაშინებდა ქარი და თოში.
ხუთი მომავალ თაობის ტანჯვა
გამოვიარეთ ჩვენს მოკლე დროში.

ბევრი გვინახავს სასტიკი შეხლა
და ცოტა შეგვხვდა დღეები მშვიდი.
აი, რას ნიშნავს, როდესაც შენ ხარ
თანამედროვე ეპოქის დიდის.

არ ვიბრალბდით საკუთარ თავსაც,
არ შეგვრევია სიყალბე ხმაში,
გაჭირდებოდა მწვერვალზე ასვლა?
ჩვენ უფრო მტკიცედ გავწევდით მაშინ.

ჯარისკაცულად ვაცხრობდით ნერვებს
და ჩვენს სიცოცხლეს ათბობდა აზრი,
რომ ჩვენ პირველნი მთელ ქვეყანაზე
განთიადისას ვხვდებოდით ფერებს.


დაე, ახალი ეპოქის გზები
იყოს ძნელი და გაუთელავი, —
ჩვენ ჩვენი ბედის ერთგულნი რჩებით
და ვერ შეგვიცვლის იმ ბედს ვერავინ.

*
*
*

ჩვენ წილად გვერგო საუკუნე ძნელი და მკაცრი,
რკინამ ამოსწვა ქვაზე ჩვენი გაჩენის წელი.
პირველი დღიდან დაბადების ეჩვევა კაცი
ჯარისკაცულ ხვედრს, რასაც იგი შემდეგში ელის.

მის თავზე დაჰქრის უღმობელი ომების ქარი
და მიდის კაცი, ასეთ დროუაშს განა მოცდები!
გაველურების საფრთხისაგან დაცული არის
ძმობის, მშვიდობის და სიმშვიდის წმინდა ოცნებით.

ასეთი არის ხვედრი. რკინას ეძმე, — იცოდე.
ნათელი დილა გამოჰყვება ხრამებს კვამლიანს.
ჩვენ სიკვდილითაც ხომ ვადიდებთ ნამდვილ სიცოცხლეს
და სიცოცხლედ კი უძლეველი და უკვდავია.



ამ შავ თხრილებში გვაგებია. გუეცხოვება?
ეს იყო ჩვენი ოცნება? არა.
და მაინც, ხედავ, ჯარისკაცის მძიმე ცხოვრებას
უნდა ვუმღერო მარად და მარად.

ველი ხავსა ვერცხლისფერი, თეთრი გვირილით
და მაღალი ცაც თეთრია ახლა.
გამიუხმება ხმა მძვივარე ქარში ყვირილით
და გულიც ჩემი უხეში გახდა.

რას იზამი ჩვენს ძმას ბედი მუდამ ამგვარი ჰქონდა
და არ წუწუნებს ბედის წინაშე.
ამიტომ არის შემერთალი და უხეშიც ოდნავ
ჯარისკაცული მისი სინაზე.

მაგრამ დავტოვებთ ამ ცივ სანგრებს ვიწრო მიწურებს.
და შინ გავიხდი სალდათურ ჩექმას,
იქნება მაშინ, როცა იგრძნობს გული სიწმენდს,
მეც მხიარული სიმღერა შევქმნა.

სოფიო კრევსს

მხარზე დამადე ხელი, სიცოცხლეც,
და მომამუქონ შენმა თვალებმა.
ო, ამ დღეებში, შენ რომ იცოდე,
ვნახე რამდენი ტანჯვა-წვალება!

ერთმანეთს ჰგვანან დღენი, ღამენი,
სულ მუდამ ცეცხლში ყოფნა ძნელია.
ჩვენს ბაგებთან მწარე ღარები
განა იოლად წაასულია.

მაშინაც, როცა სანგრებში ჩავა
მშვიდობა — მაცნე სიხარულისა,
ვგრ დავიბრუნებთ, ძვირფასო, ჩქარა
წონასწორობას ჩვენი სულისას.

მაშხალის ელვა ადარ იქნება,
სანგრებსაც მალე დაფარავს მოლი,
მებრძოლს კი მაინც დაეხიზმრება
ყუმბარის ხმა და გუგუნი ბრძოლის.

მე მაინც მჯერა: გაივლის დღეგმა
და გაცოცხლდება დამწვარ მიწაზე
იმ საშინელ წელს მოკლული ჩვენგან —
ს ი წ ყ ა რ ე.

წერს ნახევარწრეს ყოველი ტყვია,
როცა ჰაერში მიფრინავს ჩქარა,
და იგი სადმე თუ მომეწია,
მიიღებ ჩემი მეგობრის ბარათს.

საუნეიტოთა ცეცხლი თუ ტყვია
როს შეადუღებს ქვასა და ლითონს,
მოგიოხრობს მოძმის წერილი ღია
ყველაფერს, რასაც ვეტყოდა თვითონ:

რომ სივრცეს ნისლი ეხვია რკალად,
როცა მეომარს მიმუხთლა ძალამ,
ჩემი სიცოცხლის დასასრულამდი,
რომ გულზე მედო შენი სურათი.

რომ იმ სურათზე მომასულ წვერით
რკინამ დასტოვა სიკვდილის კვალი;
რომ ჰოსპიტალში შენს ყოველ წერილს
მე მიკითხავდა მეგობრის თვალი;

რომ შენი სიტყვით გამთბარი კაცი
ვდუმდი, მგმინავი ვერასდროს მნახეს;
რომ სიკვდილის წინ, ვით სულის ნაწილს,
მე ვახსენებდი შენს მოკლე სახელს.

კაცი სიკვდილზე არ ფიქრობს რიგით
შეტყვის ქარში და ბრძოლის გზაზე,
მაგრამ თუ მაინც მეწვევა იგი, —
იქნება ახე.

თარგმნა ხუბა ბერულაშვილი

1955 წლის 25 დეკემბერს საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ცნობილი საბჭოთა გეოგრაფის პროფესორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილის დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი.

ალ. ჯავახიშვილი სამართლიანად ითვლება გეოგრაფიულ მეცნიერებათა ფუძემდებლად და გეოგრაფიული სკოლის შემქმნელად საქართველოში.

ალ. ჯავახიშვილი დაიბადა 1875 წლის 5 (18) აგვისტოს ქ. გორში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თბილისში. 1895 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის მეორე ვაჟთა კლასიკური გიმნაზია და შევიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. აქ ალ. ჯავახიშვილი უსმენდა გამოჩენილი რუსი მეცნიერების ლექციებს ბოტანიკაში — კ. ტიმირიაზევის, ფიზიკაში — ა. სტოლეტოვის, ანთროპოლოგიაში — დ. ანუჩინის, ქიმიკაში — ნ. ზელინსკის, ცხოველთა ფიზიოლოგიაში — ი. სერენოვის და სხვ.

1900 წელს ალ. ჯავახიშვილმა პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ცნობილი პროფესორის ა. საბანეივის შუამდგომლობით დატოვებულ იქნა ლაბორანტად ქიმიის კათედრაზე.

1900-1917 წლებში ალ. ჯავახიშვილი კითხულობს ლექციებს მოსკოვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, იმავ დროს დიდ სამეცნიერო მუშაობასაც ეწევა ამიერკავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლის მიზნით, იკვლევს საქართველოს ცალკეული კუთხეების — ქართლ-კახეთის, გურია-სამეგრელოს, რაჭისა და მთიულეთის მოსახლეობას და თავისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს აქვეყნებს კაბიტალურ შრომებში „საქართველოს ანთროპოლოგია“ (ორ ტომად, რუსულ ენაზე). ამ შრომას რუსეთის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებამ მიაკუთვნა უმაღლესი ჯილდო — პროფ. ა. რასტორცევის სახელობის პრემია. 1913 წელს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობაზე ალ. ჯავახიშვილი ანთროპოლოგიის სექციის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს.

1923-1926 წლებში ალ. ჯავახიშვილი ქართულ და გერმანულ ჟურნალებში აქვეყნებს საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლის შედეგებს და ამ საკითხზე ბეჭდავს ვრცელ მონოგრაფიას სახელწოდებით „კავკასიის თანამედროვე მოსახლეობა“ (შედარებითი ანთროპოლოგიური ამოკვლევა, რუსულ ენაზე).

მოსკოვში ყოფნის პერიოდში ალ. ჯავახიშვილი მონაწილეობს მთელ რიგ სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში.

1917 წლიდან ალ. ჯავახიშვილი გადმოიღის თბილისში და იწყებს მუშაობას ჯერ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო 1920 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დარსებაშიც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო.

ალ. ჯავახიშვილის უშუალო ინიციატივით შეიქმნა გეოგრაფიული სპეციალობის ჯანყოფილებები ჯერ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში — გორში, ქუთაისში, ბათუმში, აგრეთვე, მოჰმე აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში.

1924 წელს ალ. ჯავახიშვილი ინიციატივით დაარსდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, რომელიც აწარმოებს დიდ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საქართველოში და გეოგრაფიული მეცნიერების პოპულარიზაციას საზოგადოების ფართო მასებში. 1945 წელს დაარსდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის ვახუშტის სახელი მიეკუთვნა. აღნიშნული ინსტიტუტი, რომელსაც დღემდე დაარსებისა ხელმძღვანელობას უწევს პროფ. ალ. ჯავახიშვილი, ნაყოფიერ მუშაობას ატარებს საქართველოს სსრ რესპუბლიკის გეოგრაფიული შესწავლის დარგში. ალ. ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით გეოგრაფიის ინსტიტუტმა გამოსცა რამდენიმე სქელტანიანი შრომა საქართველოს გეოგრაფიის შესახებ.

ალ. ჯავახიშვილის გამოკვლევები ეხება საქართველოს გეოგრაფიის თითქმის ყველა საკითხს — გეომორფოლოგიას, კლიმატოლოგიას, ფიზიკურ გეოგრაფიას, ეკონომიურ გეოგრაფიას, ლანდშაფტებს, მოსახლეობის გეოგრაფიას, კარტოგრაფიას, გეოგრაფიული მეცნიერების მეთოდისა და მეთოდოლოგიის საკითხებს, მისივე ხელმძღვანელობით მუშავდება ქართული გეოგრაფიული ტერმინოლოგიის საკითხებიც.

ალ. ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის ასზე მეტი შრომა, გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს რუსულ, ქართულ და გერმანულ ენებზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1926 წელს მის მიერ გამოქვეყნებული შრომა საქართველოს სსრ რესპუბლიკის გეომორფოლოგიისა და ზოგადი გეომორფოლოგიის შესახებ — სახელწოდებით „საქართველოს გეოგრაფია“ (ტ. 1, გეომორფოლოგია, გეოგრაფიული ატლასით). „ფრო გვიან 1947 წელს, მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ალ. ჯავახიშვილის შრომა „საქართველოს სსრ გეომორფოლოგიური რაიონები“, რომელიც სამაგიდო წიგნს წარმოადგენს გეოგრაფიისათვის. მისივე უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა საქართველოსა და ამიერკავკასიის გეოგრაფიული რუკების მთელი სერია, — სულ 22 რუკა.

ალ. ჯავახიშვილი დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა. გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის მრავალმხრივი მოღვაწეობა დიდად არის დფასებული საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის მიერ. 1944 წელს საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ხანგრძლივი ნაყოფიერი და უპრობლო მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პროფ. ალ. ჯავახიშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, აგრეთვე შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლით „მამაქური შრომისათვის დიდ სამამულო ომში 1941-1945 წ.წ.“





ლი“ ნაბირი. უცხო, უმამო, ალბათ უღვთოც... სრული მარტოობა: იქნებ, ობლობაც!

— არა, არა... მამა! — უკვე დაღლილ კენხვად ამოსლიდა ათასჯერ ნამეორევი ძახილი, ამოა ძებნა.

გახდა, გაძვალტყავდა, ხმა ჩაეხლიჩა. ხოლო ცრემლი და ნერწყვი რომ ამოუშრა, უგზო-უკვლოდ დაჰყვა ნაპირს.

ახლა მას, ამ უცხო სამყაროში, არავინ გაჩნდა, გარდა უბეზო შერჩენილი დედისეული ციკქნა ჯვარისა და მამისეული „სიტყვის კონისა“, მამისმა — მამუკა კახნაურმა რომ უკიდა ძველის ბაზრობაზე. ახლა ესენი იყვნენ მისი დედ-მამა, იმედ-ნუგეში.

მაგრამ შიმშილმა ძალა გამოაცალა და კვირის ბოლოს, იმავ სახიფათო და მსაკვარ გზაზე გამოავლო, ციკქნა ჯვარისა და ქართული „სიტყვის კონის“ უბადრუკი პატრონი.

ფრთხილად ვიღვარა, ოთხმხრივი ყური გამოიბა. უკანინად მოსწვდნენ ცხენოსნები. უმალ წაწვა, მიწა — კაქაჰს გაეკრა, გზის მიღმდინ თვალი გააულო. ლეკები იყვნენ, მაგრამ ჩვეულებრივი შიში აღარ უგრძენია ზაზას. უფრო ძლიერად სხვა ფიქრმა ააბორჯა: „სურჯინებში ალბათ საქმელი აქვთ?!“ მოწინააღმდეგე ნადირივით აედევნა მათ ზაზა.

გაჯვარდინებზე, ქვის ღარიან წყაროსთან, დადგნენ და წახიემეს ლეკებმა. მათი წასვლის შემდგომ, წყაროსთან მიიჭრა ზაზა. ქერის ბურის ნატეხები და ყველის ნაცვქვენი ნახა. არც ერთი ფინახ არ გაუშვია.

მერმე წყაროს თავზე ჩამოსულ, მცირე ბუჩქნარში ჩაბურულ დარდას შეაფარა თავი. წყარო გაიხდა სათვალთვალთაფრივად.

ახლა აღმა აიარეს მგზავრებმა. ისინი შედგნენ წყაროსთან. შეისყვენ. მათაც დარჩათ ფინახები, გაურჩავი ძვლები, ქვამარილის ნატეხი და სხვა „უგემრიელესი“ რამ.

ზაზა აღარც მოშორდა წყაროს. თავის ბუნავში მიწვა და მალე, „მეფურად შენაყრებულს“, ჩაიძინა კიდევაც.

ცხენების ფრუტუნმა და ხმაურმა გამოავლინა. უკვე ღამე იყო. წყაროსთან ვიღაცეები ჯარად იდგნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ. არა, ლეკები ენას არა ჰგავდა. ლეკები არც ასატეხდნენ ტყეში ღამიანად ასეთ ხმამაღალ საუბარს. მოსულნი არც სამოსით ჰგავდნენ ლეკებს. ჩოხები კი ეცვათ, მაგრამ სხვა ყაიდისა და არც ყველას. ქალების ხმაც ისმოდა თითქოს.

„ტყვეები თუ მიჰყავთ?!“ გაიფიქრა ზაზამ და უფრო გაინახა, კრიკა შეიქრა ხელით, კბილების ქნაქნუქნის ხმა არ მისწვდნოდა მოსულთ.

მალე, რამდენიმე ადგილზე, ციკქნო დაანათეს, დალაგდნენ მოსულნი. გაშალეს ნაბეჭები და საგზალი. ზაზამ ციკქნის შუქზე შეამჩინა — მხედრებმა სამოტოკად დააუღდეს თოფები და გუშაგები დააყენეს ორ მხრივ.

მალე კარვებიც გაშალეს, ტვირთი ჩამოხსნეს ცხენებს.

ერთი კოკონი, ზედ წყაროსთან, გზისპირაზე ენთო. ციკქლი რომ აეკიდა, ულვაშამოფაფხული კაცი შეამჩინა ბიჭმა. ყველას ის უჩვენებდა ადგილს. მისი რიხიანი ხმა ყველგან გაისმოდა. ქული გვერდზე მოეგო, ასევე თავგვერდული ქოჩორიც მოეშვა.

„ეს თუ არის მათი ბელადი?“ გაიფიქრა ზაზამ და შიშმა აიტანა.

ბანაკში აშკარად არა მებრძოლი ხალხიც ჩანდა, ქალებიც. მათმა სითამამემ და მალაღმა კისკისმა გააკვირვა კიდევაც ზაზა.

ულვაშამოფაფხულმა სულ ახლოს ჩაუარა ჩასაფრებულ ბიჭუნას.

არა, ლეკს სრულიადაც არა ჰგავდა „ბელადი“, ცხვირბაჭუა გამოდგა და ჭარბჭალარა ნარიევი ქერა. მაგრამ აზრი ებლანდებოდა ზაზას. — ქვაბებს ჯადოძალის ოსწივარი ასლიოდათ. ვახშობდნენ ზოგნი.

„მოი, რამდენი ფინახ-ნამცევი დარჩება ამოდენა ხალხს?“ ჰფიქრობდა ზაზა, მაგრამ, შიმშილის საწადელს, — ცნობისმოყვარეობაც ლოკოკინასავით შეაფორთხდა: „ღმერთო, ვინ არიან?“. შიში მაინც იოკებდა გაჭირვებულ მოთმინებას და „ანა-ბანა ბიჭი“ თავის ბუნეგადს არ იძროდა. ათროლოლებული ნესტოებით ყნოსავდა ჰაერს.

ბანაკში კი მოითავეს ვახშობა. „ბელადმა“ პატარა დიდი არაკრავა ჯოხებით. ყვარაზე დაცვენილ ხოშაკაას ემსგავსა ხმანი. მის გაგონებაზე გუშაგებიც გამოიცივდნენ. ყველა მიწვა-მოწვა... უეცრად გაუჩნდა ბანაკი. „დახე, რა ძალა ჰქონია ამ პატარა დოლს?! ზარის სამაგიერო არ ყოფილა?!“ ფიქრობდა ზაზა და გაფაციცებით აკვირდებოდა ყოველ წვრილმანს.

თანდათან რული მოეკიდა ბანაკს. მოხუცი „ბელადი“ ციკქლთან მიჯდა, იქნებ წასთვლიმა კიდევაც. და მაშინ მოხდა ზაზასათვის ფირად მნიშვნელოვანი ამბავი. ჯერ იყო და ცხვირი ხმინად დააცემინა მოხუცმა, მერმე ცერა თითი ცალ ნესტოზე მიიღო და უფრო ხმინად „ცალ-ნესტოურად“ მოიხილა.

„არა, ეს მთიელი არაა! ასე მთაში არავინ იხილავს ცხვირს!“ დაასკვნა ბაღდამა და უფრო დააკვირა „უცხოს“. მოხუცს, ახლა კი, აშკარად რული შეეპარა, დაამთქარა. ისიც ხმინად დაღია პირს ჯვარი გაღასახა.

ეს ნათლივ დაინახა ზაზამ, უბეზე იტყვა ხელი. იქ მასაც ხომ ჯვარი აქვს?

მაგრამ „სიტყვის კონაც“, ქართული „სიტყვის კონაც“ ხომ გაჩნდა? მისი „უბის საქართველო!“ იქ სწერია, დაახ ასხოვს — მთას იქით... ქრისტიანად მხოლოდ „რუსი“ სწერია... „ალბათ რუსები არიან! ქრისტიანები?!“ კინაღამ ზეზე წამოიჭრა, მაგრამ ისევ დასძალა შიშმა. თავისებური სიბრძნე შეჰმატა: „რომ შევცდებ? გათენდეს. დილით კარგად ვნახავ“. და თვალს ვეღარ აშორებდა „ულვაშა ჯვაროსანს“.

დაღი ხანია ბანაკს ტკბილად სძინავს, მხოლოდ გუშაგები ჩრდილებივით მიმოდიან. ბუჩქებს უკან ზაზაც ძილ-ფიხილობს. ეს არის, რომ ღელვა-შეშინებან დალოდლ სხეულს რული ერევა მაინც. მთვარეც ზანტად მოგორავს ცაზე. ნიაიცი ზაზად აჩქროლებს ბუჩქნარს. ქუთუთოებს კი სიმძიმე ემატებათ.

სიზმარმა მოსტაცა ფიქრი: მამა იხილა... უცნობი ცხვირბაჭუა ულვაშაც... მერმე გრემი წარმოუღია თვალ-

წინ. ზართ-ბატონი — ფილო-მნათე რომთავე ხელით რეკავდა ზარებს. ენოს კარზე — ჯილაურიანთ ხალიანა სტიროდა. სულ მალლა კი დედა იყო — წიწილებს უყრიდა საკენს.

ბუჩქნარის ახლო შრიალმა გამოაფხიხლა. უმალ აზრი იკრა. ნადირივით გაისულრა. ექვე არ იყო, დილა-ბინდში გააჩნია — მიყუჩებულ ბუჩქნარში ვიღაც ფრთხილად იკვლავდა სავალს. უკან მეორე ჩრდილიც მოჰყვა. მიწა-ხოსურით მიდიოდა. და სულ ახლოს ლეკური ჩურჩული ისმინა ზაზამ: — დროა?!

— არა, ცოტაც ინათოს! ჯერ გუშავი... უხმოდ... დამფრთხალ ზაზას აქაც თავის „გამბაცებელი პატრონის“, ალხაზ-მურზას ხმა მოეღვინა. ვერხვის ფოთლოვით ათროლოდა...

აღმოსავლეთით კი აისი ფეხმარლად დგებოდა. ძალიმ ჩაბუზნული ბანაკისათვის ბაცი მტრედისფერი გაეკრა. ზაზას ირვვლივ თითქოს გაციცხლდნენ დანამული ბუჩქები, ავ, ჩავუბულად აშინდნენ. ლეკები ფარულად გარს უვლიდნენ მძინარეთ. ციკქლის პირას მალალი ხვრინვა ისმოდა. გუშაგები კი ზანტად ლასლასებდნენ ბანაკის თავ-ბოლოში.

უეცრად ერთი გაჰქრა. თითქოს გადავარდა ბუჩქნარში. ერთი შეშრიალდა ბუჩქნარი და უმალ ჩაღვინდა. არავის არაფერი გაუგია. ზაზა მიხდა მხოლოდ. ალღომ თუ წამოავლო, ფიქრზე უსწრავებს, ერთი ნახტომით ჩასრილდა წყაროსთან, ლეკურად გახოსდა და თავს წაადგა ციკქლის პირას მძინარე მოხუცს.

— ლეკები! ძიარუსო! ლეკები!! — ხმადანშულად მიამახა, ხელით შეადგინა. რუსმა თავი წამოჭყო, გაკვირვებით შეჰხედა ჩამოძინილ ჰაბუქს.

— არიქა, მოდიან! — აჩქარებდა ზაზა, ხელებს შლიდა, გულში იცემდა, რითაც სულ გააოცა ნამძინარევი რუსი ბერიკაცი.

ზაზამ იაზრა, ვიდრე ისინი გაუგებდნენ ურთიერთს, ლეკები თავს დაესხმოდნენ, დაარბევდნენ მძინარე ბანაკს. „ზარის მაგიერი“ დილი მოაგონდა, მიეჭრა თოფ-ხარინებზე ჩამოკიდებულსა და ასავსებელი მუშტები დაჰქრა. არა მწყობრად, მაგრამ ძლიერად აახმინა.

ბანაკში უმალ განგაში ჩავარდა. რუსმა ხელი უტაცა, მაგრამ ზაზას დოღჩაგრიალმა მიჯანს მიადწია, წამოჭრილი მებრძოლები უკვე აუღარუნებდნენ იარაღს. მოხუცმა გულმოსულად შეუტანა და ყურში სწვდა ზაზას.

ამ დროს გუშაგის თოფიც გავარდა. ცოტაც და თოფების გრილი და ყუთის გარს შემოადგა აშლილ ბანაკს.

ლეკებმა მაინც სცადეს გზაზე გამოჭრა, მაგრამ წამოსწრებულმა კაზაკებმა უკუაგდეს.

ბროძლასი დაათენდათ. მზე რომ

ჩრდილო დაღესტანი, შერეულად მზე-ჩრდილიანი იყო. — მთის ნისლს უკვე ველისა და კასპის ოსწივარი სცვლიდა, ქედებს — შემცირებული ღრანტეები და გორაკები. სულაყის ჭალებშიაც და ხევ-ხერგილებშიც „შერეულად“ ჩაწოლილი მთა-ბარი, ხან უეცარი ქიმი, ხან ეკალ-ბარდანი ტაფობი. კვერნაქებზე შეკიდებულ ტყეებს, წინსაფრებად, ფერდამოშლილი ქვაკრები აპკროდათ. უფრო ქვევით კი წვერკიკინა ჩალიანები მოვლდებოდნენ ქობებდა, სალტადდნენ კიდე-ნაბირებს. და მაინც ამ „აღარც მთა — აღარც ბარი“ ჩვეულებრივად დიოდა ტანსაცემი და მჩქეფარე მდინარე. ჩვეულებრივად შრიალდებდნენ ნამიანი ფოთლები. როგორც უმალ, სასირობდნენ უპირავი ველური იხვები, გრძელნისკარტა წყლის ქათმები. მაცვლიანებში, დილიდობით კრიახობდნენ ხობბები. ზაზას კი ყოველივე სხვა ხმითა და სხვა სახით ესმოდა და ელანდებოდა. ან კი რა მოუვიდოდა — ათი წლის, გრემელ „ანა-ბანა ბიჭს“, ასე „მთას იქით“, მოუსავლეთში გადაკარგულს.

მას ხეირიანად აღარც კი ახსოვს, რამდენი დღე-ღამე იბორიალა აღმადამა. რამდენი შიში და გულის სახეტქი შეხვდა. ყველაფერს უფრთხობდა — სულიერსა და უსულოს, მაგრამ ყველაზე უფრო კი მაინც გზას გაურბოდა იგი, იქ ეგულდებოდა ყველაზე უფრო სახიფათო ნადირი.

თვალწინ წედანდელივით უღვა — ალაზნის ქალა, ლეკების თარეში, ტყვეობა, ალხაზ-მურზას კოშკი, ურდული, ბორკილები, გამოქცევის შავწვიმიანი ღამე. მამის წინმავალი ღანდი, მდევარი, და ბოლოს ეს მდინარე — მათი ერთადერთი მამეგელი თუ მღუპველი. თვალ-გულში ჩარჩა შეცურებული კუნძი, გაწამებულ მამის სველი თავ-კისერი და უეცრად — როგორც თავზარი — გველფშაპის ზურგივით ხერხემალა კლდე. აქ კი ყველაფერი ირეოდა: ყალბზე შემდგარი კუნძი, — დრმა ყურყურმალი, თავგაზანთული წყალჭიდილი. ისევ ალაზნურმა იღუთმა იხსნა, იხსნა, მაგრამ... მამა?

ესიც „ენამოწეწილი, ნიკაპლარუ-

...

...

...

...

...

...

...

...

...



მალა აიწვრა, მაშინდა გაეცალნენ ლეკნი. ათიოდ ცხენი მაინც გაეტაცნათ. გულშეკვი მოეღვლით. დაპრილებიც იყვნენ რუსთ ბანაკში.

დაშოშინების შემდგომ, კაზაკები ზაზას შემოდგენენ ირგვლივ. რაღაცას ეუბნებოდნენ. ის კი იღვა და ცრემლს უღვარებდა. ისევ მოხუცმა იხმო, ხელი მოჰკიდა და მაჯაზე შერჩენილი ბორკილის ნაწვეტიც გაუსინჯა. ახლა უბე გადუხსნა, პირველად „სიტყვის კონა“ მოედო ხელში. დიდხანს ატრიალა მცირე წიგნი. ისევ ზაზას გულის პირს მიუბრუნდა, ახლა ციციქა ჯვარი უპოვნა.


— გურჯი?!
— ჰოდა! — გურჯი! ქართველი ვარ! კახი! — ბოლოს ერთი სიტყვა მაინც გაიგო ზაზამ და ისევ ცრემლი მოერია. მოხუცმა ბაღდადით ამოუწმინდა თვალის უბეები, ჩაცვენილი დაწვეები. ცეცხლის პირას დასვა და თავის კანტურით — პური მიაწოდა.

ზაზას ყველაფერი დაავიწყდა, ორთავ ხელით სწვდა პურს და დაუღებავ ლეკებს ცრემლი ჩაატანა. უმალ შეტრიალდნენ კაზაკები, ზოგმა ხორცი მოიტანა, ზოგმა ხაჭო-ყველი. ერთმა არაუციც კი შესთავაზა, მაგრამ მოხუცმა არ დაანება.

— აბა, ნოგირინ, რა გაიგე? ვინ არის? — ჯგუფს, ასისთავი დანილოვრუსინი წაადგა. მათე ნოგირინი გევიქიმა ასისთავს და რუსულად მოახსენა.

— ქართველია, ლეკთ ტყვეობიდან გამოქცეული აქან ასტება განგაში! გვიხსნა!

— ყოჩაღ! — ასისთავმა ხუტუტუ ქორორზე ხელი გადაუსვა ბიჭს. შენაყრებული ზაზა ახლა გონებას



აღარ გაუშვეს. დარბევა ვერ მოუხერხეს, მაგრამ გზა კი შეუფერხეს.

უკან გამობრუნდნენ რუს-ვაჭრები. თერგზე სანაო ჰქონდათ რუსებს. გაღმა კი თავისუფალი, უფრო სწორად, თავისებობა კაზაკების სტანიცა-სოფლები იყო.

სუნჯა-თერგის ხერთვისში ჯერაც იყო იოანე მარსხანეს მიერ ჩადგმული ხლოდ შემდეგ მოშობილი, ციხის ნანგრევები.

ციხის მოშლა ყირიმისა და სტამბოლის თურქთა დასამშვიდებლად იყო ზრახული. ეს „დამშვიდება“ დიდ ციხის დანგრევასა და მეფის მსოფლთა წასვლაში გამოიხატა. არსებითად კი თერგის ციხეს კვლავ სკოლად მტკიცე გალავანი დარჩა და თავისებობა კაზაკების დარაჯები ქონ-გურებზე ისევ ახმინებდნენ საგუშაგო სარაკუნებს და თურქთათვის თითქმის თავისებობით ისევ ხმავდნენ შამხალ-დარუბანდის გზას.

სანაოზე გასვლის შემდგომ, რუსთა ქარავანი, შედარებით სამშვიდობოს ითვლებოდა. აღარ ჩქარობდნენ. თერგის მყუდრო, ჩალიან ნაპირზე შეისვენეს.

— აბა, როგორ ხართ შენ და შენი ტყვე? — ეკითხებოდნენ მათე ნოგირინს კაზაკები.

— არა ტყვე, არამედ — მხსნელი ჩვენი! არ აეტება განგაში, ვნახავდი თქვენს გახვრეტელ ცარიელ თავებს! — დაუტაცანე და მათ ნოგირინი.

— მართალია, მაგრამ ეგ ქორორა... შენი ტყვეა მაინც?!

— არა ტყვე, არამედ — შვილობილი, მაშა! დამოთმბა მეც მომხედა, მაქმარა მარტოდ ხეტიალი.

დასვენებისას მათე თერგზე ჩაიყვანა თავისი შვილობილი. სიცხე-დამცხრალ დაისის დროს წყალი საამო იყო. მგზავრები თერგის ტალღებში შეტყურებულყვენ და უვილი-ხივილით ბანაობდნენ. მათე თავის უცარი შვილობილით დიხვად მიდიოდა ნაპირ-ნაპირ.

ზაზა გაკვირვებით შეტყურებდა ბრეკ კაზაკებს, რომლებიც ქალებთან ერთად ბანაობდნენ. ერთი ხარხარი და ტყუშმალაობა ჰქონდათ. კახელ ბიჭს მოაგონდა ალაზანზე ჩაპარული გოგონები, რა წიკს შექმნიდნენ ხოლმე, თუ სადმე ახლოს ბიჭები ჩაივლიდნენ ანაზდად.

— მათე! აქეთ მოდქით, აქეთ! — შესძახებ ქალებმა მათ დანახვავე.

— აქ მოიყვანე... ჩვენ გაგბანთ შენს ხუტუტა ბიჭუნას! — და ორი დედაკაცი, თითქმის დედიშობილად, ამოეგება მდინარიდან.

— იქნება მართალი? კეთილი საქმე! — და მამობილი ზაზას მოუბრუნდა, მაგრამ იგი ხელდან გაუსხლტა და ჩალიანს შეფარა თავი.

მათე სახტად დარჩა. მერე დედაკაცებს შეუტია:

— აბა, თქვე უსრცხვიოვებო! ბიჭუნას გადამირცეთ. გამეცალენით! — და შიშვლებს წყნელი მოუწაცვლა. ხორხოცი და გნაისი გაღმა ნაპირს

გასწვდა. გარეული იხები გაავრთხო. მათე ჩალიანში იბოვა „თვალქვიანი და ქცევა-უცნაური“ ბიჭუნა. დაუშვავა და მყუდრო ადგილას ჩაიყვანა თერგში, საპირი მისცა, ზურგიც დაუწოლა, თავიც დაჰბანა.

ბორკილ-სამაჯურის გაცლა დაუპირა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ზაზა უსიტყვოდ ემორჩილებოდა უცხო მამობლის და მის ნორჩ გულში მშობელი მამის ხილვის სურვილი ცრემლბდა თაველობდა. ბოლოს ტირილად და ზღუტუნად იფეთქა. თავს რომ ვეღარ მოერია, მიუხედავად წყალშიშთანობისა, მაინც წყალში ჩაყვდა თავიანად, და როდესაც ამოყვინთა — აღარ სტიროდა. მათე, ასე მოულოდნელად გაჩენილ შვილობილს, თავისი მარჯვად პირანგი ჩააცვა. ქვევითაც მობანავებეს გადასძახა:

— აბა, ხუტუტა ბიჭს, ჩვენ მხსნელს, თითო რამ შესაბოისი გამოუღეთ. ოღონდ ტანზე ჩაიცივთ — ისე არ მისვითო!

და სულ მოკლე ხანში, მგზავრობის ხელმოკლეობაში, უცნაურად გამოწყობილი ზაზა, ხის ძირში იჯდა და ირგვლივ რუსები შემოსდგომოდნენ. შარვალი აურჩიეს, მაგრამ მაინც დიდი აღმოაჩნდა. თათებწაკეცილი ჩაცვებს. ცალ-ცალა წინდებში უშოფენს ქალებმა. ფეხებზე კი არცის ხის ქერქის ქალამნები მოუწნეს სახელდახელოდ.

ზაზას ჩაკონკილი ძველმანი მათე რუსმა თავად გასინჯა და „სიტყვის კონის“ გარდა, ყველაფერი გადაჰყარა. ხელნაწერი კი გადაშალა და, წიგნის ხამის უნებური კრძალვით, დიდხანს ჰფურცლა.

— რა, რა არის ესა? რად გინდა? — შეახვერ ეკითხებოდა და თავს უქნევდა. ზაზამ აბა რა იცოდა რუსული, მაგრამ გაუგო:

— წიგნია... „სიტყვის კონა“... ქართული...

— ციგნა? კარტულა? — იმეორებდა რუსი და ვერაფერი გაეგო.

— ნუთუ კითხვა იცის ამ ღლაბმა? — იკითხა მოსულმა ასისთავმა. — აბა ვნახოთ? — კონა საალაბდლოდ გადუშალა, პირველ სტრიქონს თითი დაადო:

— ნუ-კა? ზაზა მიხვდა, წაიკითხა...

— ქული... — კული? — გამიერო რუსინმა — იმ ტი... სცოდნია.

— კული კი არა, ქული, აი! — და რადგან თავისი არ გაჩინდა, მამობლის ქულს შეეხო.

— შაკა? — შესძახა მათე და ამაყად გადახვდა მსმენელთ.

— შაკა... — დამარცვლილად გაიმეორა ზაზამ. — შაკა... — მიმოიხედა, მამობილს ჩეჭმის ყელში ხის კოვ-ნი დაუნახა, ამოაძრო და სილაზე ქართული ასოებით დასწერა: „შაკაკა“.

ხალხი სასწაულივით უმწერდა ქართულ ასოებს.

— ანუ-კა! — ერთი მეცი! — ჩანთა

მოიგდო, პური ამოიღო ცალწარბა კაზაკმა.

— ხლებ! პიში — დაწერე!
— ადგილი ადგილი! — რკალი გაფართოვა მათე. ხალხის ნაგვენი სილა ხელის ვუღლით გასწორა და ახლა თავად მიწრიდა ყრვნი.

— ხლებ! — პური! — სილაზე დასწერა ზაზამ და კონა გადაშალა.

— პური... აი! — ყველამ ცნობის-მოყვარეობით ჩაახვდა უთავფურცლო, სიძველისაგან გაცვეთილ „მთასიქითა წიგნს“.

წარწერიანი ქვიშა-სილა მოედანი თანდათან ფართოვდებოდა, სიტყვების რაოდენობა მატულობდა. ყველას სურდა, მისი ნათქვამი სიტყვა ენახა ქართული ასოებით სილაზე ნაწერი. მხოლოდ ბინდმა გაჰყარა თერგისპირა „მწიგნობარნი“. სულ ბოლოს მათე და მისი შვილობილი გასცილდნენ „ქვიშა-სილის“ წიგნს.

ძილის პირზე ერთად ილოცეს... შუადამისს კი, მამაშვილურად ჩახუტებულნი, მშვიდად ფშვინავდნენ ორთავე. ზაზაც მიუხრებულყო მოხუც კაზაკ-რუსის გვერდით, რომელიც არაფრით არა ჰგავდა მამამისსა და ამავე დროს, თითქმის რაღაც ჰქონდა საერთო.

დღითი მათე რომ გაიღვიძა, ზაზა არსად ჩანდა. უცოლშვილოდ და მარტოხელად დაბრუნებულმა მათე გულსაოცარი სიკარებელ იგრძნო. უმალ წამოდგა, ძებნა დაუწყო ზაზას. ყველგან გაიკითხა. ჰაბუკი არსად ჩანდა.

მაღე მთელი ბანაკი წამოიშალა და უფრო ბეჯითად დაუწყეს ძებნა დაკარგულს.

— გაფრინდა შენი მეცნიერი! — ეუბნებოდნენ მათეს.

— ნო, ნო! არ იქნება ეს, არ იქნება! — უკვე შფოთავდა მათე. — აბა რა გზა აქვს ნატყვევარს?

— მე გეტყვი, სად იქნება! აბა იქ ნახე, მდინარის პირას, სილიანთან, — მოისაზრა დანილოვრუსინმა.

— მართალი! მართალი! იქ იქნება! — და ყველანი იქით დაიძრნენ. ბუჩქნარებს რომ გასცდნენ, დანახეს ზაზა. იგი ხან სილაზე ნაწერს უმწერდა, ხან თავის ხელნაწერში ინიშნავდა რაღაცას. ისევ მიჯრას აპირებდნენ მგზავრები, მაგრამ მათე წინ გადაუდგა, ხელი ტუჩზე დაიოდა და ჩუმად წასწერდა თავმოყვით:

— ვერა ჰხედავთ, მშობლიურ ენაზე წერს, ლოცვასავით საქება. ხელი არ შეუშალოთ. წადით აქედან.

ყველანი გარეკა, თავად კი შორი-ახლოს მიჯდა და გულმოდგინედ დაელოდა, სანამ ჰაბუკმა სილაზე ნაწერი სიტყვები თავის „უბის საქართ-ველოში“ არ გადიტანა.



ატანდა ძალას. მიხვდა, რომ „რუსთ ბელადი“ ეს ახოვანი, ქერა მხედარი იყო და არა უღვაშა მოხუცი.

მაღე აიყარა ბანაკი. ყველას თავისი საქმე ჰქონდა და ზაზა მარტო დარჩა, მიფერფლილ ცეცხლთან.

ყველანი რომ ამგზავრდნენ, ისევ მოხუცმა, მათე ნოგირინმა ცხენდაცხენ მოაკითხა ჰაბუკს. დიდხანს ეუბნა. უშედეგოდ. არა ერთგვის საჩვენებელი თითი უბაკუნა დახეულ გულის პირზე.

— ზაზა, მქვია, ზაზა! — ბოლოს მიუხვდა ბალდი.

— ნუ, ზაზაი — ტაკ ზალეზაი! — და ნოგირინმა ცალი უზანგი დაუთმო, ცხენზე შემოისვა უკვე მაძრად დაპურებული და ნუგეშნაცემი ზაზა.

აშთარხნელი ასისთავი ეგნატე დანილოვრუსინი თავისი მეთოფურებით, შირვან-შემახიას — აბრეშუმის შესაძენად წამოსულ რუს ვაჭრებს ბადრაგობდა. მას საიდუმლო დავალებაც ჰქონდა, კავკასიონის ჩრდილო კალთებისა და სამხრეთის სავაჭრო თუ სამხედრო მნიშვნელობის გზები დაეჭვრა. რუსი ტყვეებიც გამოესყიდნა, მათ შორის ტოლმარ-მოენეებიც შეერჩია.

მაგრამ ვაჭრებს, ტარკუს მახლობლად, შამხალის მხედრები გადაუდგნენ.



საქართველო
საქართველო
საქართველო

ნ. გრიშაშვილი
ვასო აბაშიძის
ხსოვნად

რა მოგონება გიძღვნა ამჟამად,
როცა ყოველ წუთს ხარ მოსანატრი.
თუ შენზე რამ ვთქვი — ეს ხომ იქნება —
განუყრელობა, — შენ და თეატრი!

ძველ ქართულ თეატრს, ბუნებით მდიდარს,
მაგრამ მიგდებულს ბედის ამარად,
ერთგულ გუშავად გარს შემოურტყვი,
როგორც „გიჟყას“ ვერცხლის ქამარი!

შენ რომ იტყოდი მსუქნად: „ერიპა!“
მე ეს გამოთქმა მალეღვებს ახლაც,
შენ და თეატრი ძმობილები ხართ,
შენ აამაღლე, მან აგამაღლა!

შენი მიმიკა — ნაქვების კრთომა —
შენი ღიმილი ცრემლში ნალესი,
ეს იყო ქართლის ნიჭის ზეიმი
და სიხარული უმწვერვალესი.

შენს მერ თქმული ყოველი სიტყვა,
იყო სუნთქვა და ხალხის გულს ბზა;
შენი შემოსვლა ქართულ თეატრში
იყო მოვარდნა გაზაფხულისა!

გვენატრებოდა თავისუფლება,
და, ჰა, ჩვენც დავხვდით ხელამართული.
ასრულდა შენი გულის მურაზი,
აღსდგა, აყვავდა სცენა ქართული.

დღეს, როცა მტკვარი ნაოჭებს ჰკეცავს
მე შენი სახე მომაგონდება,
დღეს, როცა შენს როლს ვინმე ასრულებს,
შენ რომ არა ხარ, — გული ღონდება.

დღეს, როცა ვხარობთ... და დრომ ახალმა
მტერს სასიკვდილო დაღი დაასო,
რატომ არა ხარ, ახლა ჩვენს შორის,
უფროსო ძმაო, ძვირფასო ვასო!

დავხაროთ თავი და შოთის პურზე
დავწინწკლოთ ვასოს შესანდობარი...
ის თქვენ გელოდათ, ახალგაზრდებო,
ის, ჩვენი მამა და მეგობარი!

დავხაროთ თავი... და ჩემი ლექსიც
მოსავონარი იყოს იმისი,
რომლის სახელიც მარად იელვებს,
ვიდრე ელვარებს დედა-თბილისი.

ვასო აბაშიძის ხსოვნად

თუ ამჟამად ჩვენ ვიცით ქართული ხელოვნების ძირითად ძეგლთა თარიღები და შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მისი ისტორიული განვითარების უწყვეტ ხაზს, თუ თავისუფლად ვლაპარაკობთ სრულად თავისებური და თვითმყოფადი ქართული ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობაზე — პირველყოველსა თვალწინ დაგვიდგება ქართველი საბჭოთა მეცნიერის — ხელოვნებათმცოდნის, საქართველოში სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილის ღვაწლი და ნამაგარი. იგი იყო სწორედ ის მეცნიერი, რომელმაც ამ ორმოცი წლის წინათ თავაჯ ქართული ხელოვნების ისტორიის მეცნიერული, ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით შესწავლა.

გიორგი ჩუბინაშვილი დაიბადა 1885 წლის 21 ნოემბერს პეტერბურგში. იქვე დაამთავრა 1905 წელს გერმანული სკოლა და სწავლა განაგრძო ჯერ ლიბციგის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტზე.

1914 წელს, ზეპირი გამოცდების ჩაბარების და საღისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, გიორგი ჩუბინაშვილმა მიაღწია ფილოსოფიისა და თავისუფალ ხელოვნებათა დოქტორის დიპლომს. 1915-16 წლებში იგი აკად. ნიკო მარის მიწვევით მუშაობს ჯერ ანისის სიძველეთა მუზეუმში, ხოლო შემდეგ თბილისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. დიდი ინტერესი სთმობდა ხელოვნების ისტორიის, რაც შემდგომშიც ახასიათებდა გიორგი ჩუბინაშვილის მოღვაწეობას, სასწავლებელთა გასაგებია — მას მართებულად მიაჩნდა, რომ სომხური ხელოვნების დეტალური შესწავლის გარეშე შეუძლებელია მუშაუყუენეთა ქართული ხელოვნების ევოლუციის სწორად გაშუქება. მას ეყუთვნის რამდენიმე ნაბეჭდი ნაშრომი ნაშრომი მუშაუყუენეთა სომხურ ზღოთმომძვრებაზე.

1918 წელს გიორგი ჩუბინაშვილი საბოლოოდ გადმოსახლდა საქართველოში, თბილისში. თბილისის უნივერსიტეტში, სადაც იგი არჩეულ იქნა პროფესორად, მან ჩამოაყალიბა ხელოვნების ისტორიის კათედრა და ე. წ. ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი. 1921 წელს კაბინეტის თანამშრომლად მოწვეული იქნა ზურაბთა მოძღვარი ნიკოლოზ სევეროვი, რომელიც იმ დროიდან მოყოლებული, მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად ქართულ ძეგლთა აზომვა-შესწავლაზე.

გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერულ და მოქალაქეობრივ მოღვაწეობას ნამდვილი გასაქანი, საერთო სახალხო მიზანი და მნიშვნელობა მიეცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამიერიდან ერთგული კულტურული მეგვიდრების მეცნიერული შესწავლა და დაცვა სახელმწიფო ზრუნვის საგნად იქცა. ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით, წინასწარ გააზრებული გეგმით იწყება ზღოთმომძვრული ძეგლების აზომვა-ფიქსაცია, სიძველეთა შეგროვება და მუზეუმებში თავმოყრა, აღრიცხვა და დაცვა-მეკეთება.

მასალის დაგროვებისა და სისტემატიზაციისათვის საჭირო იყო ძეგლების აღვიღებ შესწავლა, მათი ნახვა, აღმოჩენა. გიორგი ჩუბინაშვილს თავისი ფეხით მოგოლი აქვს საქართველოს ყველა კუთხე.

გიორგი ჩუბინაშვილმა მეცნიერული კვლევა დაიწყო ქართული ბაზილიკების შესწავლით, შემდეგ შეისწავლა მცხეთის ჯვარი და მისი ტიპის ძეგლები და, აგრეთვე, გუმბათოვანი ტაძრები ოთხი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძით. მისი ფართო მონოგრაფიები ბოლნისის სიონზე, მცხეთის ჯვარის ტიპის ძეგლებზე და წრომის ტაძარზე — ის ნაშრომებია, რომლებშიც ახლებურად არის დაყენებული და გაშუქებული ქართული ხელოვნების ევოლუციის კარდინალური საკითხები, მისი ადგილი მეზობელ ქვეყნების ხელოვნების განვითარებაში. აღრიცხული ფეოდალის სურათთმომძვრების შესწავლასთან ერთად, გიორგი ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ 1925 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „მუა საუკუნეთა ქართული არქიტექტურის სამი უმთავრესი ძეგლის (ქუთაისის ბაგრატიის ტაძარი, მცხეთის სვეტიცხოველი და ალავერდის კათედრალი) შესახებ, ხოლო 1935 წელს ირანის ტაძარი III საერთაშორისო კონგრესზე ქ. ლენინგრადში წაიკითხა მოხსენება გვიანფეოდალური ხანის, კერძოდ XVI-XVII სს., ქართული არქიტექტურაზე. დასახელებული და კიდევ მრავალი სხვა შრომების საფუძველზე (პირველ რიგში „ქართული ხელოვნების ისტორიის“ I ტომი, „ქართული არქიტექტურის გზები“ და შრომები „გარდაბნული ხანის“ — VIII-IX ს. ს. არქიტექტურაზე) ამჟამად შესაძლებელია თვალი გავადევნოთ ქართული არქიტექტურის განვითარებას, მის სტილისტიკურ ევოლუციას, ეროვნულ სპეციფიკას და საბოლოოდ დადგინდეთ შეიძლება ჩაითვალოს მისი ზოგად ისტორიული მნიშვნელობა. გიორგი ჩუბინაშვილმა, თავის შრომებში პირველმა მიაქცია ყურადღება წინაფეოდალური ხანის და საერო ქართული არქიტექტურის ნიმუშებს, კახეთის სასახლეების ნაშთებს და ქართლის „დარბაზს“.

ქართული ზღოთმომძვრების შესწავლის პარალელურად გიორგი ჩუბინაშვილმა რამდენიმე ფუძემდებელი ნაშრომი გამოაქვეყნა ქართული ოქრომჭედლობის შესახებ, სადაც განსაზღვრულია ჩვენა ამ დარგის განვითარების უმთავრესი ეტაპები. ასევე მან ჩაუყარა საფუძველი ქართული მონუმენტური მხატვრობის განვითარების შემდგომ შესწავლას, მოგვცა ძეგლთა ძირითადი ჯგუფების დათარიღებისა და ეტაპების გარკვევის წინასწარი მონახაზი. ბოლნისის სიონის, სვეტიცხოვლის და სხვა ძეგლების თარიღები მან ძეგლების არქიტექტურის შესწავლის საფუძველზე დაადგინა, ხოლო შემდგომში, სამაშენებლო წარწერების აღმოჩენით, საგნებით დადასტურდა მისი აზრის სისწორე.

მისი კვლევებისათვის დამახასიათებელია პრობლემების ფართოდ დაყენება. ხელოვნებას ნიმუშების კვლევას გიორგი ჩუბინაშვილი პირველ რიგში უკავშირებს ქართველი ხალხის ისტორიის და, აგრეთვე, მეზობელი ქვეყნების ხელოვნების განვითარებას. სწორი მეცნიერული მიდგომის საფუძველზე მან შესძლო დამტკიცებისა ქართული ხელოვნების თვითმყოფადობა, გაერკვია მისი ეროვნული სახე, პირველი, მკვლევართა შორის, ეთქვა, რომ ჩვენში „...მხატვრული ტრადიციები სრულიად დამოუკიდებელ ფორმებში ჩამოყალიბდნენ“ და უკუყვამო ბურჟუაზიული მეცნიერების ლეგენდა, თითქოს ქართული ხელოვნება მხოლოდ უცხო გავლენის შედეგია.

გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა განუყოფელია ქართული საბჭოთა ხელოვნების ყოველდღიურობისაგან. იგი უმუალო მონაწილე იყო და არის შემოქმედებითი კავშირების მუშაობისა. მის სახელთან ბევრად არის დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა მხატვრების, მოქანდაკეთა, კერამიკოსთა, ზღოთმომძვრთა კადრების აღზრდის საქმე. გიორგი ჩუბინაშვილი 1921 წელს თბილისში დაარსებულ სახატარო აკადემიის პირველი რექტორია. ამ თანამდებობაზე იგი 1929 წლამდის მუშაობდა.

გიორგი ჩუბინაშვილს გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართული საბჭოთა ხელოვნების შესახებ. ამ წერილებს ყოველთვის ახასიათებს პრობლემალა სიხალე, მეტროდი სული, მხვილი აზრი. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ჯერ კიდევ 1950 წელს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გიორგი ჩუბინაშვილი ათავსებს სტატიას „არქიტექტურული მეგვიდრების ათვისებისათვის“, სადაც იხილავს იმ წლებში შექმნილ რამდენიმე პროექტს. იგი გულისკვირებით აღნიშნავს, რომ ამ არქიტექტურული პროექტების ავტორებისათვის „გამოსავალი წერტილი აშკარად ფასალია“. იქვე გიორგი ჩუბინაშვილი მიუთითებს შემკულობის და კომპოზიციური ხერხების ულოგოკობაზე, აუცილებლად „ქართული სტილის შენობის შექმნით“ გატაცებაზე, ნაცვლად „ჩვენი სოციალისტიკური წყობილებისა და ყოფის შესატყვის გადაწყვეტის“ შემოქმედებით ძიებისა. იგი მართებულად ასკვნის, რომ „ყოველივე ამას მიყვარათ ვაუმართებელ ეკლექტიზმადის“ და, რომ „...პროექტების გამოსავალი წერტილი უნდა წარმოადგინდეს შენობის... ფუნქციური ამოცანის გარკვეულობა, უკანასკნელ დეტალში გათვალისწინებული გეგმა და, ყველა ამასთან დაკავშირებით, გარკვეული სახე, ფორმირება მასისა“. ამ ბატარა მაგალითში ნათლად ჩანს, თუ ყოველთვის როგორი ახლობელი იყო გიორგი ჩუბინაშვილისათვის ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარება და როგორ დროულად და მართებულად ამჩნევდა და ამხევილებდა იგი ყურადღებას აქტუალურ პრობლემებზე, ჩამორჩენებზე.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გიორგი ჩუბინაშვილის ღვაწლს ჩვენში სამუზეუმო საქმის განვითარების ხაზით და, განსაკუთრებით, მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში.

უნდა აღინიშნოს გიორგი ჩუბინაშვილის დიდი ამაგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში, რომლის დირექტორი არის იგი და სადაც მისი ხელმძღვანელობით ამჟამად მეცნიერთა კოლექტივი სწავლობს ქართული ხელოვნების ნიმუშებს წინაფეოდალური ხანიდან მოყოლებული საბჭოური ხელოვნების ჩათვლით.


საბჭოთა მთავრობის მიერ ღირსეულად დაფასებულია გიორგი ჩუბინაშვილის მოღვაწეობა: იგი დაჯილდოებულია ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენებით და მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატოო წოდება.

ს. კინწუარაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.



ქართული
ბიბლიოთეკა



გიორგი ჩუბინაშვილი



ახალგაზრდა გმირები ცისკარა და ხადრა გაბედულად მიდიან ჯაღოსანთან და დევებთან ხაბრძოლველად.

ცისკარა — თამაზ ტოგონიძე
ხადრა — გოჩა აბაშიძე

ჯაღოსანი: ამ თასში ჩაიხედე, შიგ დაინახავ გულის ხატრუს... ჯაღოსანმა, როგორც სარკეში, ისე დაანახა მზიას, მისი მეგობრების, მისი საუვარელი ცისკარას ტანჯვა-ვაება, მაგრამ ვერც ამით მოტეხა ქალის ნებისყოფა.

ჯაღოსანი — გიორგი შავგულძიძე
მზია — დოდო ჭიჭინაძე



ახალი ქართული ფილმები

ლენინის ორდენოსანმა თბილისის კინოსტუდიამ ამ მოკლე ხანში გამოუშვა ორი ახალი მხატვრული ფილმი „ცისკარა“ და „მაგდანას ლურჯა“.

„ცისკარას“ სცენარი (ავტორი კ. მიქაბერიძე) ქართულ-ხალხური ზღაპრების მოტივებზეა დაწერილი. ფილმის დამდგმელი რეჟისორია ს. კელიძე, ოპერატორები — ბ. ბურავლიოვი და გ. უსეინაშვილი. რეჟისორი ს. გრძელიშვილი. მხატვრობა ეკუთვნით ფ. ლაპიაშვილსა და ი. სუმბათაშვილს, მუსიკა — რ. ლალიძეს.

მაყურებელმა განსაკუთრებით გულთბილად მიიღო ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორების თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი — მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“ წარმოადგენს ეკ. გაბაშვილის ცნობილი საბავშვო მოთხრობის ეკრანიზაციას. სცენარის ავტორია კ. გოგოძე. ოპერატორები — ა. დიღმელოვი და ლ. სუხოვი. მხატვრები — ი. სუმბათაშვილი, გ. გიგაური და კ. ხუციშვილი. ფილმის მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ა. კერესელიძეს.

ორივე ფილმში ჩვენ ცნობილთ მსახიობებთან ერთად წამყვან როლებს ასრულებენ ახალგაზრდები.

თბილისის კინოსტუდიამ უკვე დაამთავრა ახალი სათავგადასავლო ჟანრის ფერადი სურათი „ორი ოკეანის საიდუმლო“. დასასრულს უახლოვდება დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფილმის „ეთერის სიმღერის“ გადაღება.

წართვეს მაგდანას მისი მარჩენელი ლურჯა. რით არჩინოს საწყალმა ქვრივმა წვრილშვილი? მაგრამ მაგდანამ უკუღმართი ბედის წინაშე ქელი არ მოიხარა. შვილს ანუგეშებდა:

— ნუ სტირი ჩემო ბიჭუნა, ღმერთი მოწყალეა...



უხარია საწყალ მაგდანას — ძლივს გაიმართა წელი, ახლა მაწვნის ქილები სახედრით შეუძლია ზიდოს ქალაქში.

— გაუფრთხილდი მიხო ჩვენს ლურჯას, ქალაქში არავინ აწყენინოს. — ეუბნება თავის ძამიკოს პატარა კატო.

მაგდანა — დუღუხანა წეროძე, სოფო — ლიანა მოისწრაფიშვილი, მიხო — მიხო ბორაშვილი, კატო — ნანული ჩიკვინიძე.



სასამართლოში წყდება ლურჯას ბედილბალი... არც მოსამართლეს, არც მაძიებელს არ აინტერესებს იქვე ქუჩაში მობუზული საბრალო ბავშვების ბედილბალი.



ა. შერვაშიძე.

უცნობი ქალის პორტრეტი

მსახურისი კვლევების შესახებ

ითარ შიკალივილი

ჩვენი კულტურის ისტორიიდან გამორჩენილ დიდ შემოქმედთა შორის არის ერთი ფრიად საინტერესო თეატრალური მხატვარი და პორტრეტისტი. ესაა ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე შერვაშიძე, რომლის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებშია დაცული.

ალ. შერვაშიძემ პეტერბურგის თეატრებში ხანგრძლივი მოღვაწეობით რუსული დეკორაციული მხატვრობის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა, მისი წვლილი არ არის უმნიშვნელო ქართულ პორტრეტულ ხელოვნებაშიც. ალ. შერვაშიძე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით სისტემატურად და ნაყოფიერად მონაწილეობდა რუს მხატვართა გამოფენებზე, სადაც მას თავისი ხალხი არა ერთხელ უსახელებია. მისი შემოქმედების განსაკუთრებით საყურადღებო პერიოდს, 1905 წ. რევოლუციამდელი ხანა წარმოადგენს.

ოდესაში, რუსეთის სახელოვან მხატვართა ერთ-ერთ გამოფენაზე მხატვარ ალ. შერვაშიძის ნამუშევრებიც იყო, ამ გამოფენის მიმომხილველი პეტერბურგის ერთ-ერთ ჟურნალში წერდა: „დეკორაციული ხელოვნების ის რეფორმა, რაც ჩვენი დროის საუკეთესო დეკორატორებმა — პ. კოროვინმა, ა. გოლოვინმა და ალ. შერვაშიძემ მოახდინეს, მოგვიწოდებს, რომ პროვინციასაც გავაცნოთ თანამედროვე სცენის ამ გამოჩენილი მოღვაწეებიდან ერთ-ერთის ნაწარმოებები მაინც. შერვაშიძის აქ გამოფენილი აქვს ოპერა „ფაუსტის“ დეკორაციითა ექსიზები, რომლებიც საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილია...“

რეფორმა, რომელიც რუსულ სცენაზე, სახელგანთქმულ რუს მხატვრებთან

ერთად ალ. შერვაშიძის მოუხდენია, ცალკე შესწავლისა და შეფასების საგანია. ესეც რომ არ იყოს, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული მისი ნაწარმოებების განსაკუთრებული ღირებულები და სხვადასხვა შემოქმედებით მიღწევების შესახებ რუსული პრესის სისტემატური გამოძახილი უდაოდ მეტყველებს ამ მხატვრის თვალსაჩინოებაზე.

ეს წერილი ძირითადად შერვაშიძის მოღვაწეობის ერთ უბანს — პორტრეტულ ხელოვნებას — ეხება, ისიც მხოლოდ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ნიმუშების მიხედვით.

კვლევა-ძიებამ ზოგიერთი ბიოგრაფიული ფაქტი დაგვადგინა. ალ. შერვაშიძე უმცროსი ვაჟი ყოფილა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ძმის — კონსტანტინესი. როგორც ცნობილია, 1864 წლისათვის აფხაზეთის სამთავროს გაუქმებასთან დაკავშირებით მეფის რუსეთის მთავრობამ შეუძლებლად მიიჩნია მთავრის — მიხეილ შერვაშიძის საქართველოში დარჩენა და ჯერ იგი და შემდეგ მთელი მისი გვარეულობაც რუსეთში გაასახლა.

ერთი დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ მხატვრის მამა სამხედრო პირი ყოფილა. მხატვარი დაბადებულია 1868 წელს. საშუალო განათლება მას კიევის რეალურ სასწავლებელში მიუღია. 1891 წელს იგი მოსკოვს გამგზავრებულია ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში მოსაწყობად. სადაც თავისუფალ მსმენელად ჩარიცხეს.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით ალ. შერვაშიძე მოსკოვის ფერწერის,

ქრწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებლის მოსწავლეების შორის ორიოდე წელიწადს მოჩანს. 1892 წელს მას ამავე სასწავლებლის მოსწავლეთა მე-15 ტრადიციულ გამოფენაზე თვალსაჩინო მონაწილეობა მიუღია შემდეგი ფერწერული ტილოებით: „შემოღამება“, „ბაღა“, „მეგობრები“, „დნობის ურთე“ და „ლაშქრება“. მათგან დღეს მხოლოდ ერთი რეპროდუქციის გაცნობა ხერხდება, ეს არის სურათი „მეგობრები“, რომელიც იმავე გამოფენის ილუსტრირებულ კატალოგშია გამოყენებული.

ეს ანიმალისტურ თემაზე დაწერილი და უნარულად გაზრებული სადა, უპრეტენზიო ესკიზია. იგი იმ მხრივაც საინტერესოა, რომ მხატვრის იუმორის გრძობასა და უბრალო ყოველდღიურობაში საინტერესო დეტალების შემწევის უნარზე მეტყველებს. ოღონდ უნარდღებებს იქცევენ ის გარემოება, რომ მასში არ ჩანს შექმნის და მათის გამოხატვისადმი ის ზრუნვა, რაც შერვაშიძის მომდევნო წლების ქმნილებებში სრულიად მკაფიოდ იკითხება.

1895 წლისათვის ალ. შერვაშიძე პარიზშია. იგი იქ პროფესორ ფერნანდ კორმონის აკადემიის მოსწავლეა. 1896-1899 წლებში პარიზში ალ. შერვაშიძისთან ერთად იყვნენ და მას მეგობრობდნენ პეტერბურგელი ახალგაზრდა მხატვრები: ბორისოვ-მუსატოვი, ა. ობერი, ალ. ბენუა და ევგ. ლანსერე. ამ წლებში სრულიად გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ალ. შერვაშიძის მხატვრული აზროვნების ფორმირებასა და განვითარებაზე. ალ. შერვაშიძისთან ერთად ყველა ესენი 1899 წელს რუსეთში დაბრუნდნენ, მათთან ერთად იყვნენ იგორ გრაბარი და დიდი მხატვარი ვ. სეროვიც.

1899 წელს ალ. შერვაშიძის მოსკოველ მხატვართა ამხანაგობის მე-6 გამოფენაზე წარუდგინა უცნობი მამაკაცის „შ“-ს პორტრეტი (შესაძლებელია რომელიმე შერვაშიძისაც). სად ინახება ეს ნაწარმოები და რას წარმოადგენდა იგი, ჩვენთვის ცნობილი არ არის.

დღეს ჯერ მიგნებული არ არის ალ. შერვაშიძის პორტრეტული ხელოვნების სხვა ნიმუშებიც. მათგან ზოგი ნატურალური ზომისა ყოფილა.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცული სამიოდე ნაწარმოები, ყოველმხრივ წარმოდგენას ვერ შექმნის ალ. შერვაშიძის პორტრეტული ხელოვნების შესახებ, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანისა და საგულისხმოს თქმა მაინც შეუძლიათ.

ისინი შესრულებულია 90-იანი წლების დასასრულსა და 900-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ალ. შერვაშიძე ჯერ კიდევ ჯანმრთელ რეალისტურ პოზიციას იღვავდა და პეტერბურგის ზემოხსენებულ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვრებთან ერთად პლენერისა და მშენებრივების პრობლემებისადმი რეალისტური თვალსაზრისით საინტერესო ნაწარმოებებს ჰქმნიდა.

ერთ მათგანზე, რომელიც აქვარელისა და გუაშის შერეული ტექნიკითაა შესრულებული, წარმოდგენილია ახალგაზრდა ქალ. მას თავი რაღაც საგანზე ნებიერად დაუყურდნია და გულიანად იღიმება. თვითონ ის არე, რომელზეც ქალის პირისაზე გამოხატული სულ მცირე ზომისაა (5x5 ს. მ.) გარშემოკი დატოვებული აქვს მოზრდილი თავისუფალი ადგილი, რომელიც მორთულია სხვადასხვა ორნამენტული არსებით. დეკორისადმი ესოდენი ყურადღება გვაფიქრებინებს, რომ ეს ნაწარმოები კედლის მხატვრობის ესკიზი უნდა იყოს.

ქალის ნებიერი დიმილისა და ცნობისმოყვარე გამომეტყველების ოსტატურ გადმოცემასთან ერთად ესკიზი ყურადღებას იქცევს საერთო დეკორატიული ღირსებებით. იგი საოცარი ტანშეწყობითაა აფერადებული. სახის ტონალობა გამოყენებულია მიზელი კომპოზიციის ლეიტმოტივად; მას იგი ვარიაციული სხვადასხვაობით იმერებს ფონის ორნამენტულ არსებში და ამით ეფექტიან ხანახაობას ჰქმნის.

მაგრამ ალ. შერვაშიძის ნაწარმოებებს შორის უფრო მეტ ყურადღებას იწვევს ფერადი ფანქრებით შესრულებული პორტრეტები.

ფერადი ფანქრებით ხატვის ოსტატები ხელოვნების ისტორიას ცოტა ახსოვს. ერთი მათგანია ალ. შერვაშიძეც. იგი ამ საქმის ნამდვილი ვირტუოზია. ახალგაზრდა მხატვრებს ამ მხრივ მისგან ბევრი სარგებლობის მიღება შეუძლიათ.

აქ ჩვენ ვაქვეყნებთ ფერადი ფანქრებით შესრულებულ მის „უცნობი ქალის პორტრეტს“, რომელშიც ჩანს შერვაშიძის პორტრეტებისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიმუშები: ჩვეულებრივობაში მოხდენილობისა და სილაზათის დანახვის უნარი და განსაკუთრებული ყურადღება მხატვრული კულტურის ამალღებისა და გემოვნების დახვეწისადმი. აქ იგი ვ. სეროვის, ევგ. ლანსერეს, იგორ გრაბარისა და მოწინავე პეტერბურგელ მხატვართა ტიპური წარმომადგენელია.

სურათში ახალგაზრდა ქალი რაღაც შორეულ საგანს მისჩერებია. მხატვარი მის სინაზესა და მეოცნებე ხასიათს აღნიშნავს, მაგრამ უფრო მეტს მის გარეგნულ შინაინობაზე ლაპარაკობს.

მეოცნებე ახალგაზრდა ქალის სახე ოსტატმა მოწყვეტით გვერდზე კონტად გაანება და ელევანტურად შერხეული თმებით მორთო, მერე კი ფერები ისეთი გემოვნებითა და ფანტაზიით შეხამატებია, რომ ეს არცთუ არაჩვეულებრივი ქალი, პორტრეტის საინტერესო თემად აქცია.

ალ. შერვაშიძის ჰქონდა დიდი გავრთნილობა, ტაქტი და მხატვრული კულტურა. მას იშვიათი ცოდნითა და ოსტატობით შეეძლო სულ მარტივი საშუალებების გამოყენება. მუყაოს ზედაპირზე ფერად ფანქრებს ისე დაანავარდებს, თითქოს ამის ჩვევები დაბადებითვე დაპყლოდეს.

მხატვარი საკვირველი მოხერხებულობით იყენებს ისეთ უბრალო საგანსაც კი როგორცაა მუყაოს ზედაპირის თაფლის სანთლის ფერი. მასზე მოწინათალო ფანქრის რამდენიმე ფრთიანი შტრიხი და ახალგაზრდა სახის გაბრწყინებული კანის, არა მარტო სრული ილუზია, არამედ მისი სიმშვენიერისადმი ავტორის უნაზესი დამოკიდებულებაც მთელი გატაცებითაა გამოხატული. თმისა და ფონის ჩრდილოვან ნაწილებში კისკასით მოხმული მომინახისფრო და მომწვანო ტონები, დაპირისპირებული სახის ვარდისფერებთან, იშვიათი მომხიბლობის სანახაობას იძლევა.

1904-1905 და 1911-1912 წლებში ალ. შერვაშიძე პარიზშია. იგი იქ „რუსული არტიტული წრისა“ და „მონ პარნასის“ კომიტეტის წევრია. ხშირად გამოაქვს გამოფენებზე ნაწარმოებები და ამავე დროს პეტერბურგის ურინალოში ბექლავს კრიტიკულ სტატიებს პარიზის მხატვრული ცხოვრების, პარიზში რუსი მხატვრების გამოფენების შესახებ, გამოკვლევებს ფრანგული ხელოვნების ისტორიის საკითხებზე. ასეთებია, მაგალითად: „შემოდგომის სალონი“, წერილი ფრანგი მხატვრის უოლ სერას შესახებ, მოზრდილი გამოკვლევა: „ფრანგული ფერწერა ასი წლის მანძილზე“ და სხვ. ყოველ მათგანში და განსაკუთრებით კი უკანასკნელში აშკარად ჩანს საქმეში კარგად ჩახედული და დიდი განათლების ადამიანი. თუმცა იგი თავისუფალი არ არის დეკადენტო თეორეტიკოსების შეხედულებათა გავლენებისაგანაც.

ალ. შერვაშიძის გარდა პეტერბურგისა არა ერთი სპექტაკლი გაუფორმებია პარიზის, მადრიდისა და ლონდონის დიდ თეატრებში. მაგრამ მისი

მთავარი სამოღვაწეო ადგილი პეტერბურგი იყო. იგი დამდგმელ მხატვრად მოუშობდა დიდ თეატრებში. მან გარკვეული მონაწილეობა მიიღო ე. წ. „მეკვლევური თეატრის“ დადგმებშიც. პეტერბურგის თეატრების დადგმებს შორის მას ეკუთვნოდა „ტრისტან და იზოლდას“, „ფაუსტის“, „ჰამლეტის“, ბალეტი „თილისმას“, ტურგენიის „საუზმე წინამძღოლთან“, ტიროს დე მოლინას კომედია „დვის მოშიში მართას“ და სხვა მრავალი სპექტაკლის მხატვრული გაფორმება.

როგორც შემოთავადალინიშნა, ალ. შერვაშიძე იმ დროის უურნალოვანელების მიმოხილვითა მიხედვით თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების დიდი ოსტატი იყო. ჩვენს ხელთ არსებული არასრული მასალებით ჩანს, რომ რეაქციის წლებში შერვაშიძის თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნებას დეკადენტური ხელოვნების გავლენა არ ასდენია. ყოველივე ეს მკაფიოაა ალბექდილი, მაგალითად, „ტრისტანის და იზოლდას“ ესკიზებში.

მიუხედავად იმისა, რომ ალ. შერვაშიძე სიცოცხლის უმეტესი ნაწილი საქართველოს გარეთ ვატარა, ნათესავებთან კავშირი არ შეუწყვეტია. იგი მჭიდრო ურთიერთობაში იყო პეტერბურგში სცხოვრებ შერვაშიძეებთან და დადიანებთან.

900-იანი წლების დასაწყისში, პარიზში მასთან წლობით ცხოვრობდნენ მისი ნათესავები — ბათუმელი ნაქაშიძეები, რომლებთანაც მხატვარს ურთიერთობა შემდეგაც არ შეუწყვეტია.


მაგრამ ყველაზე საყურადღებო არის მხატვრის ურთიერთობა სოხუმში მცხოვრებ თავის უფროს ძმასთან, ვლადიმერთან, და ბიძაშვილთან — აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ვაჟთან პოეტსა და საზოგადო მოღვაწე გიორგი შერვაშიძისთან.

გულთბილი დამოკიდებულების შესახებ მეტყველებს მათი მიმოწერა. მხატვარი ერთ ბარათში გიორგის სთხოვს ყურადღება მიაქციოს აფხაზეთში პეტერბურგიდან გამგზავრებულ ერთ თავის მეგობარს და თან დასძენს: „მიხარია, რომ მე თუ არა, ჩემი მეგობარი მაინც განახავს და მიამბობს, თუ როგორ ცხოვრობ...“

ბიძაშვილებს შორის ეს უთუოდ ერთი უკანასკნელ წერილთაგანი იყო, რამდენადაც გიორგი შერვაშიძე ორი წლის შემდეგ — 1918 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა. გიორგი შერვაშიძის სიკვდილს მხატვარზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია; მწუხარებას მისი მიუხეხებული მშობლიური გრძობები გაუღვიძებია და თითქოს თავისი მამაპაპული ოჯახის განანგრძლივებისათვის პეტერბურგიდან სამუდამოდ სოხუმში გადმოსულა. 1918 წელს მხატვარი ალ. შერვაშიძე სოხუმშია და პოეტი გიორგი შერვაშიძის სახლ-კარში ცხოვრობს. იგი მცირე ხანს მონაწილეობს თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში. მალე თანხმობდა უგზავნის ლონდონის ერთ დიდ თეატრს, რომელშიც მას იწვევდნენ დამდგმელ მხატვრად. და მიემგზავრება ლონდონს. იგი სამშობლოში და მამაპაპულ ოჯახში უთუოდ მალე დაბრუნებას ფიქრობდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. იგი უცხოეთში ჩარჩენილია და იქვე გარდაცვლილა.

ექვრი არაა, რომ მამაპაპულ მიწაწყალზე ალ. შერვაშიძე უსაქმოდ არ გაჩერდებოდა. მშობლიური კუთხისა და ხალხის სილამაზით გატაცებული არა ერთ საინტერესო ნაწარმოებს შექმნიდა. სამშობლოში ყოფნის დროს მხატვარი სამეგრელოს და თავის ნათესავ დადიანებს ეწვია სოფელ ნოსირში. აქ მან მასმინძლების პორტრეტები დახატა.

მხატვარი ალექსანდრე შერვაშიძის გაფანტული მხატვრული მემკვიდრეობა შეკრებას მოელოს. მისი თავმოყრა, კრიტიკული შესწავლა და გამოშვეურება ჩვენი კულტურის ისტორიას უდაოდ რამდენიმე საყურადღებო ფურცელს შექმნავს. ამჟამად ვიფარგლებით მხოლოდ ამ მცირე შენიშვნებით, მაგრამ აღქმნავს კი სრულიად ნათელი უნდა იყოს თუ ალ. შერვაშიძის სახით რა მაღალი კულტურისა და იშვიათი ოსტატობის მქონე შემოქმედთან გვაქვს საქმე.



მხატვარი ალექსანდრე შერვაშიძე

რომის ამ ჩვეულებრივ რესტორან „მარფორიოში“ თავდაპირველად ჩემი საქმე კარგად მიდიოდა. გამოცარიელებული თავი მიშხუღა, როგორც ზღვის პირას დაგდებულ ნივარას. ამ ნივარაში მცხოვრები ლოკოკინა დიდი ხანია დადილუბა. და როდესაც მუშტარები შემიკვეთდნენ „სპაგეტს საწებლით“, ჩემს თავში უმალ ეხოსავით განმეორდებოდა: „სპაგეტი საწებლით“. როცა შემიკვეთდნენ „ინგლისურ სუბს“, თავში უმალ დარეკდა: „ინგლისური სუბი“, და მეტი არაფერი. საერთოდ, მე არაფერზე არ ვფიქრობდი, გარეგნულად და შინაარსით პირწაყარდნილი ოფიციალტი გახლდით, — იმ ზომამდე ოფიციალტი, რომ საღამომობით, დაძინების წინაც კი, თავში ისევ მიტრიალვდა ყოველნაირი სპაგეტი საწებლით და ინგლისური სუბი, რომლებსაც მთელი დღის განმავლობაში მივართმევდი სტუმრებს.

მე მოგახსენეთ, თავი გამოცარიელებული მქონდა-მეთქი, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, გაყინული მქონდა, აი იმის მსგავსად, მთის ტბებში რომ გაყინება წყალი; ხოლო ვაზაფხულზე, მზის ქვეშ, ყინული გადნება, ისევე წყლად იქცევა, ერთ მშვენიერ დღეს რაკრას დაიწყებს და ნიაგის მობერვას აცინციმდება.

ერთი სიტყვით, გამოცარიელებული თავით იყო, თუ გაყინული თავით, მე საინიშნო ოფიციალტი ვიყავი. ერთხელ, საღამოს, რესტორანში ერთმა ქალიშვილმა თავის კავალერს უთხრა კიდევ ჩემზე: „ერთი ამას შეხედე... არა, ნამდვილი ოფიციალტის სახე არა აქვს? ოფიციალტის მეტი მას სხვა არა შეუძლია არა... ოფიციალტი დაბადებულა და ოფიციალტი დედა მოკვდება“. კაცმა არ იცის, როგორია ეს — ოფიციალტის სახე. იქნებ, ეს ისეთი სახეა, რომელიც მუშტარებს მოსწონს? თვით მათ, რა თქმა უნდა, არაფერში სჭირდებათ სპეციალურად „მუშტარის სახე“ იქონიონ, ისინი ხომ არაღის გულისმობვას არა ცდლობენ, ხოლო, თუ ოფიციალტს უნდა ოფიციალტი დარჩეს, მას ნუთუ განსაკუთრებული, ოფიციალტი სახე უნდა ჰქონდეს?!

ჰოდა ასე. მთელი წლის განმავლობაში არაფერზე არ ვფიქრობდი, მხოლოდ მუშტარების შეკვეთებს ვღებულობდი და ვემსახურებოდი მათ. მაშინაც კი, როცა რომელიმე ხეარე დამიყვირებდა: „შენ რა, სულელი ხომ არა ხარ, თუ განზრახ ისულელებ თავს?“ — ჩემი თავი მორჩილად იმეორებდა — „სულელი ხომ არა ხარ, თუ განზრახ ისულელებ თავს“, და მეტი არაფერი. გასაგებია, რესტორანის პატრონი ჩემი კმაყოფილი იყო და ხშირად ეტყოდა ხოლმე სხვა ოფიციალტებს: „მე არა მსურს ჩემს რესტორანში აყალმაყალი... აიღეთ მაგალითი ალფრედოსაგან, მისგან ვერც ერთ ზედმეტ სიტყვას ვერ გაიგონებთ, ნამდვილი ოფიციალტია“.

მთელი ეს დავიდარაბა ერთ საღამოს დაიწყო, სწორედ ისე, ყინული რომ მზის ქვეშ გადნება, უცებ აბობოქრდება და აღდგება... ისეთი მუშტარი შემხვდა, რომელიც უკვე ხანდაზმული კაცი იყო, მაგრამ ახალგაზრდობდა, ხუჭუჭა თმაში ჭაღარა ისე შერეოდა, თითქოს თავზე თოვლი დაუფრქვევიათო, სახე თხას მიუგავდა. ჰოდა, დამიწყო ამ მუშტარმა ჯაჯღანი, — ალბათ, უფრო იმიტომ, რომ თავი მოეწონებოდა ქალიშვილთან, რომელიც მას ახლდა, ქალიშვილი ქერა და ართვალი იყო. ეტყობოდა, შემანქანე ან მეკრავი უნდა ყოფილიყო. იმ გაკბატონს არაფერი არ მოსწონდა და როცა შეკვეთილი კერძი მივართვი, აყვირა:

— ეს რა საძაგლობაა? ეს სად მოვედით? არ გიცი, რა მკაგებს, რატომ ყველაფერ ამას თავში არა ვახლავთ!

ის არ იყო სწორი: მან ბიფშტექსი შემიკვეთა — მეც ბიფშტექსი მივუტანე. მაგრამ ამჯერად, იმის მაგივრად, რომ მორჩილად განმეორებია მისი სიტყვები, უცებ გავიფიქრე: „ამ ტიპს სახე თხას მიუგავს-მეთქი“. მე კიდევაც გამიკვირდა, ვითომ ეს რა თავმოსაწონი ფიქრია-მეთქი, მაგრამ ჩემთვის მანაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან იმ დღიდან დაწყებული, რაც რესტორანში ვმუშაობ, პირველად თვითონ გავიფიქრე რაღაც. სამზარეულოში წავიდი, შენაკვეთი შევცალე, ორი კერძი მწვადი მივუტანე და გავიფიქრე: „აჰა... და შხამად შეგერგოს“. ეს, როგორც ხედავთ უკვე ახალი აზრი იყო, არც ეს იყო მაინცდამაინც დიდი სიბრძნე, მაგრამ მაინც აზრი იყო.

ამ საღამოდან დაიწყო ფიქრი, ესე იგი, მე მინდა

თანამედროვე იტალიელი პროზაიკოსი ალბერტო მორავია ფსიქოლოგიური რომანისა და ნოველის ოსტატია. მორავიას რომანები და მოთხრობები ფართოდაა ცნობილი იტალიის საზღვრებს გარეთაც.

ქვემოთ გამოქვეყნებული ნოველა აღებულია კრებულიდან „რომაული მოთხრობები“ (1954 წ.), ამ მოთხრობებში მწერალი გვიხატავს მშრომელი ხალხის ცხოვრებას.

ვოქვა, რომ ვაკეთებდი ერთს და ვფიქრობდი სულ სხვას. ჩემს აზრით, სწორედ ამას ჰქვია ფიქრი. აი, მაგალითად, მე თავს ვუკრავ კლიენტს და ვეკითხები: „რას ინებებთ, სინიორ?“ თან ვფიქრობ: „რა გრძელი კისერი აქვს ამ ფრანტს... ბატს არა ჰგავს?“ ანდა ზრდილობიანად ვუთხრებ: „ყველს ხომ არ ინებებთ, სინიორა?“ და თან ვფიქრობ: „შენ ულვაშები გაქვს, ჩემო კარგო. მართალია, საღებავით კი გაიფერულელებია, მაგრამ მაინც გეტყობა“. უფრო ხშირად კი თავში ვხეხუნი, საღამოდავი და საღებავი სიტყვები მერეოდ. „რეგენო, იდოლო, აი, ენა კი გაგინმის, შენ კი ჩაძაღლი“, და სულ ასე, ამგვარად. ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა, სიტყვები ისე მიდღვდა თავში, როგორც ქოთანის ლობიო. ბოლოს და ბოლოს, მე შევნიშნე, რომ ფიქრით ვაბოლოებდი იმ ფრაზებს, რომელთაც ხმამაღლა ვამბობდი. აი, მაგალითად, მე ვეკითხები მუშტარს: „ზეთისხილი ხომ არ ინებებთ, ან ლიმონს?“ ჩემთვის კი ვამთავრებ: „ცხვირ-პირში უნდა გუხლოვო, შე ღორო!“ ან ვამბობ: „თქვენ იცით ჩვენი რესტორანის სპეციალობა?“ თან ვუმატებ: „ცუდი საჭმელი და ნახარჯზე წამატება“. და უცებ ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ ამ ფრაზებს ჩემთვის კი ალარ ვამბობდი, არამედ ვლაპარაკობდი, ოღონდ, ჩუმად, ძალიან ჩუმად, ისე, რომ არავის გაეგო. ერთი სიტყვით, მე ავლაპარაკედი, მართალია, მორიდებით, მაგრამ მაინც ავლაპარაკედი. მამასადავ, ასეთი თანმიმდევრობით: ჯერ სახეებით არა ვფიქრობდი, შემდეგ დაიწყო ფიქრი, ახლა ხმამაღლა ვფიქრობდი, ესე იგი ვლაპარაკობდი.

ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ავლაპარაკედი პირველად. შაბათ საღამო იყო. ჩემს მაგიდასთან ქალ-ვაჟი დაჯდა. ქალი „იმ წრისა“ გახლდათ, მალა-

ლი, თამაშელებილი, ქერა, ლამაზი, თავხედი, სუნამო ბლომად გადაესხა და სახეზეც კარგა ბლომად წაეცხო სახელები. კაციც ქერა იყო, მიჭყლეტილი ცხვირი ჰქონდა, წითური, ტანდაბალი, თმახუჭუჭა, მხარბეჭიანი, ლურჯი კოსტუმი ეცვა, ყვითელი ფეხსაცმელი. ვაჟმა სკამების ქარტას ისე დასტაცა ხელი, თითქო იქ ომის გამოცხადება ყოფილიყო გამოქვეყნებული და გაბრაზებული სახით ჩაატყურა, დიდხანს ვერ გადაეწყვიტა რა ამოერჩია. ბოლოს თავისთვის ძლიერ ნოყიერი საჭმელები შემიკვეთა: სპაგეტი, მწვადი კარტოფილი, ღვეჯი, სარდალა. ქალმა კი, პირიქით, მსუბუქი საჭმელები აირჩია. მე ჩავიწერე შეკვეთა და სამზარეულოში წასასვლელად მივებრუნდი, მაგრამ ერთხელ კიდევ გადავხედე იმ ვაჟს და ვიგრძენი, როგორ შეირხა ჩემი ტარზე და ხმადამა, მაგრამ გარკვევით წარმოთქვა:

— რა ხეარული ცვირ-პირი აქვს.

ვაჟი ჯერ კიდევ ქარტას ჩაიკრავებდა და ჩემი ნათქვამი ვერ გაიგონა. მაგრამ ქალს, ისევე, როგორც ყველა ქალს, მახვილი სმნა ჰქონდა, ის ერთი კი შეხება გაოცებისაგან და თვალბეჭეტილი მომჩერდა: გაიგონა. მე სამზარეულოში წავიდი და მთელი ხმით დავიყვირე: „ერთი კონსომე, ერთიც სპაგეტი!“ — დაგბრუნდი უკან და მათ შორიხლო კედელთან შეჩერდი.

შეგხვდა — ქალი იცინის, იცინის და იცინის, ხელი მეკრდებ მიუღვია, სიცილისაგან წამოწითლებულია. ვაჟი კი განაწყინებული ზის, ქალისკენ გადახრილია, როგორც ჩანს ეკიხება, რატომ ხარხარებო. მაგრამ ქალი ისევ იცინის, თავს აქნევს, მეკრდებ ხელს იღებს. ბოლოს, ცოტა დადამშვიდდა, გაყისკენ გადაიხარა და რაღაც უთხრა, თან ჩემზე ანიშნა. ვაჟი მოზრუნდა და მომჩერდა. ჯერ თვალ ავარიდე, შემდეგ ისევ შეგხედა და დავიხახუე, ქალი კვლავ იცინოდა, ვაჟი კი მე მომჩერებოდა, თავი ისე დადილუნა, როგორც სარქენად შემართულ ყოჩს. ბოლოს დამიძახა:

— ოფიციალტო! მე გავემართე მისკენ, თუმცა მეშინოდა კი, მაგრამ მაინც თავი ვერ შევიკავე და ისევ ჩავიდუღუნე დარწმუნებით:

— დაახ, ნამდვილად ხეარული ცხვირ-პირი აქვს. შემდეგ მივუახლოვდი და ვკითხე:

— რას მიბრძანებთ? ვაჟმა შემომხედა და მუჭარით მოთხრა:

— ოფიციალტო, თქვენ აქ გამოგითქვამთ აზრი...

მე ისე გოცებულმა ვკითხე, თითქო ეს იყო ციდან ჩამოვვარდი:

— აზრი?... არ მესმის. — დაახ, თქვენ რაღაც აზრი გამოგითქვამთ... სინიორამ გაიგონა.

— უთუოდ სინიორამ კარგად ვერ გაიგონა. — სინიორამ მშვენიერად გაიგონა.

— არ მესმის, სინიორ, იქნებ, სპაგეტი არა გენებათ, შეგიცვლით.

— ოფიციალტო, თქვენ აქ აზრი გამოთქვით და კარგად იცით, რის შესახებაც მოგახსენებთ.

ამ დროს ქალი მისკენ გადაიხარა და უთხრა: — ყური მივიდეთ, ჯობია, თავი დაანებოთ. მაგრამ ვაჟი არ ცხრებოდა.

— დაუძახეთ ღირექტორს! მე თავი დავეუკარი და ღირექტორის მოსაყვანად წავიდი. ღირექტორი მივიდა, მოუსმინა, შეეპასუხა. შეეკამათა. ქალი ისევ იცინოდა, ის ტიპი კი უფრო მეტად ცხარობდა. ბოლოს ღირექტორი ჩემთან მოვიდა და ხმადამა მოთხრა:

— კარგი, ახლა მოემსახურე და ამით გავათავოთ... მაგრამ იცოდეთ, თუ კიდევ განმეორდება ამგვარი რამ, სამსახურიდან დაგიხსოვ.

— კი, მაგრამ, მე... — ხმა გაკმინდე! აქედან მოუსვი!

ერთი სიტყვით, ისე მივართვი მათ ვახსამი, კრინტი არ დამიძრავს. მაგრამ ქალი ისევ ისე ხარხარებდა. ვაჟი თითქმის არც კი მიეცარა საჭმელს და ისე წავიდნენ, რომ არც დესერტი შემიკვეთეს და გადასახუნდა ერთი გროშიც არ მამუქეს. ქალი კი რესტორანიდან გასვლისას ისევ ისე ხარხარებდა.

ამ პირველი შემთხვევის შემდეგ, იმის მაგივრად, რომ თავი შემიკავებინა, უარესად წამივიდა საჭმელს. ახლა უკვე ჩემთვის კი ალარ ვფიქრობდი, არამედ ყველაფერს ხმამაღლა ვამბობდი. ისეთ დღეებში, როცა რესტორანში მუშტარი ნაკლები იყო და ოფი-



დეკაბრისტის სოჯახო პიძვირან

კალიმერ ზამბახიძე

ას ოცდაათი წლის წინათ, 1825 წლის 14 დეკემბერს აღმართა პირველად რუსეთში შეიარაღებული აჯანყების დროს, თვითმპყრობლობისა და ბატონყმობის დასაშლად.

ეს თავგანწირული შერკინება მეფის დესპოტიასთან, დეკაბრისტთა დამარცხებით დასრულდა, მაგრამ კვალი, რომელიც მათ დააჩინეს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას, დრმა იყო.

ცნობილია, რომ აჯანყების ჩაქრობისთანავე დაიწყო დეკაბრისტთა საქმის გამოძიება, რომელსაც თვით მეფე ნიკოლოზ პირველი ხელმძღვანელობდა. ცნობილია ისიც, რომ აჯანყების მეთაურები — პეტელი, რილევი, კახოვსკი, მურავიოვ-აპოსტოლი და ბესტუჟევი-რიუმინი 1826 წლის 13 ივლისს დამით ჩამოახრჩეს, ხოლო მამაბოხეთა უმრავლესობა ციმბირის კატორღებში გაგზავნეს. დეკაბრისტთა ერთი ნაწილი კავკასიაშიც გადმოასახლეს.

ციმბირის კატორღებში გაგზავნა მეფემ ძმები — ნიკიტა და ალექსანდრე მიხეილის-ძე მურავიოვებიც. უფროსი, ნიკიტა მურავიოვი, შეთქმულთა საზოგადოების ერთ-ერთი დამმარცხებელი იყო. ამიტომ მას 20 წლის კატორღა და შემდეგ ციმბირში სამუდამოდ დასახლება მიესაჯა.

უმცროსი, ალექსანდრე, არც ისე დიდად ცნობილი „შეთქმულთაგანი“ იყო, მაგრამ რადგან მან „მეფის მკვლელობის განზრახვის შესახებ“ იცოდა და ამბობდასთან დაკავშირებით დავალებაც მიუღია, მას 12 წლის კატორღა და ამის შემდეგ ციმბირში სამუდამოდ დასახლება მიესაჯა.

ალექსანდრე მურავიოვი შედარებით ახალგაზრდა გარდაიცვალა 1858 წელს და ტობოლსკის სასულიაოზე დაკრძალეს. მას დარჩა ოთხი მემკვიდრე — მიხეილი, ეკატერინე, ელენე და ალექსანდრა, რომელთა ცხოვრების ზოგიერთი მომენტზე შევიჩრდებით ჩვენ ქვემოთ.

აი, ჩვენს წინაშე დევს გაყვითლებული, კიდევბაცრცილი, მეფის-დროინდელ „საღვრბო ქალღმერთი“ კალიგრაფ-ჩინოვნიკის მიერ, აკაკი აკაკიევიჩის გულმოდგინებით დაწერილი მეტრიკული ცნობა 1855 წლის იანვარში გაცემული ირკუტსკის სასულიერო კონსისტორიის მიერ. ერთი მათგანი გვამცნობს, რომ „სახელმწიფო დამნაშავეს“ ალექსანდრე მიხეილის-ძე მურავიოვის და მისი კანონიერ მემკვიდრე უოჯინა ადამის ასულ ბრახმანს 1843 წლის 10 ივლისს შეეძინათ ქალიშვილი ეკატერინე, რომლის მიმჩქმენი ყოფილიან „სახელმწიფო დამნაშავე“, დეკაბრისტთა ერთ-ერთი სახელგანთქმული მეთაურთაგანი სერგი პეტრეს-ძე ტრუბეცკოი და იმ დროს უკვე გარდაცვლილ, ნიკიტა მიხეილის-ძე მურავიოვის ქალი-

შვილი სოფიო. მეორე, ასეთივე მოწიბობა, შეიცავს ცნობას, რომ ალექსანდრე მურავიოვის მეორე ქალიშვილი, ელენე, დაბადებულია 1844 წლის 25 აგვისტოს და რომ მისი მიმჩქმენი ყოფილიან, ზემოხსენებული სერგი ტრუბეცკოი და ახალშობილის ბებია — ეკატერინე თედორეს-ასული მურავიოვისა.

სულ ექვსი-შვიდი წლის გოგონები იყვნენ ეკატერინე და ელენე მურავიოვები, როდესაც 1850 წლის დეკემბერში, ქ. ტობოლსკს, ცნობილი შეგები მხატვარი, კარლ-პეტერ მაზერი ეწვია. იგი პირველად 1838 წელს ჩასულა რუსეთში და სხვადასხვა დროს ფანქრით შეუსრულებია ა. ს. პუშკინის, ნ. ვ. გოგოლის, ი. ა. კრილოვის, კ. პ. ბრიულოვის, ნ. ი. გრეჩისა და სხვათა პორტრეტები.

ქ. ტობოლსკში ჩასვლისთანავე, მაზერს დაუწვია დეკაბრისტთა პორტრეტების ხატვა, რის გამოც მას პოლიციისგან სასტიკი ვაჭრობილება მიუღია. ამას მოწმობს, კერძოდ, 1850 წლის ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი საქმე ტობოლსკის პოლიციისტიტრისისა, სახელწოდებით „საქმე მხატვარ მაზერისათვის ა. მ. მურავიოვის მეუღლის პორტრეტის დახატვის აკრძალვის შესახებ“. „ამ საქმიდან ჩანს, — წერს ცნობილი საბჭოთა მკვლევარი ი. ს. ზილიბერტინი, — რომ „1850 წლის დეკემბერში ქ. ტობოლსკში ჩასვლისთანავე“, მაზერი, პოლიციაში პასპორტის წარუდგენლად „შედეგშია სახელმწიფო დამნაშავეს მურავიოვის მეუღლის პორტრეტის ხატვას“. მაგრამ, ვინაიდან მეფის ბრძანებით „სახელმწიფო და პოლიტიკურ დამნაშავეებს აკრძალული ჰქონდათ თავიანთი პორტრეტების გაზიარება“, ამიტომ მაზერი გამოუძახებლად „ამიტომ მაზერი გამოუძახებლად“ მიუღია და ასეთი შინაარსის ხელწერილი ჩამოერთმევათ: „შეუდგე ქა ქ-ნ მურავიოვისა და მისი შვილების პორტრეტების ხატვას, მე ეს საქმე შემდეგში მივატოვე, რადგან ბ. მურავიოვმა ვინცმცხადა: ბ. გუბერნატორმა სურვილი გამოთქვა, რომ დაწყებული პორტრეტის ხატვა არ გაგრძელდეს“. კარლ-პეტერ მაზერი. ტობოლსკი, 1850 წ. 17 დეკემბერი“.

მიუხედავად პოლიციისათვის 1850 წლის დეკემბერში მიცემული ხელწერილისა, ა. მ. მურავიოვის მეუღლისა და მისი შვილების დაწყებული პორტრეტების ხატვა მაზერს არ შეუჩრედია. ამაში გვარწმუნებს ჩვენ სწორედ 1850 წლის ზამთარში შესრულებული პორტრეტი ეკატერინე და ელენე მურავიოვებისა, რომელიც ამაჟამად ალექსანდრე მურავიოვის ქართულ-შთამომავალთა ოჯახში მოიპოვება აქ შემინახული გადმოცემით, მაზერის მიერ არის შესრულებული.

ას ხუთ წელს ითვლის მხატვრის

ფანქრით შესრულებული ეს ნახატი, საიდანაც ბეწვიან ტანსაცმელში გამოწყობილი ორი გოგონას კეთილი და ბავშვურად გულბრწყვილი სახეები შემოგვანათიან. ნახატის ამ ასაკს გვიდასტურებს, ოდესღაც თეთრი და აწკი, გაყვითლებული და თითქმის გახვეწილი ქალაღლის მეორე გვერდზე ინგლისურად მხატვრის მიერ ფანქრით გაკეთებული წარწერა: „ეკატერინე და მისი დაი ელენე მურავიოვები. ტობოლსკი, 1850 წელი“.

ცნობილია, რომ ხელოვნების ისტორიკოსები და ლიტერატურის-მცოდნენი მაზერს ოსტატობას არ უჭებენ. სპეციალისტთა აზრით, მის მიერ შესრულებული პორტრეტები მეტისმეტად მშრალია და ორიგინალის დამახასიათებელი თავისებურებებს, ადამიანის ფსიქოლოგიური მრავალფეროვნების სიღრმეს ვერ სწვდებიან.

ეს ნაკლი ადვილად შეიძინება მაზერის ნამუშევრად ნავარაუდევ ეკატერინე და ელენე მურავიოვების პორტრეტებში, რომლებსაც ეს ნორჩი გოგონები გაცილებით მეტსაკონებად გამოიყურებიან.

მაგრამ, ეკატერინე და ელენე მურავიოვების, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის პიროვნება ჩვენ გვაინტერესებს არა მარტო როგორც მხატვრის შემოქმედების საგანი, არამედ წმინდა საზოგადოებრივ-ბიოგრაფიული თვალსაზრისითაც.

როგორც სათანადო საბუთებიდან ჩანს, ელენე მურავიოვი თავის დროზე გათხოვია ერთ რუს მოხელეზე ვახლო სამოილოვიჩზე, რომლისაგან მას შეეძინა ქალიშვილი, ნატალია ვასილის-ასული. ეს უკანასკნელი გასული საუკუნის მიწურულში შეუღლებია ქართველ თავადიშვილს ალექსანდრე დავითის-ძე ვაჩნაძეს, რომელთანაც ერთად ცხოვრობდა საქართველოში, ჯერ კახეთში, ხოლო შემდეგ, სიკვდილამდე, თბილისში. ჩვენს ქვეყანაში ნატალიასთან ერთად ცხოვრობდა მისი დედაც, დეკაბრისტთა ალექსანდრე მურავიოვის შვილი, ჩვენ მიერ ზემოხსენებული ელენე, რომელიც 1920 წელს გარდაიცვალა თბილისში.

ჩვენ არ შევიძლია ერთგვარი შინაგანი მადლობის გრძობით არ აღვნიშნოთ, რომ მურავიოვთა ოჯახის წევრების მეტრიკული ამონაწერები, გასული საუკუნის 50-იან წლებში ციმბირში შესრულებული მათი პორტრეტები და ჩვენი ქვეყნის დეკაბრისტულ წარსულთან დაკავშირებული სხვა მასალები, რომლებიც ამაჟამად ალექსანდრე მურავიოვის შვილიშვილის მეუღლესთან, ელენე ალექსანდრეს ასულ ვაჩნაძე-გამარკელთან (ცნობილი ქართველი მხატვრის ირაკლი გამარკელის მეუღლესთან) ინახება; სწორედ ამ უკანასკნელის დედად, დეკაბრისტის შვილიშვილმა, ნატალია ვასილის ასულმა ვაჩნაძემ შემოგვინახა, როგორც ძვირფასი რელიკვია. თავის დროზე, ნატალია ვასილის ასულმა არა ერთი, ამავე გაცილებით უფრო ძვირფასი, ჩვენი ქვეყნის რევოლუციური წარსულის შესასწავლად მეტად



მნიშვნელოვანი დოკუმენტები, პორტრეტები და სხვადასხვა საბუთები გადასცა საქართველოს პოლიტკატორღელთა საზოგადოებას და იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ამ ფასდაუღებელ „სიძველეთა“ შეკრება და დამუშავება ევალებათ.

80 წელს იცოცხლა ნატალია ვასილის ასულმა ვაჩნაძემ, მაგრამ, მიუხედავად ხანდაზმულობისა იგი თითქმის უკანასკნელ დღემდე (გარდაიცვალა 1942 წელს) მხნედ ეწეოდა თავის საგვარულ პედაგოგიურ მუშაობას და ცხოველ ინტერესს იჩენდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი სინამდვილის მიმართაც. სახელოვანი პაპის მებრძოლი სულით შთაგონებული ნატალია ვაჩნაძე მუდამ იმის ცდაში იყო, რომ თავისი ცხოვრებით შესანიშნავ წინაპართა ღირსეული მემკვიდრე ყოფილიყო.

უჩვეულო იყო ინტერესი, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრიობა და ჩვენი პრესა იჩენდა თავის დროზე „დეკაბრისტის შვილის შვილისადმი“. ფურცლავ ოცდაათიანი წლების „იხვესიას“, „ზარია ვოსტოკას“, „რაზობიან პრავდას“ და სხვა უფროს-გაზეთებს, კითხულობდა მათში მოთავსებულ ნატალია ვაჩნაძის მოგონებებს სახელოვან წარსულთან დაკავშირებულ მურავიოვების საგვარეულო დოკუმენტებზე, ფოტოსურათებზე, კერძოდ იმ სამაჯურზე, რომელიც ალექსანდრე მურავიოვის ბორკილებისაგან იყო ნაკეთები, ხოლო შემდეგში უგზოუკვლოდ დაიკარგა სადღაც ფლორენციას თუ ლონდონში და თვალწინ, როგორც ცოცხლები, წარმოვიადგებოთ მათი სახეები, ვინც ა ოცდაათი წლის წინათ ვაჟკაცურად შეებრძოლა მეფის დესპოტიას ადამიანთა თავისუფლების დასამკვიდრებლად და ამით სამარადისო სიყვარულის და პატივისცემის ხელთუქმნელი ძეგლი აიგო მადლიერი ხალხის გულში.

ციანტები უსაქმობის გამო მაგიდებსშუა დაყალიბდნენ, მე უფრო სწრაფად ვესაუბრებოდი ჩემს თავს ტურჩების ოდნავი ცმაყუნით. ოფიციატებმა შეამჩნიეს ეს და დაცინვა დამიწყეს:

— რაო, ლოცვებს კითხულობ? კრიალოსანს მარცმავა?

არა, მე ლოცვებს როდი ვკითხულობდი, არც კრიალოსანს ვმარცვლავდი, არამედ ვუყურებდი, ვთვებთ, ხუთი სულისაგან შემდგარ ოჯახს — მამა, დედა, სამი პატარა ბავშვი, — და გზუტუტებდით: „ეტყობა, ამ კაცს ფულის დახარჯვა არ უნდა, ან ძუნწია, ანდა მართლა არანაყოფის ფული... ქალი კი თავქარიანია, წარსია, მან ძვირი საჭმელები შეუყვითა: სადარეო ბოსტნეული, სოკო, ტკბილეული... კაცი გულზე სედება და თავს ძლივს იკავებს... ქალს კი, იმ ეშმაკს, ქმრის წვალება უყვარს, თანაც ბავშვები კინანანობენ, ამიტომ ახლა ეს კაცი ძალზე დამმარე-

ბულ გუნებაზა...“ ანდა მე სხვა სტუმრის სახეს ვაკვირებდი, აი მას უბღღუე დიდი ხორცმეტი აქვს: „ვაჰ, ეს რა კარტოფილის სიმსხო კომი აზის ამ სუბიექტს უბღღუე... ალბათ, რა უცნაურად გრძნობს თავს, როგორ ესამუშავა, ხელით ისინჯავს... ნეტავი ქულს როგორ იხურავს? კოპზე ჩამოიცვას, თუ კეფაზე მოიკიდებს, რომ ქულის ფარფლები კოპს არ ენებოდეს? ... საერთოდ, მე სულ უფრო და უფრო სწირად ველაპარაკებოდი ჩემს თავს, ამხანაგებთან კი იშვიათად ამოვიღებდი ხმას. რესტორანის პატრონი მისაბამ ოფიციატად აღარ მივლიერად აღმატერად მიყურებდა. ეტყობა, არანორმალური ადამიანად მიგაჩნდი და შემთხვევას ელოდა, თავიდან მოვეშორებინე.

ეს შემთხვევაც მალე მიეცა. ერთ საღამოს რესტორანში თითქმის არავინ იყო, ორკესტრი ცარიელი მაგიდებისთვის უკრავდა რომისულ სიმღერას „სული და

გული“, მე კი ვამთქნარებდი და დიდი მაგიდის შორიალო კედელზე მიყრდნობილი მუშტრის მოლოდინში ერთ ადგილზე ვტოვავდი. ამ მაგიდაზე სოფრა ათი კაცისათვის იყო გაწყობილი. ხალხი, რომელმაც ეს ვახშამი შეუკვია, ჯერ არა ჩანდა. მე კი კარგად ვიცოდი, ვინც იყვნენ ისინი და მათგან კარგს არავფერს გამოიგელოდი. აი, ბოლოს შემოვიდნენ ისინი გაჩირაღდნულ დარბაზში: ქალები საღამურ კაბებში იყვნენ გამოწყობილი, ალგუნებულები, ხმაშაღლა და გაცხოველებით ლაპარაკობდნენ, თან კაცებისკენ შერხუნდებოდნენ ხოლმე. კავალრებს ხელები ჯიბეებში ეწყობო, მუცლები წინ გამოეშვრათ, ყველანი მუქ-მურჯ კოსტუმებში გამოწყობილები, ჩასუქებულნი და თვითმკაცროფილები იყვნენ, ერთი სიტყვით, ეს ხალხი იმითავე განხლები, რომელსაც წესიერ საზოგადოებას ვანი უწოდებენ. ეს სწორედ ასეა, ერთ საღამოს მე ჩემი ყურით გავიგონე, როგორ თქვა ერთმა ფრანტმა ასეთებ-

„ინგლისელი რაბლე“ უწოდა რუსეთის უდიდესმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ გენიალურ სატირიკოსს ჯონათან სვიფტს.

ინგლისის ლიტერატურის ისტორიაში ბირველმა სვიფტმა მიმართა სატირას, როგორც მისი თანამედროვე საზოგადოების მიღებისა და გაკიცხვის საშუალებას.

სვიფტის შემოქმედება, რომელსაც თავისი სიცხადით, გესლიანობითა და დაუნდობლობით იშვიათად თუ მოპოვება ზაღალი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, უკვდავი სატირია, არა მარტო ინგლისის, არამედ მთელი ევროპის ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე.

სვიფტის დროინდელი ინგლისში ხელისუფლებისათვის მებრძოლი ორი პარტია არსებობდა — ვიგები და ტორები. სვიფტი დაუსაბუთებელი ვიგებს და მათ მხარეზე გამოვიდა. 1701 წელს სვიფტმა გამოაქვეყნა პამფლეტი „მსჯელობა ათენისა და რომის დიდებულთა და მდაბიოთა შორის უთანხმოებაზე“. სვიფტს ანტიკური ამბების გახსენება მისი თანამედროვე სინამდვილის სურათების ხაზგასასმელად დასჭირდა, მაგრამ ვიგების მიერ მშრომელი ხალხის ადვირახსნილმა ექსპლათაციამ სვიფტს მალე თვალები აუხილა და თავისი ყოფილი მეგობრების წინააღმდეგ პამფლეტი — „რელიგიის განვითარების პროექტი“ დააწერა. მასში სვიფტმა მკაცრად აშვილა უმადლესი სასულიერო წოდების მანიკერებანი და მათი კავშირი მმართველ წრებთან. პარტიებზე იმედგაცრუებულმა და ხელჩაქნულმა სვიფტმა გადაწყვიტა ჩამოშორებოდა პოლიტიკურ საზოგადოებას, რაც უპასურლა კიდევ იგი გაემგზავრა დუბლინიში წმიდა პატრიკის ტაძრის დეკანოზის თანამდებობაზე. აქედან იწყება სვიფტის ცხოვრებაში ახალი ხანა. ის ირლანდიის თავისუფლების ქომბაე, ინგლისის კოლონიური პოლიტიკის დაუძინებელი მტერი ხდება.

ნადავ მძივრი, დაუმორჩილებელი ქვეყანა, დაიაააკებული ხალხი, ასეთი იყო სვიფტისდროინდელი ირლანდიის შემადარწუნებელი სურათი. მიძინებულ ირლანდიელებს სვიფტი თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების დაცვისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. 1720 წელს ხელმოწერულად გამოდის სვიფტის პამფლეტი — „წინადადება ირლანდიაური მანიფესტურის საყოველთაო გამოყენებაზე“. სვიფტმა აქ ძველი ბერძნული მითის მოწვევებით სამარცხვინო ბოძე გააკრა ინგლისელი ხელიწყალი. რომელთაც ირლანდიელებს საკუთარი მანუფაქტურის არსებობისათვის საჭირო ნედლეული წარატყენ. 1724 წელს ინგლისმა, ირლანდიის პარლამენტის დაუქონებავად ავანტიურისტ ვულდს ირლანდიისათვის ფულის მოჭრა მიანდა. ამით ირლანდია თვითნებური სუვერენიტეტის მსხვერპლი ხდებოდა. ეს გახდა საბაბი ცნობილი სატირიკული ნაწარმოებისა „შემაუდის წერილები“. პამფლეტი დაწერილია უპრალო ენით. სვიფტი მემუდის ბირთ ლაპარაკობს, და ცდილობს თანამემამულეებს ჩაუხერხოს აზრი, რომ ისინი მონები არ არიან და ინგლისის ხელისუფალთა ამ თვითნებური მოქმედების წინააღმდეგ საჭიროა შეერთებული ძალით ბრძოლა. სვიფტის წერილებმა თავისი ნაყოფი გამოიღო: ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა ვულდის მიერ მოჭრილი ფული. ირლანდიის უფლებების ახალ შეზღუდვებს სვიფტი მორიგი პამფლეტებით უმასპინძლებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სახელგანთქმული პამფლეტი: „მორიდებული წინადადება ირლანდიელ ბავშვებზე, რათა ისინი არ დააწენ ტვირთად თავის ღარიბ მშობლებს, ან ქვეყანას და გადაიქცენ ხალხისათვის სასარგებლოდ“. პამფლეტში სვიფტი ცინიკურად ურჩევს ინგლისელ ჯენტლმენებს ირლანდიელი ჩვილი ბავშვების სხეულიდან დაეშაფონ წიარნარი ნუგბარი საქმელი, ხოლო ინგლისელ ქალბატონებს სთავაზობს საუკეთესო ხარისხის ხელთათმანებს დაშაფებულს ამ ბავშვების კანიდან.

სვიფტის კალამზე კეთილგონი „ზღაპარი კასრზე“, რომელშიაც მწერალმა ალგორითულად გადმოგვცა ქრისტიანული რელიგიის სამი სახესხვაობის კრიტიკა (კათოლიციზმი, პურიტანიზმი და ანგლიკანური ეკლესია). „კასრის ზღაპარში“ მარტო ქრისტიანული რელიგიის კი სამი სახესხვაობა კი არ არის გაკრიტიკებული და გამასხარავებული, არამედ გამათარახებულია თვითონ ქრისტიანებაც. ვოლტერის მოსწრებელი გამოთქმით: „სვიფტის მათრახი იმდენად გრძელია, რომ იგი, ხვდება არა მარტო ვატივილებს, არამედ მამასაც“. (იგულისხმება ქრისტიანობა). ისევე როგორც შეზღუდვები ღია ზღვაში ყოფნისას კასრს გადაუდებენ ვეშაბს, რათა ამით მისი ყურადღება გამს ჩამოაშორონ, ასევე, სვიფტის აზრით, სახელმწიფო რელიგიის სთავაზობს ხალხს, რათა მისი გონება შეზღუდოს და თავი დაიხვედოს რევოლუციებისაკენ. სვიფტმა სასუკაროზე გამოიტანა რელიგიის ნამდვილი არსი, რომელსაც შემდგომში კომუნისტის მამამთავარმა კ. მარქსმა „ხალხის ოპიუმ“ უწოდა. როგორც ცნობილია, სვიფტის მიზანი იყო ადამიანთა ნაკლოვანი და მანიკერი მხარეების გამოსწორება. იგი ნათლად ხედავდა, რომ მარტო პამფლეტებითა და ცალკეული წერილებით არ შეიძლებოდა ამის გაკეთება. ამიტომაც გადაწყვიტა შეექმნა ერთი მთლიანი ეპოპეა და ეჩვენებინა ადამიანთა საზოგადოებაში გამეფებული სისულელე, ფარისევლობა, კარიერისმი, ეგოიზმი და ვერაგობა. სწორედ ამ მიზნით დაწერა სახელგანთქმული „გულივერის მოგზაურობის“ ოთხი წიგნი. ნაწარმოები გამოიცა 1726 წ. 8 ოქტომბერს.

სვიფტმა თავისი გმირი გულივერი ამოგზავრა ჯერ ლილიპუტების, შემდგომში კი გოლიათების ქვეყანაში. არა იმიტომ, რომ ეს ფანტასტიკური ქვეყნები თავისთავად მიზიდვლი იქნებოდა მკითხველთა ფარით წრებისათვის, არამედ იმიტომ, რომ, რაც მას სათქმელი ჰქონდა, უკეთესად შეიძლებოდა გამოხატულიყო ლილიპუტების ქვეყნის გოლიათების ქვეყანასთან (იგულისხმება სვიფტის პოლიტიკური იდეალი, ხელისუფლების სათავეში უღდა იღვას განათლებული მონარქი) დაპირისპირებით.

„გულივერის მოგზაურობა“ რომანის სახითა დაწერილი. მასში, როგორც ცნობილია, მოთხრობილია გულივერის მოკლე ბიოგრაფია, მისი გატაცება ზღვით, და ზღვაზე მოგზაურობა, წარმოებატელობა, გემის დაღუპვა და კუნძულზე აჯიყვა. ის სწორედ აქ შეხვდა ლილიპუტებს, რომლებიც უმადლესტენ დაიმორჩილონ ეს მთა კაცი. აქაა დაცივდა და უდიდესი გესლიანი სატირა დამყარობების წინააღმდეგ, რასაც პატარა ინგლისი უკვე ეწეოდა სხვა სახელმწიფოთა მიმართ. ლილიპუტების ქვეყანაში გულივერი აღმოჩენს ისეთსავე ყაიდაზე მოწყობილ სახელმწიფოს, როგორც მისი სამშობლოა.

ლილიპუტების ქვეყანაში ბირველ მინისტრად ნიშნავდნენ მხოლოდ იმას, ვინც კარგად ცეკვავდა და ჯამზაზობაში უდიდეს ნიჭს გამოავლენდა. ესაა ალგორია ინგლისის არისტოკრატიაზე, მის უაზრო გაფუფულდასა და გაბლენდაზე, იმ იოლ გზებზე, რომლითაც იგი აღწევდა უმადლეს თანამდებობებს. გულივერი დიდ დახმარებას გაუწევს იმ მისი ლილიპუტების ქვეყანას, მაგრამ აშკარად ილაშქრებს მათი სურვილის წინააღმდეგ დაიპყრონ მეზობელი ზღაფუსკელები. „მე აშკარად გავილაშქრე. — აცხადებს ის. — იმის წინააღმდეგ, რომ ოდესმე გამგზადრიაყვი იარაღად, რომელიც თავისუფლებისმოყვარე ხალხებს მონობას მოუტანდა“.

„გულივერის მოგზაურობის“ მეორე ნაწილში სვიფტს იდეალური მონარქი გოლიათების მეფის სახით გამოჰყავს. გოლიათების მეფე, დანიჭრესებული გულივერითა და მისი ქვეყნით, თხუცს მას უამბობს თავისი ქვეყნის ისტორია, ხოლო მოსმენის შემდეგ მან, ამ პატიოსნებისა და სიკეთის განსახიერებამ, აღნიშნა: რომ ეს იყო ისტორია მკვლელების, შეთქმულების და ყველა საშინელების, რაც შედეგია სიხარბის, პარტიული დაყოფის, თვალთმაქციობის, ვერაგობის, სიმკაცრის, შურის, სიძულვილის, ბოროტებისა და პატივმოყვარობის.

„გულივერის მოგზაურობის“ მეორე ნაწილში სვიფტი თავს ესხმის მის თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერების პედანტიზმსა და აბსტრაქტულობას. სამეფო საზოგადოება, რომელიც აღწერილია „გულივერის მოგზაურობის“ მესამე ნაწილში, მეცნიერებათა აკადემიის მსავსის დაწესებულებაა, რომლის წევრები დაშორებული არიან ხალხისაკენ და ცდილობენ მეცნიერება პირად ინტერესებისათვის გამოიყენონ. გამოსავლის უპოვნელობამ სვიფტი სასოწარკვეთლობამდე მიიყვანა და საერთოდ ადამიანებზე გული გაუტეხა. სვიფტი „გულივერის მოგზაურობის“ მეოთხე ნაწილში მიუახლოვდა სოციალურ უთანხმოების მიზეზების გაგებას. იგი წერს: „მე ვთქვამ, რომ მდიდრები მდიდრდებიან ღარიბთა შრომით, რომელიც ათასი შობის ერთ მდიდარზე. ისინი ვითამბუნ, რათა უმცირესობა დატკბეს ცხოვრების ყველა სიამოვნებით“. მაგრამ სოციალური უთანასწორობიდან გამოსავალი სვიფტმა ვერ იპოვა და ნატურალური მეურნეობისაკენ დაბრუნება იქადაგა. სვიფტი „გულივერის მოგზაურობაში“ ომების აშკარა წინააღმდეგობა, მაგრამ კოლონიური ვაჭრობის აქტიური მომხრე და მხარდამჭერი. ამასთანავე, განსხვავებით ინგლისელი განმანათლებლებისაკენ. ის არ იზიარებს ბურჟუაზიული პროგრესის რწმენას. სვიფტის პროგრესულობა იმანა. რომ იგი ღრმად ჩასწვდა თავისი კლასის მანიკერებას და არ დაინდო იგი. სვიფტმა გენიალური გამჭრიახობით შესძლო შეენიშნა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებული ნაკლოვებანი. მისი სატირის ს; მახვილურ ორასი წლის შემდეგაც არ გამქრალა და იგი დღესაც შესანიშნავად ახასიათებს აგრესიული კაპიტალიზმის ქვეყნებას ბურჟუაზიას.



შექსპირის მაჩაბლისეულმა თარგმანებმა უდიდესი როლი შეასრულეს ახალი ქართული ენის ჩამოყალიბების, ახალი ქართული ლიტერატურის განმტკიცებისა და ახალი ქართული თეატრის შექმნის საქმეში. მაჩაბლის თარგმანები თავისუფლად შეიძლება შევედაროთ „ვის-რამიანის“ გენიალურ ქართულ თარგმანს, როგორც ხარისხის, ასევე მნიშვნელობის მხრივაც. ისეთი კომპეტენტური პირი, როგორიც ჩვენთვის კარგად ცნობილი ოლივერ უორდრობი იყო, ერთი მხის თარგმანის გამო მაჩაბელს კერძო წერილში სწერდა: „მე ხელთა მაქვს ამავე პიესის ახალი ფრანგული, გერმანული, რუსული, ბულგარული გამოცემები, მაგრამ თქვენს თარგმანს ვერც ერთი ვერ შეედრება. თქვენ ისეთი საქმე გააკეთეთ, რომ თუ თანამედროვენი ვერ გადასებენ სათანადოდ, შთამომავლობა დაგაფასებთ და თაყვანსა გვიმთ“.

ეს ციტატა მოგვყავს ვახტანგ ჭელიძის ახლახან გამოცემული წიგნიდან „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“. მაჩაბლის დავალი დაფასება არ აჯლია ჩვენს დროში, მაგრამ აქა-იქ გაფანტული ცნობებისა და ორიოდ საყურნალო სტატიის გარდა, ქართველ მკითხველს არაფერი შეიძლება ხელთ მაჩაბლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ამჟამად ეს ნაკლი შევსებულა, თანაც შევსებულა შესანიშნავად.

ამ წიგნში ერთის მხრივ დიდი ზედმიწევნილობითა და სისრულით არის აღწერილი მაჩაბლისდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება, ივანე მაჩაბლის ბავშვობისა და განსვლის წლები, მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა; თანამედროვეთა მოკონებებიდან და ისტორიული დოკუმენტებიდან ამოკრეფილი უამრავი საინტერესო ცნობა ივანე მაჩაბლის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვა იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა შესახებ, მრავალი საინტერესო დასკვნა და მოსაზრება, შესანიშნავი მეცნიერული ანალიზი მაჩაბლის მთარგმნელობითი მეთოდისა და მისი თარგმანებისა, დიდ შემეცნებითი ღირებულებას ანიჭებს ამ წიგნს. მეორეს მხრივ კი ეს წიგნი ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს; შემეცნებითი მხარე ორგანიულად, ბუნებრივად არის ჩართული მის მხატვრულ ქსოვილში.


ლამაზად, მოხდენილ სტილით ავიწერს ვახტანგ ჭელიძე მაჩაბლის ბავშვობას, მის პიროვნ ნაბიჯებს ლიტერატურულ ასპარეზზე ილია ჭავჭავაძისთან ერთად, „დროების“ რედაქციობის პერიოდს, ბანკის საკითხებზე ატეხლ, „შედელობის ომს“, მაჩაბლის ლეგენდარულ სიყვდილს. ავტორს არ ავიწყდება არც ინტიმური ცხოვრება მაჩაბლისა, მისი პიროვნული განცდები, სიუფარული და იმედი, სასოწარკვეთილება და სევდა, თუენ სულიერი გარემოცვა, რომელიც XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივმა სიღუბლემ განაპირობა.

ვ. ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ ერთსა და იმავე დრის ვრცელი მცენიერული მონოგრაფიაა ვახტანგ და ბიოგრაფიული რომანიც. მხატვრული ასპექტი, რომელსაც ავტორი მიმართავს, უშუალოდ ანიჭებს ვადმოსაცემ მასალას, ესთერიკურად განგავცდევინებს. იგი გამაღიღებელ უშუასა ჰავას — გვახლოებს გმირთან, მის სულიერი ცხოვრებასაც ვადმოგვიშლის და შეგვაგრძნობინებს, რაც თითქმის სრულიად შეუძლებელია მშრალ ისტორიულ-ფილოლოგიურ ნარკვევში. თანადროულ ევროპულ ლიტერატურაში ისეთმა დიდმა მწერლებმა, როგორიცაა რომენ როლანი და სტეფან ცვაიგი, ტყუილად როდ გამოიყენეს რომან-ბიოგრაფიის „ცხოვრების“ უარი, რომელსაც ანტიურ ეპოქაში აქვს ფეხები. ქართულ ლიტერატურაშიც ვაქვს ამ უარის დიდი ტრადიცია („ცხოვრება ვიკოლ ნანთელისა“, „ცხოვრება ივანე და ექათიმე მოაწმიდელებისა“, „ცხოვრება გიორგი მოაწმიდელისა“, ბოლოს — პლ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“). ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ შესანიშნავად აგომელებს ამ ტრადიციას და მნიშვნელოვანი შენაძინა ჩვენი ლიტერატურისათვის.



„არსენა მარაბდელი“

მიხეილ ჯავახიშვილის პროზა დი- დო პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა მკითხველებს შორის. სიუ- ჟეტის ბრწყინვალე ოსტატობა, ადა- მიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, თხრობის ცოცხალი ხალხური ენა მუდამ მიმზიდველს ხდიდა მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებს.



„დიდოსტატის მარჯვენა“

„ზარა ვოსტოკას“ გამომცემლობამ ამას წინათ გამოცვა კონსტანტინე გამ- სახურდიას ცნობილი ისტორიული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. აღ- ნიშნულ რომანს ქართველი საბჭოთა მკითხველი ჯერ კიდევ 1939 წელს გაიცნო. მაშინ იგი მოთავსებული იყო კონსტანტინე გამსახურდიას კრებულ- ში „თვალთაი“.



ინდონეზიის რასკუგლიკა

ინდონეზია მდებარეობს სამხრეთ- აღმოსავლეთ აზიაში, მას უჭირავს მა- ლაის არქიპელაგის დიდი ნაწილი. ინ- დონეზიის ტერიტორია შედგება 3 ათა- სზე მეტი კუნძულისაგან (მათ შო- რის: იავა, სუმატრა, ბორნეო ანუ კა- ლიმატანი, ცელებესი ანუ სულავესი, მცირე ზონდის კუნძულები, მოლუკის კუნძულები და სხვ.), რომელთა საერ- თო ფართობი შეადგენს დაახლოებით 2 მილიონ კვ. კილომეტრს. იავას, სუმატრას, ცელებესს და ბორნეოს უჭირავთ ინდონეზიის რესპუბლიკის მთელი ფართობის 9/10. მალაის არქი- პელაგიდან ინდონეზიის შემადგენლო- ბაში არ შედის ბორნეოს ბრიტანეთის ნაწილი (სარაუაი) და პორტუგალიის ტერიტორია. ინდონეზიის ტერიტორიის ფართობი შეადგენს ავსტრალიის ტე- რიტორიის მხოლოდ 1/4, მაგრამ მისი მოსახლეობა 10-ჯერ მეტია ავსტრა- ლიისაზე.

ინდონეზიის რესპუბლიკის მოსახ- ლეობა დაახლოებით 80 მილიონია. რესპუბლიკის დედაქალაქია ჯაკარტა. ინდონეზია მდებარეობს იმ გზაზე, რომელიც აზიის მატერიკს აკავშირებს ავსტრალიასთან და ინდოეთის ოკეა- ნს — წყნარ ოკეანესთან. ინდონეზიაში გარდა ინდონეზიელე- ბისა, რომლებიც შეადგენენ მოსახლე-ობის უმრავლესობას, ცხოვრობენ ჩი- ნელები (1-2 მილიონი), პოლანდე-ლები, არაბები, ინდოელები. ძირითადი მოსახლეობა მალაიურ ტომებია. მათი ენა, როგორც ყველაზე უფრო გავრცე- ლებული, წარმოადგენს სახელმწიფო ენას. რელიგიის მიხედვით მოსახლეო- ბის 90%-ზე მეტი მუსლიმანია, 4,3% — ქრისტიანი, 3% — ბუდის- ტი, 2,2% — ჰინდუ.

ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახ- ლებულია კუნძული იავა (აქ ცხოვრობს ინდონეზიის მთელი მოსახლეობის 70% — დაახლოებით 50 მილიონი), სადაც 1 კვ. კმ. მოდის 340-400 მცხოვრები. სხვა კუნძულებზე მოსახ- ლეობა შედარებით ნაკლებია: სუმატ- რაზე — დაახლოებით 9 მილიონი, ცე- ლებესზე — 4 მილიონი და ა. შ.

მოსახლეობის უდიდესი უმრავლე- ტობა ცხოვრობს სოფლებში. ქალა- ქებში მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს. კუნ- ძულ იავაზე მდებარეობს ინდონეზიის რესპუბლიკის დედაქალაქი ჯაკარტა (მისი პოლანდიური სახელწოდება — ბატავია), რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ადმინისტრაციულ, სავაჭრო, საფინანსო და სტრანსპორტო ცენტრს, 2,5 მილიონზე მეტი მცხოვ- რების ადგილი და უმრავლესობა იავის ზღვის სანაპიროს 6 კილომეტრით, სადაც მდებარეობს მისი ავანპორტი — ტანჯონგპრეგი. ჯაკარტაში განვითარ- ებულია გემომშენებლობა და კვების მრეწველობა. აქ არის უნივერსიტეტი, სამედიცინო და აუროიდული ინსტი- ტუტები, მუზეუმები და ობსერვატორ- ია.

ინდონეზია აგრარული ქვეყანაა, მაგრამ ამავე დროს იგი განთქმულია სტრატეგიული მნიშვნელობის ნედ- ლეულით, რაც იწვევს იმპერიალისტუ-

რი ქვეყნების დიდ ინტერესს ინდონე- ზიისადმი. ნატურალური კაუჩუკის წარმოების დარგში ინდონეზიას უკა- ვია მსოფლიოში პირველი ადგილი. იგი იძლევა კაუჩუკის მსოფლიო პრო- დუქციის დაახლოებით 40%-ს, კოპ- რის — 30%-ს, ჩაის — 15%-ს, შაქ- რის — 10%-ს, ყავის — 8%-ს, პალ- მის ზეთის — 40%-ს, ბოქვოს — 20%-ს, ქინაჩინის მსოფლიო მოხმარების 90%-ს და სხვ.

ინდონეზიაში მუშავდება სოფლის მეურნეობისათვის ვარჯისი მიწის და- ახლოებით 50%. სოფლის მეურნეობის ძირითად კულტურას შეადგენს ბრინ- ჯი, სიმინდი, ტკბილი კარტოფილი, არახისი და სხვ. მისარწყავი მიწის ფართობის ნახევარზე ბრინჯის მოსა- ვალი ორჯერ მოდის.

სოფლის მეურნეობაში მნიშვნელო- ვანი ფართობი უჭირავს კაუჩუკის პლანტაციებს. კაუჩუკის პლანტაციე- ბით განთქმულია იავა და სუმატრა, ხოლო ბორნეოსა და ცელებესზე კაუ- ჩუკის იძლევა უმთავრესად წვრილი მე- ურნეობა. ინდონეზიაში კაუჩუკის პლანტაციების დაახლოებით 90% ეკუთვნის ინგლის-პოლანდიის კაპი- ტალს. ფილიპინის კუნძულების შემ- დგე ინდონეზიას უჭირავს მეორე ად- გილი კობრის წარმოების დარგში. ქო- ქოსის პალმ, რომლისაგანაც ღებულო- ბენ კობრს, გავრცელებულია მთელს ინდონეზიაში. კობრს ამზადებენ არა მარტო წვრილი, არამედ მსხვილი მე- ურნეობებიც. კობრის პროდუქციის 1/3 ხმარდება ქვეყნის შინაგან საჭი- როებას, დანარჩენი კი გააქვთ უცხო- ეთში. კობრის ექსპორტის მნიშვნელო- ვანი ნაწილი მოდის ინგლის-პოლან- დიის მარგარინის კონცერნზე.

ჩაის გატანის საქმეში ინდონეზიას კაპიტალისტურ სამყაროში მესამე ად- გილი უკავია ინდოეთისა და ცილო- ნის შემდეგ. ჩაის პლანტაციების დი- დი ნაწილი ეკუთვნის ინგლის-პოლან- დიის კაპიტალს. ინდონეზიიდან გააქვთ აგრეთვე ქინაჩინი, თამბაქო, ყავა, კა- კაო, და სხვ.

ინდონეზიაში მოიპოვება წიაღისეუ- ლი სიმინდრეებიც: ნავთობი, ქვანახ- შირი, სპილენძი, მარგანეცი, ნიკელი, ბოქსიტი. კალას მსოფლიო წარმოების დაახლოებით 20% მოდის ინდონე- ზიაზე.

უცხოეთის კაპიტალის ბატონობა ინდონეზიაში ხელს უშლიდა ადგი- ლობრივი მრეწველობის განვითარებას. იგი ვადაქვეყნული იყო ნედლეულის წყაროდ. მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგი — საპლანტაციო მეურნეობა, სამთო მრეწველობა, სასოფლო-სამე- ურნეო ნედლეულის დამუშავება, ტრანსპორტი, სავაჭრო ვაჭრობა — ჯერ კიდევ პოლანდიელ, ინგლისელ და ამერიკელი მონოპოლისტების ხელში იმყოფება. ისინი შეგნებულად უშლიან ხელს ინდონეზიის ნაციონა- ლური ეკონომიკის განვითარებას.



მეორე მსოფლიო ომამდე ინდონე- ზია პოლანდიის კოლონიას წარმოად- გენდა. 1942 წელს ინდონეზია ოკუპირ-ებულ იქნა იაპონიის მიერ. იაპო- ნელთა „ახალი წესი“ კიდევ უფრო


მძიმე აღმოჩნდა მოსახლეობისათვის, ვიდრე პოლანდიელთა რეჟიმი. იაპო- ნელები უზომოდ მარცვადნენ ინდო- ნეზიას. ინდონეზიის ხალხები თავისი კომუნისტური პარტიის მეთაურობით აღდგნენ იაპონელი ოკუპანტების წინა- აღმდეგ. მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპანტების წინააღმდეგ შეიარაღე- ბულ აჯანყებას ადგილი ჰქონდა იავა- ზე, სუმატრაზე, დასავლეთ ბორნეოზე და სხვ.

1945 წლის აგვისტოში საბჭოთა არ- მის მიერ იაპონიის ჯარების განად- გურება მოხდა კიდევ უფრო გააღვირა ინდონეზიის ხალხების ერი- თუნულ - განმათავისუფლე- ბელი ბრძოლა. იაპონელი ოკუპანტების ნაწილები ია- ნიარაღებულ იქნა ადგი- ლობრივი პარტიზანული ძა- ლების მიერ. იმავე წლის 17 აგვისტოს ინდონეზია გამო- ცხადდა დამოუკიდებლად და რესპუბლიკად. რესპუბ- ლიკის პრეზიდენტი გახდა დოქტორი სუკარნო, ვიცე- პრეზიდენტი — ხატა. შეი- ქმნა ნაციონალური მთავ- რობა, პარლამენტი, მიღე- ბულ იქნა კონსტიტუ- ცია. ინდონეზიის სახელ- მწიფოს თეორიულ საფუ- ველს წარმოადგენდა დოქ- ტორ სუკარნოს მიერ წამო- ყენებული სუთი პრინციპი („პანჩა სილა“): ნაციონა- ლიზმი, ინტერნაციონალიზ- მი, პარლამენტარიზმი, სო- ციალური სამართლიანობა და დემო- კრატია.

იმპერიალისტურმა ქვეყნებმა არ ცნეს ინდონეზიის რესპუბლიკა და გა- დაწყვიტეს ბოლო მოეღოთ მისთვის. იაპონელი ოკუპანტების განიარაღების საბაბით ინდონეზიის კუნძულებზე გადმოსხდნენ ინგლისის ჯარები, მათ მიემხველენ პოლანდიელებიც. მალე დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა ინ- დონეზიის რესპუბლიკასა და ინტერ- ვენტა ჯარის ნაწილებს შორის. ინ- ტერვენტები იყენებდნენ ინდონეზია- ში დარჩენილ იაპონურ ნაწილებსაც. დაიწყო ეროვნული მოძრაობის სას- ტიკი ჩახშობა.

საბჭოთა ხალხმა პირველმა დაუჭირა მხარი ინდონეზიის ხალხების ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. 1946 წლის თებერვალში უკრაინის სსრ დელეგაციის ინიციატივით გაერთიანე- ბული ერების ორგანიზაციის უშიშო- რობის საბჭოში დაიხდა საკიობი ინ- დონეზიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. კოლონიზატორები იძულებუ- ლი გახდნენ უკან დაეხიათ — დაეწყეთ მოლაპარაკება ინდონეზიის რესპუბ- ლიკის წარმომადგენლებთან. იმავე წლის ნოემბერში პარტიზანულ იქნა და 1947 წლის 25 მარტს კი — ხელ- მოწერილი ლინგაჯატის (პატარა სო-





ფელია ქ. ჩერობინის ახლოს) შეთანხმდა, რომლის თანახმად, ჰოლანდიამ ცნო დე-ფაქტო იავის, მადურისა და სუმატრის ტერიტორიაზე არსებული ხელისუფლება. ამავე დროს, უცხოელების მიერ ოკუპირებული ინდონეზიის ტერიტორია უნდა განთავისუფლებულიყო და გადაეცემოდა ინდონეზიის რესპუბლიკას არა უგვიანეს 1949 წლის იანვრისა. მაგრამ ონგაჯატის, ანუ ჩერობინის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება არ აქნა შესრულებული იმპერიალისტების მიერ. მათ ჯარები არ გაყავდათ ინდონეზიიდან. მეტიც, გამაღმობონდენ ახალი შეტევისათვის, მოყავდათ ახალი სამხედრო ნაწილები.

ხალხის მასები მოითხოვდა მთავრობისაგან უფრო აქტიურ მოქმედებას იმპერიალისტების წინააღმდეგ. მასების გავლენით 1947 წლის ივლისში გადადგა მემარჯვენე სოციალისტ შარირის მთავრობა. შეიქმნა დემოკრატიული მთავრობა ამირ შარიფუდინის მეთაურობით. ამ მთავრობაში შევიდნენ კომუნისტებიც.

წინააღმდეგ ზემოხსენებული შეთანხმებისა ჰოლანდიამ მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნა მარიონეტული სახელმწიფო და განაახლა საომარი მოქმედება რესპუბლიკის წინააღმდეგ. სსრ კავშირის ინიციატივით ინდონეზიის საკითხი კვლავ გახდა უშიშროების საბჭოს მსჯელობის საგანი. დასავლეთის სახელმწიფოებმა მიადრფეს ე. წ. „კეთილი სამსახურის კომისიის“ შექმნას, რომლის ხელმძღვანელადაც ამერიკელი გრეგვიმ დაინიშნა. ამ კომისიის გავლენით 1948 წ. 17 იანვარს ამერიკის სამხედრო ხომალდ „იენ-ვილზ“ ხელმოწერილი იქნა ახალი, ე. წ. რენევილის შეთანხმება. ეს შეთანხმება ითვალისწინებდა ინდონეზიის რესპუბლიკის შესვლას ინდონეზიის შეერთებულ შტატებში, რომელიც თავის მხრივ უნდა შესულიყო ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირში.

1948 წლის იანვრის ბოლოს მთავრობას სათავეში ჩაუდგა ხატა. იმავე წლის ბოლოს რეაქციულმა ძალებმა მოაწყეს ე. წ. მადურის პროვოკაცია კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, რომლის დროსაც მოკლულ იქნენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები მუსო, შარიფუდინი, სარჯონო, სურინო, სატიჯიდა და სხვ. საერთოდ, დაპატიმრებულ იქნა 30 ათასამდე კაცი.

1949 წლის ნოემბერში „მრგვალი მაგიდის კონფერენციის“ შედეგად, რომელიც ჰავაში მიმდინარეობდა, ინდონეზიის მიერ ფორმალური და მოუკიდებლობა — ინდონეზიის შეერთებული შტატების სახით. იმავე წლის დეკემბერში ჰოლანდიის მთავრობამ აღიარა ინდონეზიის შეერთებული შტატების სუვერენიტეტი ჰოლანდიის ინდოეთის მიერ ტერიტორიაზე, გარდა დასავლეთი ირიანისა. 1950 წ. იანვარში სსრ კავშირის მთავრობამ ცნო ინდონეზიის შეერთებული შტატები და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

ინდონეზიის ხალხები, რომლებიც იბრძოდნენ ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის, ინდონეზიის შეერთებული შტატებისა და ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის ლიკვიდაციისათვის, მოითხოვდნენ ინდონეზიის

რესპუბლიკის სრულ დამოუკიდებლობას. 1954 წლის 10 აგვისტოს ინდონეზიელი ხალხების ეს ბრძოლა წარმატებით დამთავრდა — საზოგადოებრივი აზრისა და ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის გავლენით ჰოლანდია იძულებული გახდა უარი ეთქვა ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირზე. ასე შეიქმნა ინდონეზიის ერთიანი რესპუბლიკა, რაც წარმოადგენს იმპერიალისტების კოლონიური სისტემისადმი ერთ-ერთ დიდ დარტყმას.

დასავლეთის ქვეყნები, კერძოდ ჰოლანდია და ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უშლიან ინდონეზიის მთელი ტერიტორიის გაერთიანებას რესპუბლიკის ფარგლებში. ახალი გვიჩის დასავლეთი ნაწილი — დასავლეთი ირიანი, რომლის ტერიტორია შეადგენს 400 ათასზე მეტ კვ. კილომეტრს და მოსახლეობა — დაახლოებით 750 ათასს აღემატება, წარმოადგენს ინდონეზიის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს. ირიანი დღემდე იმყოფება ჰოლანდიელი კოლონიზატორების ხელში. ჰოლანდია, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული არიან დასავლეთი ირიანის ოქროსა და ნავთობის სიმდიდრით და მისი სტრატეგიული მდებარეობით. გარდა ამისა უკანასკნელ პერიოდში იმპერიალისტებმა გააძლიერეს აგრესიული მოქმედება ინდონეზიის სხვა რაიონების მიმართ. მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ მოლუკის კუნძულებზე, რომლებიც მდებარეობენ დასავლეთ ირიანის მხლობლად და წარმოადგენენ ინდონეზიის განუყოფელ ნაწილს. ჯერ კიდევ 1950 წელსაც კი კუნძულებზე უცხოელი იმპერიალისტების აგენტებმა, სეპარატისტებმა, გამოაცხადეს „სამხრეთ მოლუკის რესპუბლიკა“. ინდონეზიის რესპუბლიკის ჯარებმა მალე მოუღეს ბოლო ამ თვითმარქვია რესპუბლიკას და ამ რაიონში უცხოეთის აგენტების მოქმედებას. მაგრამ სეპარატისტები და ბანდიტები აქვედ გაიფანტნენ ინდონეზიის სხვადასხვა კუნძულებზე, სადაც ახლაც აგრძელებენ ძირგამომხრულ მუშაობას.

ბანდიტური ორგანიზაციები მხარდაჭერას ღებულობენ უცხოეთიდან. ინდონეზიის პრესის ცნობით უკანასკნელ პერიოდში ჰოლანდიის წყალქვეშა ნავები იარაღითა და სურსათით ამარაგებდნენ ბოლოების კუნძულებზე მოქმედ სეპარატისტულ ელემენტებს. შეიარაღებულ ავანტიურისტთა ჯგუფი გადმოსმულ იქნა კუნძულ ხარუტუზე. რესპუბლიკის შეიარაღებულმა ნაწილებმა ავანტიურისტების მეორე ჯგუფი აღმოაჩინეს და მოსაქეს უწყულ ამბოხიურზე და სხვ. ტყვეები აღნიშნავენ, რომ მათ დახმარებას უწყვედა ჰოლანდია და პირდებოდა შეიარაღებულ მხარდაჭერას. ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა მიეღო რიგ კუნძულებზე გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა.

მოლუკის კუნძულებზე ჰოლანდიელთა მოქმედებას და ჰოლანდიის ცდებს შეინარჩუნოს ინდონეზიის ტერიტორია დასავლეთი ირიანი, მხარს უჭერს ზოგიერთი იმპერიალისტური ქვეყანა. ამაზე აშკარად ლაპარაკობს შემდეგი ფაქტი: მიმდინარე წლის იანვარში ჯაკარტას გაზეთებში გამოქვეყნებულ იქნა საფრისტო მარკების ფოტოსურათი, რომლებიც გამოცემულ იქნა თვითმარქვია „სამხრეთ-მოლუკის რესპუბლიკის“ მიერ. ეს მარკები ოციდობოდა ჰოლანდიის დედაქალაქ ბანჯარკში, ხოლო დამზადებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. სხვათა შორის, ერთ-ერთ ასეთ მარკაზე გამოხატულია ამერიკელი გენერალი დუ-

ლას მაკარტური, რომელიც ინდონეზიის რუკასთან დგას.

უცხოელი იმპერიალისტების მოქმედება არ შემოიფარგლება მარტო მოლუკის კუნძულებით და დასავლეთი ირიანით. ისინი აშკარად ერევიან ინდონეზიის რესპუბლიკის შინაგან საქმეებში სხვა რაიონებშიც. იავაზე, სუმატრაზე, ცელებესზე და სხვ. მოქმედებენ შეიარაღებული ბანდები, რომლებიც აწოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას. ამ ბანდებმა მხოლოდ გასული წლის განმავლობაში დასავლეთ იავაზე მოკლეს 1500-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე და დაწვეს 12 ათასზე მეტი სახლი სოფლად. ერთ-ერთი ასეთი ბანდა — „დარ-ულისოამი“ მიზნად ისახავს ინდონეზიაში არსებული წყობილების დამხობას და თეოკრატიული ისლამური ხელისუფლების შექმნას. ინდონეზიის პრესის ცნობით „დარ-ულისოამი“ სამხედრო და ფინანსურ დახმარებას ღებულობს ამერიკისა და ჰოლანდიისაგან. ვახეთი „ბერიტა ინდონეზია“ წერდა, რომ მიმდინარე წელს ჯაკარტის ნავსადგურში პოლიციამ დააკავა ამერიკის ვეში „სტილვენილი“, სადაც აღმოჩინდა ზემოხსენებული ბანდისტურ-ტერორისტული ორგანიზაციისათვის ხუთი ტანკაწინააღმდეგო ქვეშეშე, ერთი სახენიტო, ქვეშეშე და ჭურვი.

უცხოელი და შინაგანი რეაქციული ძალების მოქმედება ინდონეზიაში განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც იქ შეიქმნა მთავრობა ალი სასტრათოიჯიოლის მეთაურობით. როგორც ცნობილია ალი სასტრათოიჯიოს მთავრობა ეყრდნობოდა პრინციპს ყველა ხალხებთან მშვიდობიან თანარსებობის შესახებ. მან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან; წინააღმდეგ ზოგიერთი იმპერიალისტური ქვეყნის სურვილისა, დღიო სავაპრო ხელშეკრულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან; დაამყარა სავაპრო ურთიერთობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან; მან მხარი დაუჭირა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; მოითხოვდა ამერიკის აგრესიის შეწყვეტას ტივანის რაიონში. ინდონეზიამ ინდოეთთან და ბირმასთან ერთად უარი თქვა შეერთებულმა აგრესიულ ბლოკს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში — სეატოს, რომლის მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

საშინაო პოლიტიკაში სასტრათოიჯიოს მთავრობამ მიზნად ისახავდა ნაციონალური მრეწველობის გაძლიერებას და ნაციონალური კაპიტალის ხვედრითი წონის გაზრდას სახალხო მეურნეობაში, რათა შემცირებულიყო უცხოეთის კაპიტალის გავლენა ქვეყანაში. სასტრათოიჯიოს მთავრობის მსგავსი ღონისძიებები არ იყო ხელსაყრელი იმპერიალისტურ ქვეყნებისათვის. ეს ღონისძიებები ხელს უშლის მათი გეგმების განხორციელებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

მიმდინარე წლის ზაფხულში იმპერიალისტებმა მიაღწიეს თავის მიზანს. მთავრობის კრიზისის შედეგად სასტრათოიჯიოს მთავრობა გადადგა. 11 აგვისტოს რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ხატად დაამტკიცა მთავრობის ახალი შემადგენლობა პარტია მამუშის ერთ-ერთი ლიდერის ხარახაბის მეთაურობით. რეაქციულმა ძალებმა თავისუფლება იგრძნეს.

მათი მოქმედება განსაკუთრებით აქტიური გახდა საპარლამენტო არჩევნების დროს, რომელიც მიმდინარე წლის 29 სექტემბერს ჩატარდა. არჩევნების დროს ბანდისტული ორგანიზაციები ეწვიოდნენ აშკარა ტერორისტულ მოქმედებას დემოკრატიული ელემენტების წინააღმდეგ. ბანდიტები ბაზა გაქდა დასავლეთი ირიანი, საიდანაც ისინი ღებულობდნენ იარაღს და თანხებს. ქვეყნის შიგნით უცხოეთის აგენტების აშკარა მოქმედებზე

არა ერთხელ მიუთითა თავის გამოხატვაში პრეზიდენტმა სუკარნო.

საპარლამენტო არჩევნებში მოახლოვდნენ ძირითადად შემდეგი პარტიები: კომუნისტური პარტია-გენერალური მდივანი ანითიტ, პარტია მამუში (რეაქციული პარტია), მისი კლდედრები: სუკამანი, აგუს სალიმი, ხარახაბი და სხვ.), ნაციონალური პარტია (ლიდერებ: სუკარნო, ხატა, სუჯოანი ხალიდო და სხვ.), ნავსადგულ ულამის მუსლიმანური პარტია, მემარჯვენე სოციალისტური პარტია და სხვ. მიუხედავად რეაქციული ძალების მოქმედებისა, როგორც აღნიშნავდა ინდონეზიის კომპარტიის გენერალური მდივანი აილტერი, 29 სექტემბერს პარლამენტის არჩევნებში „დემოკრატიულმა ძალებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს“. არჩევნებში მემარჯვენე პარტია მიიღო 8 მილიონზე მეტი ხმა, ნავსადგულ ულამის მუსლიმანური პარტია — 6,5 მილიონზე მეტი, პარტია მამუში — 6 მილიონზე მეტი, კომპარტია — 6 მილიონზე მეტი.

არჩევნებში ნაციონალურმა პარტიამ პირველი ადგილი დაიკავა იმიტომ, რომ ეს პარტია იბრძვის კოლონიალიზმის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის მოწვევას ბანდუნგში. ნავსადგულ ულამის მუსლიმანურმა პარტიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ ის მხარს უჭერს ნაციონალურ ერთიანობას, ქვეყნის დამოუკიდებლობას და იბრძვის კოლონიალიზმის წინააღმდეგ. არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ ინდონეზიის კომპარტია წარმოადგენს უღალატ ძალას ქვეყანაში და მას გააჩნია მტკიცე კავშირი მასელებთან. პარტია მამუში, რომლის ერთ-ერთი ლიდერი მთავრობის სათავეში დგას, არჩევნებში მარცხი განიცადა. პარტია მამუშისა და მემარჯვენე სოციალისტების მარცხი არჩევნებში წარმოადგენს ამავე დროს უცხოეთის კაპიტალის მარცხს ინდონეზიაში.

საპარლამენტო არჩევნების შედეგები სრულ საშუალებას იძლევა შეიქმნას ინდონეზიაში ნამდვილი ნაციონალური, კოალიციური მთავრობა, ნაციონალური პარტიისა და ნავსადგულ ულამის მუსლიმანური პარტიის მეთაურობით და კომპარტიის, პარტია მამუშის, მუსლიმანური გაერთიანებული პარტია შისის, პარკინდოს ქრისტიანული პარტიისა და სხვათა მონაწილობით. ასეთ მთავრობას, შეუძლია გაერთიანოს ქვეყნის ყველა ნაციონალური ძალები და იბრძოლოს მისი ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის.

იმპერიალისტური ქვეყნების მხართველი წრეები, განსაკუთრებით კი სამხედრო-აგრესიული ბლოკის — სეატოს მფობრე ქვეყნების მმართველი წრეები აღმთხოვნილებ არიან ინდონეზიაში საპარლამენტო არჩევნების შედეგებით, ვინაიდან ასეთი შედეგები ხელს უშლის ინდონეზიის შეყვანას აგრესიულ კავშირებში.

ინდონეზიის ხალხებს არ უნდათ ძველი კოლონიური რეჟიმის აღდგენა, მათ არ უნდათ სამხედრო ბლოკებში თავიანთი ქვეყნის შეყვანა და მისი გადაქცევა სამხედრო პლაკდარმად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

თავისუფალი და დემოკრატიული ინდონეზიის შექმნის გზაზე ინდონეზიის ხალხებს კიდევ ბევრი სიმძიმე შეხვდებათ. მათ მოუხდებათ დიდი ბრძოლები წარმებდა ძველ კოლონიზატორებთან, რომლებსაც არ უნდათ ხელიდან გაუშვან ყოველმხრივ მიღიარი ინდონეზია. მაგრამ ინდონეზიის ხალხებს, თავისი კომუნისტური პარტიის მეთაურობით, წარმატებით შეუძლია აწარმოოს ეს ბრძოლა. თანამედროვე ინდონეზია — ეს უკვე არ არის ძველი ჰოლანდიის კოლონია. ინდონეზიის ხალხების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მხარს უჭერს მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა.

დოცენტი ილია ტაბაღუა.



პოლისმენები ვერ აკეცებენ ზღვა ხალხს. ვილაცამ ხელი სტაცა ჩაბლინს — და, აი, ის უკვე აღფრთოვანებული ხალხის შუაგულშია, გაისმის შეძახილები: „ჩარლი! ჩარლი! ბედნიერი იყავი! ღმერთი იყოს შენი შემწე! ვაჟა ვაჟა! უბრალო აღ-მიაწები ჩარლის მეგობრები შეწუხებულნი არიან: მან დიდი გზა გამოიარა, ცუდად გამოიყურება, სასწრაფოდ უნდა მიაღწიოს სასტუმრომდე. ტაქსი აჩერებენ, ჩარლის შიგ სვამენ. საფეხურებზე სამი პოლისმენი თავსდება. მძღოლს მისამართის თქმა არ ესაჭიროება. მთელმა ლონდონმა იცის, რომ იგი სასტუმრო „რიცში“ იცხოვრებს! ტრიუმფატორის ავტომობილი მიუძღვის მთელ კორტეჯს: გადახდილ მანქანებს, რომლებშიც თავ-თავის კამერებთან დგანან კინოფრონიკის ოპერატორები; მისი თაყვანისმცემლებით გატყეული ტაქსებს, რომლებიც მზად არიან ყველგან სდიონ საყვარელ კერას; კერძო მანქანებს, რომლის სახურავებზეც მშვენიერ გოგონებს მოუკალათებიათ... მთელი გზის მანძილზე, ტროტუარების გასწვრივ, ცნობისმოყვარეთა სქელი კედლებია აღმართული, რომლებიც ქულებს იქნევენ და „ვაჟას“ გაიძახიან.

სასტუმრო „რიცს“ ყველა მისასვლელი ხალხის ბრბოს ჩაუხშვია. შესასვლელის საფეხურებზე ათი ოპერატორი მოკალათებულია. ჩარლის ელიან. მოზღვავეებულმა ბრბომ წაღეკა აპარატებიც და ოპერატორებიც. პატარა ადამიანი მანქანიდან გამოსვლას ბედავს — ხალხი უმალ იტაცებს მას პაერში და ისე მიაქვს, პოლისმენების მიერ დაცულ სასტუმროს სადარბაზო შესასვლელისაკენ. როგორც ამთავორებულ ტალღებზე. იგი შედის მარმარილოთი და ბრინჯაოთი გაბრწყინებულ პოლში, ერთის წუთით შეყოვნებას თხოვენ — ლორდების, ბანკირების, ებისკოპოსების წარდგენა უნდათ მისთვის, დიდის გაჭირვებით ახერხებს თავის ნომრამდე მისვლას. ქუჩიდან ისმის ბრბოს ღრიალი, აღფრთოვანებული, დაჟინებული შეძახილები... ჩაბლინი აივანზე გადის. მისი ბრეს-აგენტი რობინზონი ხელში წითელი ვარდების ვეებერთელა თაიგულს აჩეჩებს. პატარა ადამიანი ყოველმხრივ საღამს უძღვინის თავმოყრილთ, ვარდებს ესკაროს... აივანზე აღეღებულ პოლიციის უფროსი გამოდის:

„გემედრებით, ხალხში ნურაფერს გადაგდებთ, მისტერ ჩაბლინ, ნურაფერს გადაგდებთ. ისინი ჩხუბობენ თქვენი ვარდებისათვის. უბედური შემთხვევა მოხდება, ერთმანეთს გასრესენ. თუ მოკვდა ვინმე, პასუხს ჩვენ ვაგებთ. რაც გასურთ, ის გააკეთეთ, ოღონდ გემუდარებით, აივნიდან მეტს ნურაფერს გადაგდებთ!“ მომღიმარი ჩაბლინი კიდევ ერთ მისალმებას უგზავნის თავმოყრილთ და აივანს სტოვებს. სალონის კუთხეში იგი ხედავს წერილებით გატყეულ უამრავ ტომარებს. ლონდონში ყოფნის პირველ სამ დღეს მან სამოცდაცამეტი ათასი წერილი, ღია ბარათი და დღეუმა მიიღო.


მაგრამ ჩაბლინს მოთმინება აღარ ყოფნის. საუზმეს პირს არ აკარებს და უკანა კარებით ქუჩაში იბარება, ტაქსიში ჯდება და ლემბეტისაკენ მიემართება. ფანჯარაში თავი გამოუყვია და ხარბად ათვალიერებს ქუჩის ყოველ კუთხეს, ყოველ გამკვლეულს. ვესტმინსტერის ხილის გადაკვლისთანავე ჩაბლინი მანქანას აჩერებინებს. მან ძველი ნაცნობი დაინახა.

„ნამდვილად ის არის. მისი მოხილი ტანი — სწორედ ის ბრმა მათხოვარი. ჯერ კიდევ ხუთი წლისა ვიყავი, როცა მას ამ ადვილას ვგვლავებოდა. და იგი მამი-ნაც ასევე იღვა — ქუჭუჭიანი, ნესტიან კედელზე ზურავით მიყრდნობილი. მას იგივე ძონძები აცვია, ჯამთა მსგელოლობით გახსნილი. იგივე გაჩიჩილი წვერი, უსინათლო თვალები იგივე გამომეტყველებდა, რომელიც ბავშვობაში შიშსა მგერიდა. ყოველივე ისევე ისეთი... აკლია მხოლოდ პატარა ქუჭუჭიანი ცილოფი, რომელზედაც ავადმყოფი ძალი იწვა. ჩემთვის ეს საშინელი სანახაობაა. უსინათლო მოხუცი ყველაზე საშინელი სილატაკის განსახიერებაა, იგი იმედდაკარგული ადამიანის აპატის მისცემია...“

ჩაბლინი კვლავ ჯდება მანქანაში. მისამართს აძლევს: „პოუნელტერასი“. მანქანა ქუჭუჭიანი ჩინში უხვევს და ავტორის ძველი სახლის წინ ჩერდება. ჩაბლინი ძველი, უსიამოვნო სუთით გაყვანილი კიბის ჭრატუნა საფეხურებით ზევით მიემართება. მისი ერთ-ერთი თანამგზავრი გზას უკვლევს, წარამარა ასანთს უნთებს და თითებს იწვავს. ზემო სართულზე ჩაბლინმა კარებს მიაკაკუნა. მას სუფთა ლონდონური კილოკავით გამოეხმაურნენ: „მოთმინეთ, მე მხოლოდ წინსაფარს გაჟიკოებთ“.

დაბალი, დაბრეცილჭერიანი ოთახი. ზუსტად ასეთი დეკორაცია შეუკვთა ჩაბლინმა „ბიჭუნასათვის“. კედელთან მიდგმული საცოდავი საწოლი, ორი სკამი, ძველი მაგიდა, სანავთი ლამპის მიმჭრალი შუქი. თუჯის ქურაზე მომღერალი ჩაიდანია... აქ არაფერი არ გამოცვლილა მას შემდეგ, რაც დედასთან პაწაწა ჩარლის — ბიჭუნას — წასართმევად მოვიდნენ. დღევანდელი მცხოვრებელი, მისის რეი-ნოლდის, მოულოდნელ სტუმრებს ღირსეულად ხედავს. იგი ეჭვრიტა. მისი ქმარი ოშში დაიღუპა. კამოლიდან იღებს ქმრის წარჩინების ნიშნებსა და მეფის ხელმოწერილ სამძიმრის წერილს. ჩაბლინი ტირის.

ამ მშვედრით გამოწვეულმა შეძრწუნებამ, კენინგტონის უსაშინლეს სილატაკესა და სასტუმრო „რიცის“ ბრწყინვალეობათა შორის არსებულმა კონტრასტმა, ხალხის ბრბოს აღფრთოვანებულმა შეძახილებმა და არაფერისმთქმელმა გამოხედვამ სულთ ავადმყოფი დედისა, რომელიც ჩარლიმ ყველასაგან იღუმლად



ჩ ა რ ლ ი

ნაწევები შორს სადულის წიბინდან „ჩარლის ცხოვრება“

ლაშქარი კითხულობს და ახარისხებს კარლ რობინზონის მეთაურობით. პირველ სამოცდაცამეტი ათას წერილიდან ოცდარვა ათასში ფულადი ან სხვა დახმარების თხოვნაა; ნათხოვარი თანხა ოცი მილიონიდან ასი ათას გირვანქა სტერლინგამდე მერყეობდა. ექვსს სამოცდაათერთმეტი კორესპონდენტი ჩაბლინს ახლო ან შორეულ ნათესაობას უმტკიცებს. ათასობით ქალი სიყვარულს უხსნის, თან წერილს თავის ფოტოს ურთავს. ყველასთვის უცნობი გამოგონებულები, საუნუნის მაძიებელი, კომერსანტები, ვაჭრები მრეწველები მოითხოვენ, რომ ჩაბლინმა ისინი კომპანიონებად გაიხადოს. მას სთავაზობენ მამულების, ანტიკვარული ნივთების, დიდოსტატთა სურათების, კომედიასი მოთამაშე ტყუპი ქალიშვილების, უამრავი ვუნდერკინდების, სტატისტების, ყოველმხრივ მოწყობილი სახლების, ოქროს საათებისა და ავტომობილების შექმნას; სასიყვარულო პაემნების დანიშნავსაც კი პპირდებიან... ერთხელ ლომბარდის ქეთარიც კი გამოუგზავნის და ბებიის დაგვირგვინი ხელოვნური ქვედაცხის გამოხსნას მოიხვეს... თავის სინართლეში დარწმუნებული ვილაც უცნობი მოითხოვს. რომ ჩაბლინმა გადახადოს შვიდი მილიონი და ექვსი ცენტი, იმ ქულის საფასური, რომელიც მან ჩაბლინის მიერ სასტუმრო „რიცს“ აივნიდან გადმოგდებული ვარდისათვის ბრძოლაში დაკარგა. ბევრ კონვერტს მხოლოდ ერთადერთი წარწერა აშვენებდა: „მეფე ჩარლის“.

ამგვარი უარობისა ან აღფრთოვანების გამოხმატველი უსტარების გარდა, რომლებიც დაინტერესებულ პირთაგან ან უბრალოდ თაყვანისმცემელთაგან იგზავნებოდა, მხოლოდ აგრეთვე ანონიმური წერილებიც, რომელიც მის შეურაცხმყოფელ გაქირდავს შეიცავდა. ყოფილი ფრონტელები შეჩვენებას უთვლიდნენ ჩაბლინს, როგორც „სანგარში ჩამალულ არარაობას“. უგზავნიდნენ გერმანულ ჯვრებს, თან უსინდისო მოღალატედ ნათლავდნენ... ყველა ამ კამპანიის საბოლოო მიზანს საკმარისად ნათლად განმარტავდნენ ის კითხვები, რომელსაც ჩაბლინს მრავალი ყურნალისტი აძლევდა ნიუ-იორკში, მერაბურში, საუტკემპტონსა და სასტუმრო „რიცში“.

„ბატონო ჩარლი, რა უკავით თქვენი ცნობილი უღვაშები? აპირებთ თუ არა ბაღელის როლის შესრულებას? თქვენ ბოლშევიკი ხართ? როგორ აპირებთ დროს გატარებას ევროპაში? აპირებთ თუ არა ხელმოწერდ ცოლის შერთვას? რას ფიქრობთ რუსეთის რევოლუციის შესახებ? რა შეხედულებისა ბრძანდებით ირლანდიის ამბებზე? გადაიღებთ თუ არა ევროპაში ფილმებს? რას ფიქრობთ ლენინის შესახებ? აპირებთ თუ არა მასთან შეხვედრას? თქვენ ბოლშევიკი ხართ? თქვენ ბოლშევიკი ხართ? თქვენ ბოლშევიკი ხართ?“

ჩაბლინმა მშვენივრად გაიყო ყველა ამ მოთხოვნისა და გამოძალის ნამდვილი აზრი. იგი უფრო ფრთხილი გახდა. ამერიკიდან გამგზავრების წინ მან უარი განაცხადა პასუხი გაეცა კითხვაზე — „გაემგზავრებით თუ არა რუსეთის?“

ლაპარაკის განახლებაზე მხოლოდ ევროპაში დათანხმდა.

— თქვენ ბოლშევიკი ხართ?

— მე პოლიტიკური მოღვაწე არა ვარ, მე მსახიობი ვარ.

მეორე დღესვე ინახულა, — ყოველივე მან უკადურესად ნერვიულ დაძაბულობამდე მიიყვანა ჩაბლინი...

მისი ჩამოსვლის მეორე დღეს ინგლისელმა დრამატურგმა ედუარდ კნობლოკმა ჩაბლინისა და პრემიერ-მინისტრ ლიოდ ჯორჯის პირადი მდივნისა და მილიონერის სერ ფილიპ სესუნის პატივსაცემად დარბაზობა მოაწყო. მისილები დარბაზები, რომელთა ფანჯრებიც ბიკადილზე გამოდის, არაჩვეულებრივად მდიდრული და კომფორტაბელურია. ბანკირები, მაღალი საზოგადოების ქალები, არისტოკრატები ყოფილი ლემბეტელი მაწანწალის ირგვლივ წრიალებენ. ჩაბლინი თავს ძლივს იკავებს... იგი მოთმინებას კარგავს, როცა რომელიღაც მოლაყბე იმას უმტკიცებს, რომ სჯობია თუ ის — ჩაბლინი — დღესვე, მისი დიდების ზენიტში მოკვდება. ფანჯრებს იქით ყრუ შექა-ქუხილი გაისმის...

ჩაბლინი გამწარებით ესხმის თავს რელიგიას, ბიბლიას, თვით მამა ღმერთს. დაბნულ სტუმრებს სიტყვა უწყდებათ, მაგრამ ორი-სამი მათგანი მაინც ეკამათება, ასაბუთებენ, ნამდვილ თეოლოგიურ დავის გამართვას ცდილობენ. ჩაბლინი ფეხზე წამოდგება, მაღალ ფანჯარასთან მიიბრუნს, ფარჩის ფარდებს გადასწევს, შექსპირისებური ყესტიო მუშტს ზეალმართავს და წამოიძახებს:

— მე გიწვევ შენ, ღმერთო! დაგვიმტკიცე შენი არსებობა!

ელვა ჰკვეთს წყვილად. ცა მრისხანებით გრგვინავს. ჩაბლინი ერთი ნაბიჯით უკან იხვეს და მენისაგან მოკეთილივით, გაფითრებული და გაშეშებული იატაკზე ეცემა. მეორე ოთახში გააქვთ, სეგარძელზე აწვივნენ. მდივანი ტელეფონით სვეისა და პოლიციის გამოძახებას ისწრაფის.

ჩაბლინი კი უკვე ოთახის ზღურბლზე დგას ისე. თითქოს აქ არაფერიყო: ანგელოზის მსგავსად ორი ფრთა გამოუბამს — მხრებზე ორი თეთრი ბალიში მიუკრავს. იგი განვიფრებულა, რომ მის გარდა სხვა არავინ სთვლის ამ „შესანინავ ხუმრობას“ სასაცილოდ. ამ საღამოს ამბავი ყველას ტულზე აკერია და ლონდონის წარჩინებულ საზოგადოების აღმფოთებას იწვევს. აქ ღვთისმგმობელობა და ოხუნჯობა არ უყვართ.

სასტუმრო „რიცში“ ჩაბლინის სახელზე მოსულ წერილებს მდივან-მემაქანეთა მთელი ლაშქარი კითხულობს და ახარისხებს კარლ რობინზონის მეთაურობით. პირველ სამოცდაცამეტი ათას წერილიდან ოცდარვა ათასში ფულადი ან სხვა დახმარების თხოვნაა; ნათხოვარი თანხა ოცი მილიონიდან ასი ათას გირვანქა სტერლინგამდე მერყეობდა. ექვსს სამოცდაათერთმეტი კორესპონდენტი ჩაბლინს ახლო ან შორეულ ნათესაობას უმტკიცებს. ათასობით ქალი სიყვარულს უხსნის, თან წერილს თავის ფოტოს ურთავს. ყველასთვის უცნობი გამოგონებულები, საუნუნის მაძიებელი, კომერსანტები, ვაჭრები მრეწველები მოითხოვენ, რომ ჩაბლინმა ისინი კომპანიონებად გაიხადოს. მას სთავაზობენ მამულების, ანტიკვარული ნივთების, დიდოსტატთა სურათების, კომედიასი მოთამაშე ტყუპი ქალიშვილების, უამრავი ვუნდერკინდების, სტატისტების, ყოველმხრივ მოწყობილი სახლების, ოქროს საათებისა და ავტომობილების შექმნას; სასიყვარულო პაემნების დანიშნავსაც კი პპირდებიან... ერთხელ ლომბარდის ქეთარიც კი გამოუგზავნის და ბებიის დაგვირგვინი ხელოვნური ქვედაცხის გამოხსნას მოიხვეს... თავის სინართლეში დარწმუნებული ვილაც უცნობი მოითხოვს. რომ ჩაბლინმა გადახადოს შვიდი მილიონი და ექვსი ცენტი, იმ ქულის საფასური, რომელიც მან ჩაბლინის მიერ სასტუმრო „რიცს“ აივნიდან გადმოგდებული ვარდისათვის ბრძოლაში დაკარგა. ბევრ კონვერტს მხოლოდ ერთადერთი წარწერა აშვენებდა: „მეფე ჩარლის“.

ამგვარი უარობისა ან აღფრთოვანების გამოხმატველი უსტარების გარდა, რომლებიც დაინტერესებულ პირთაგან ან უბრალოდ თაყვანისმცემელთაგან იგზავნებოდა, მხოლოდ აგრეთვე ანონიმური წერილებიც, რომელიც მის შეურაცხმყოფელ გაქირდავს შეიცავდა. ყოფილი ფრონტელები შეჩვენებას უთვლიდნენ ჩაბლინს, როგორც „სანგარში ჩამალულ არარაობას“. უგზავნიდნენ გერმანულ ჯვრებს, თან უსინდისო მოღალატედ ნათლავდნენ... ყველა ამ კამპანიის საბოლოო მიზანს საკმარისად ნათლად განმარტავდნენ ის კითხვები, რომელსაც ჩაბლინს მრავალი ყურნალისტი აძლევდა ნიუ-იორკში, მერაბურში, საუტკემპტონსა და სასტუმრო „რიცში“.


„ბატონო ჩარლი, რა უკავით თქვენი ცნობილი უღვაშები? აპირებთ თუ არა ბაღელის როლის შესრულებას? თქვენ ბოლშევიკი ხართ? როგორ აპირებთ დროს გატარებას ევროპაში? აპირებთ თუ არა ხელმოწერდ ცოლის შერთვას? რას ფიქრობთ რუსეთის რევოლუციის შესახებ? რა შეხედულებისა ბრძანდებით ირლანდიის ამბებზე? გადაიღებთ თუ არა ევროპაში ფილმებს? რას ფიქრობთ ლენინის შესახებ? აპირებთ თუ არა მასთან შეხვედრას? თქვენ ბოლშევიკი ხართ? თქვენ ბოლშევიკი ხართ? თქვენ ბოლშევიკი ხართ?“

ჩაბლინმა მშვენივრად გაიყო ყველა ამ მოთხოვნისა და გამოძალის ნამდვილი აზრი. იგი უფრო ფრთხილი გახდა. ამერიკიდან გამგზავრების წინ მან უარი განაცხადა პასუხი გაეცა კითხვაზე — „გაემგზავრებით თუ არა რუსეთის?“

ლაპარაკის განახლებაზე მხოლოდ ევროპაში დათანხმდა.

— თქვენ ბოლშევიკი ხართ?

— მე პოლიტიკური მოღვაწე არა ვარ, მე მსახიობი ვარ.



— რად გინდათ რუსეთში წასვლა?
— იმიტომ, რომ მე ყოველი ახალი იდეა მიინტერესებს.
— რა აზრისა ხართ თქვენ ლენინის შესახებ?
— იგი ყოველად შესანიშნავი ადამიანია, ნამდვილად ახალი იდეის პოეტია.
— გჯერათ თუ არა თქვენ რუსული რევოლუციისა და მისი მომავლისა?
— მე თქვენ უკვე ვითხარით: პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის.
მოულოდნელად ჩაპოინი დათქმულ ვადაზე ადრე ლონდონს სტოვებს. მან პა-
რიზის ნახვა გადაწყვიტა.

საფრანგოების დედაქალაქში არაგინ იცოდა მისი მოულოდნელი ჩასვლის შე-
სახებ. მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტი, რომელთაც უკანასკნელ წუთს შეატყო-
ბინეს, შეხვდა მას ჩრდილოეთ სადგურზე. იგი ელისეის მინდვრებზე მდებარე
სასტუმრო „კლარიჯში“ გაჩერდა.

ლონდონში ჩაპოინი შინ იმყოფებოდა; მან იცოდა, თუ სად მდებარეობდა
კენინგტონი, ლემბეტი, ლამბაუზი და უაიტჩეპლი, იცოდა, თუ სად შეიძლება
ენახა მუშები და უმუშევრები. აქ კი, იმის მაგიერ, რომ მის თხოვნაზე — ეჩვენე-
ნიათ მისთვის ნამდვილი პარიზი, — მისმა ახალმა მეგობრებმა მოკრივე კარბან-
ტიემ, კარიკატურისტიმა კამიმ, ბობოქარმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ლედი ას-
ტორმა — იგი მონმარტში წაიყვანეს.

უცნაურ კოსტუმებში გამოწყობილი მხატვრები, თმაგრძელი პოეტები, მეგა-
ზეთე ბიჭები, ყვავილების გამყიდველები, ამერიკელი ტურისტები, პარიზელი
გამყნები, მეძაგები. და ინგლისელ მსახიობს პარიზი ისევე რომელიდაც აღმოსავ-
ლურ, ან ტროპიკების დედაქალაქადაც კი წარმოუდგება.

„მე უცებ ვხვდები: დედაქალაქი უკიდურესად დაძაბულია. პარიზს ჯერაც არ
მოუცილებია ომის წლების სისხლიანი გარემოცვა. როდისღა დადგება გამოსნის
ქამი? და როგორ — ადვილად თუ ძნელად?...“
...სინათლე ქრება, „ბიჭუნას“ ჯ. სინჯვა ოწყება. ფილმზე მუშაობა ხანგრძლი-
ვი, მძიმე და დაძაბული იყო. გადაღების დაწყების წინ ჩაპოინმა განაცხადა: „მე
მინდა შექმნა სერიოზული ფილმი, რომელიც კომიკურ და სახუმარო ეპიზო-
დებს მიღმა ირონიასა და სატირას დაჟარავს, და თანაგრძნობას გამოიწვიოს“.
ფილმის ექვს ნაწილზე ჩაპოინმა წელიწადზე მეტი იმუშავა. „ფერსტ ნეიშენლის“
ადმინისტრაციულმა საბჭომ გასინჯვის დროს დარბაზი დასტოვა. სიუჟეტი გაჭი-
ნურებულაო, — ასეთი იყო ფინანსისტების აზრი.

თავისი ახალი ნაწარმოების მოკლე შინაარსი ჩაპოინმა ასეთნაირად გად-
მოგვცა:

„ლონდონში მცხოვრები ღარიბი ქალი თავისი უკანონოდ შობილი ბავშვის
მიღებას აპირებს, უნდა, რომ იგი მდიდარ ოჯახში მოხვდეს და მას ბალით შე-
მოვლებულ ბრწყინვალე სახლის წინ გაჩერებულ ლიმუზინის საჯდომზე აწვევს.
ავტომობილს ქურდები, გაიტაცებენ, ბავშვს კი ნაგვის ყუთთან მიადგენენ. უკანას-
კნელს მოხეტიალე მემუშე იპოვინს. ფილმის უმეტესი ნაწილი ამ ორი ადამიანის
კომიკურ, ან გულსამაჩუყებელ თავგადასავალს მიეძღვნა. ბიჭი ფანჯრის მინებს
ამტვრევს, მემუშე კი უკან მისდევს და ხელმეორედ სვამს. ბოლოს ქველმოქმედთა
ორგანიზაცია მემუშეს შვილობილს ართმევს.“

ფილმს ბენდინერი დასასრული ჰქონდა: ჩარლი-მემუშე ქველმოქმედთა ამ სამი-
ნელი ორგანიზაციის აგენტებს ბავშვს ხელიდან სტაცებს. თავის ბინაზე —
სხვენზე — დაბრუნებისა ემინა და ამიტომაც ღამის გასათევ სახლში შედის. ამ
დროისათვის ბიჭის გამდიდრებული დედა გაზეთში განცხადებას ათავსებს და
დიდ ჯილდოს პირდება იმას, ვინც მის შვილს იპოვინს. ბიჭს იცოებენ და მემუშეს
წაართმევენ. მარტონელა, სრულიად იმედგადაწყვეტილი ბრუნდება ჩარლი თავის
„სახლში“. ჩაქინდება. ესზმრება, რომ იგი სამოთხეშია. მაგრამ იქაც უთანხმოება
და უსამართლობა გაბატონებულია. გამოეღვიძება და ბიჭუნასა და მის დედას დაი-
ნახავს. ასე პოულობს იგი საბოლოოდ ბენდინერებს.

განშორების სცენაში, როცა ჩაპოინს ბიჭუნას ართმევენ და მანქანით მიჰყავთ,
ჩაპოინმა თავისი საკუთარი ბავშვობის ეპიზოდი აღადგინა და უმალეს დრამა-
ტულ დაძაბულობას მიაღწია. მის სახეზე გამოხატული დაბნეულობა — სიმართ-
ლისა და კუჭმარტივი ხელოვნების უმალესი წერტილია.

...1921 წელს ისევე, როგორც 1913 წელსაც, „მსოფლიოს გამჩირადლებელი
თავისუფლების ქანდაკება“ გამოჩნდა... სამი თვის წინათ, რომელიდაც ფოტო-
გრაფმა სთხოვა მას, რომ სურათის გადასაღებად შემდგომი შინაარსის პოზა
მიეღო: თავისუფლების ქანდაკებას ჩაპოინი პაეროვან კონსანს უგზავნის. ჩაპოინმა
კატეგორიული უარი განაცხადა. მეორე დღესვე ხერსტის მიერ ფინანსირებულმა
ყველა გაზეთმა ჩაპოინს შვერტებული შტატების სისტემატურ შეურაცხყოფაში
დასდო ბრალი.

თარგმან
ბ. კარბელაშვილმა

ჟურნ. „დროისი“ 1955 წ. № 11-ში მოთავსებული კროსვორდის
პასუხი

ვერტიკალურად:
1. ლონგი. 2. ფორმულა. 3. ხირსა. 5. ხუნდი. 6. ტრასა. 8. ტრიანოზომა.
9. ბრაზიციფალი. 12. ლასკინტი. 14. უდმურტი. 15. შროშანი. 16. ამონალი. 18. აკა-
ლი. 19. დავია. 27. ურმია. 29. სალაშობო. 30. ბავლი. 33. დესაუ. 34. ეჯიბი.

ჰორიზონტალურად:
4. კოლონია. 7. ბურგომისტრი. 10. კრელო. 11. ასტრა. 13. გუაში. 17. ჯამბა.
20. ცხუმი. 21. კამბოჯა. 22. სკინტა. 23. კანცონა. 24. დარბაზი. 25. გროზა.
26. იფელი. 28. მისია. 31. ამბრა. 32. ხამლი. 35. მიქელანჯელო. 36. ბაოზაბი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ქუთაისის ახალი თეატრი.
ფერადი ფოტო პ. ლუცენკოსი.
მეორე გვერდზე: ზამთრის პეიზაჟი.

რედაქტორი გრ. აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვიჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი,
დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი,
ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.
ნომერი გააფორმა ზ. ლეფავამ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91.
ტელეფონები: რედაქტორის—8-52-69, პ/მგ. მდივნის—3-95-38.
ხელმოწერილია დასაბუთებლად 3/11 56 წ. გამომც. № 157.
ქალ. ზომა 70x108 1/8 ნაბეჭდი ფურც. 3 1/2. ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 825 უე C0524


Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)
ბეჭდვითი სიტყვის კომპონატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ამას წინათ, ავსტრიაში, ინსბრუკთან ახლოს, სადაც გაიმართა საერთაშო-
რისო შეჯიბრება თხილამურებით ტრამპლინიდან სტომაში, მონაწილეობას
ღებულობდნენ სსრ კავშირის, ავსტრიის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრა-
ტიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის სპორტ-
სმენები.

საუკეთესო შედეგით (225 ქულა) პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა
კავშირის გუნდის წარმომადგენელმა კ. წაქამემ. იგი გადახტა 79,5 და 74
მეტრზე. მეორე ადგილზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის
სპორტსმენი გლასი, მესამეზე — ბოლკარტი (გერმანიის ფედერალური რეს-
პუბლიკა).

ს უ რ ა თ ე: ბაკურიანელი მეთხილამურე კ. წაქამე ტრამპლინიდან სტო-
მის მომენტში.

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

1. ჯარების შენაერთი. 6. სისხლნაკლოფანება. 7. თხულებების მოკლე შინა-
არსი. 11. რაიონული ცენტრი საქართველოში. 12. თავსატეხი. 13. ნოტი,
18. მეცნიერების ან ხელოვნების ძირითადი დებულებანი. 21. სიმღერა. 22. ოპე-
რის ან კინოფილმის მოკლე შინაარსი. 23. ქალაქი რუსეთში. 24. ქართუ-
ლი ხალხური ცეკვა. 28. თავდასხმა. 29. კარბოლის სიმკავე. 30. დაუმთავრე-
ბელი ნახატი. 33. რიცხვი. 34. ასტრონომიული იარაღი. 35. ბიბლიური ქალის
სახელი. 36. ციურ სხეულთა მოძრაობის ტრაექტორია. 39. მოჩვენება. 40. მეც-
ნიერების დარგი.

ვე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

2. უბოროტო დაცინვა. 3. სამოსი. 4. ბირმის პრემიერ-მინისტრი. 5. ცნო-
ბილი ქართული მოთხრობა. 8. უარყოფითად დამუხტული იონი. 9. სახელგანთ-
ქმული კრეისერა. 10. წოდება, ხარისხი. 14. ტომეის ზნე-ჩვეულებათა მკვლევარ-
ი. 15. ქალაქი ინგლისში. 16. მხატვრული ჩუქურთმა. 17. მეცნიერების
დარგი. 19. ორთა საუბარი. 20. სხეულის რომელიმე ნაწილის გაუქმება.
25. გეომეტრიული სხეული. 26. განსაზღვრული დრო. 27. წრიული მოძრაობა.
31. ფრანგი მწერალი. 32. მათობელა სახელი. 36. სამკედლო იარაღი.
37. ხილი.



შაკურბანი. ზამთრის პეიზაჟი.

ფოტოგრაფი კ. კრიშკისი

6.11/22

ეროვნული
ბიბლიოთეკა

